



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675 ზ/2
1384

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

3. 1984

ხაქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ფილოსოფია და ფსიქოლოგიის სერია, 1984, № 2

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის
სერია

СЕРИЯ
ФИЛОСОФИИ И
ПСИХОЛОГИИ

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



3. 1984

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

● თბილისი
ТБИЛИСИ

ს ა რ ე ლ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე ზ ი ა :

თ. ბუაჩიძე, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე). ვ. თევზაძე, ვ. კეშელავა,
ზ. მიქელაძე, შ. ნადირაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ნ. ჭავჭავაძე
(რედაქტორის მოადგილე), ო. ჯიუჯუი (რედაქტორი).
პასუხისმგებელი მდივანი ც. შალამბერიძე

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Буачидзе Т. А., Григолава В. В. (зам. редактора), Джиноев О. И. (зам. редактора),
Кешелав В. В., Микеладзе З. Н., Надирашвили Ш. А., Прагвишвили А. С.,
Тевзадзе Г. Б., Чавчавадзе Н. З. (редактор).

Ответственный секретарь Ц. А. Шаламберидзе.

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიწვენი“,
ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1984.

რ ე ლ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ. 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-46

გადაეცა წარმოებას 31.5.84; ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.12.84; შვკ. № 1812;
ანაწეობის ზომა 7×11¹/₂; ქალაქის ზომა 7×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; ნაბეჭდი
თაბახი 10,9; საადრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,6; უე 08355; ტირაჟი 750;
ფასი 85 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუშოვის ქ. 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ფილოსოფია

ნ. ხომეშვილი, განვითარებული სოციალიზმის აშენებისა და ფუნქციონირების ზოგადი საკითხი	5
მ. ხიმშიაშვილი, ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიური წყაროების საკითხისათვის	20
ნ. კვარაცხელია, ტრადიციული შემეცნების თეორიის მსოფლმხედველობრივი პოზიცია და მისი კრიტიკა	33
მ. სანაია, დროის ცნება ვილჰელმ დილთაის პერმენენტიაში	49
დ. თიხაძე, მოდერნიზაციის კონტექსტში შემავალი დესკრიფციული გამოსახულებების ინტერპრეტაციის შესახებ	64

ფსიქოლოგია

დ. ჩარკვიანი, ორგანიზაციის კლიმატისა და ორგანიზაციისადმი ერთგულების გაზომვა	78
ი. იმედაძე, ლეონტიევის ქმედების თეორიის ზოგიერთი სადისკუსიო საკითხი	89
ნ. შავჭავჭავაძე, სოციალური განმტკიცება და განწყობის ჩამოყალიბება	101
ნ. თაყაიშვილი, მუსიკის აღქმის თანამედროვე კონცეფციების კრიტიკისათვის აშშ-ში	107

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვლ. ზრიგოლაძე, ქართველი ფსიქოლოგის ნაშრომი საფრანგეთის სამეცნიერო ფურნალის ფურცლებზე	122
--	-----



СОДЕРЖАНИЕ

ФИЛОСОФИЯ

Н. Д. ХОМАСУРИДЗЕ, Некоторые вопросы строительства и функционирования развитого социализма	5
Ш. В. ХИДАШЕЛИ, К вопросу о философских источниках Джордано Бруно	20
Н. И. КВАРАЦХЕЛИЯ, Мировоззренческая позиция традиционной теории познания и ее критика	33
М. Г. САНАИА, Понятие времени в герменевтике В. Дильтея	49
Д. Д. ТЕВЗАДЗЕ, Об интерпретации дескриптивных выражений, входящих в модальные контексты	64

ПСИХОЛОГИЯ

Д. А. ЧАРКВИАНИ, Измерение организационного климата и преданности организации	78
И. В. ИМЕДАДЗЕ, Некоторые дискуссионные вопросы теории деятельности А. Н. Леонтьева	89
Н. Н. ЧАВЧАВАДЗЕ, Социальное подкрепление и формирование установки	101
Н. Д. ТАВХЕЛИДЗЕ, К критике современных концепций восприятия музыки в США	107

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. В. ГРИГОЛОВА, Труд грузинского психолога на страницах научного журнала Франции	122
---	-----

ფილოსოფია

ნუგზარ ხომაშურიძე

განვითარებადი სოციალიზმის აშენებისა და ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხი

598
17.869

განვითარებული სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში შედეგია იმ გიგანტური, შემოქმედებითი შრომისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ამას შეესატყვისება ჩვენი პარტიის თეორიული აზროვნების მიღწევა — მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემუშავება, რომელიც სკკპ XXVI ყრილობამ პირველ ადგილზე დააყენა ყოველივე იმათ შორის, რაც კი გაკეთებულა უკანასკნელი წლების მანძილზე მარქსისტულ-ლენინური თეორიის დარგში.

განვითარებული სოციალიზმი, აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე — ეს არის საზოგადოება, სადაც უკვე მთლიანად შეიქმნა სოციალისტური პრინციპების შესაბამისი ეკონომიკური ბაზა, სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკური სისტემა, სადაც სოციალიზმი, როგორც იტყვიან, თავის საკუთარ, კოლექტივისტურ საფუძველზე ვითარდება.

ჩვენს ქვეყანაში და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში განვითარებული სოციალიზმის თეორიული პრობლემების სხვადასხვა ასპექტების ინტენსიური შესწავლა იწყება სამოციანი წლებიდან, განსაკუთრებით სკკპ XXIV ყრილობის შემდეგ. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, სწორედ ამ პერიოდში საბჭოთა კავშირში ფუნქციონირებას იწყებს განვითარებული სოციალიზმი, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი დამკვიდრება ერთდროულ აქტს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთგვარი პროცესია და ის ჩვენს ქვეყანაში მოიცავს გარკვეულ პერიოდს.

ხელმძღვანელობდნენ რა ყრილობის მითითებით, ჩვენი ქვეყნის მრავალმა სამეცნიერო დაწესებულებამ აღნიშნულ პრობლემაზე გამართა თეორიული კონფერენციები, დისკუსიები, გამოიკა მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, პარტია დღეს პრობლემის შესწავლას დასრულებულად არ მიიჩნევს, პირიქით, განვითარებული სოციალიზმის თეორიული პრობლემების შესწავლა მიაჩნია საზოგადოებათმცოდნე მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნეკომ განაცხადა: „საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარების მაგისტრალური მიმართულებით უნდა წყდებოდეს მომწიფებული სოციალიზმის პრობლემატიკა“, ამავე პლენუმზე ითქვა: „განვითარებული სოციალიზმის სრულყოფაში პარტიის სტრატეგია უნდა ემყარებოდეს მტკიცე მარქსისტულ-ლენინურ თეორიულ საძირკველს. ამავე დროს, თუ გულახდილად ვიტყვით, ჭერაც არ შეგვისწავლია სათანადოდ საზოგადოება, რომელშიც ვცხოვრობთ და ვშრომობთ“ [2, გვ. 22].

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ფილოლოგიის

სკკ პარტიის XXVI ყრილობის შემდგომი პერიოდის პარტიული დოკუმენტები, განსაკუთრებით კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მასალები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის 19 თებერვლის დადგენილება საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ, ი. ვ. ანდროპოვის სტატია „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“, კ. უ. ჩერნენკოს შრომები, შეიცავენ მნიშვნელოვან დებულებებს, რაც საშუალებას გვაძლევს შევქმნათ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებრივი სისტემის უფრო სრულყოფილი სურათი, პასუხი გავცეთ მომწიფებული სოციალიზმის თეორიული პრობლემების ბევრ სადავო საკითხს.

საბჭოთა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა ელოდება სკკ პარტიის პროგრამის ახალ რედაქციას, რომელიც, როგორც აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, „უნდა იყოს უწინარეს ყოვლისა განვითარებული სოციალიზმის გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის და, მასთანადავ, კომუნისმის გზით შემდგომი წინსვლის პროგრამა. პროგრამის ტექსტი ჩანს, განვითარებული სოციალიზმის პერიოდის ვრცელ დახასიათებას უნდა შეიცავდეს“ [2, გვ. 10].

კომუნისტური საზოგადოება წარმოადგენს ცოცხალ, განვითარებად სოციალურ ორგანიზმს, რომელიც თავისი პროგრესის რთულ და ხანგრძლივ გზას გაივლის.

საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული გარდაქმნა ჯერ სოციალისტურ, შემდეგ კი კომუნისტურ საწყისებზე არ შეიძლება განხორციელებული იქნეს ერთდროული აქტის სახით. ამა თუ იმ ქვეყნის კომუნისმისაკენ წინსვლის პროცესში ახალი წყობილება თანდათანობით აღწევს მატერიალური და სულიერი სიმწიფის სულ უფრო მაღალ საფეხურებს. ამ გზაზე არის გარკვეული მიჯნები, საზღვრები, არის პერიოდები და ეტაპები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გადასაწყვეტი ამოცანების თავისებურებებით, რეალურად არსებული დიალექტიკურ წინააღმდეგობათა სპეციფიკით.

საზოგადოების კომუნისტურ გარდაქმნათა პერიოდიზაციის საკითხს აქვს არა მარტო შემეცნებითი და თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ახალი წყობილების სიმწიფის კრიტერიუმებისა და კანონზომიერი საფეხურების, მისი დამკვიდრებისა და სრულყოფის ძირითადი პერიოდების შესახებ სწორი, მეცნიერული წარმოდგენისაგან დიდად არის დამოკიდებული მარქსისტულ-ლენინური პარტიების სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორე, თითოეულ ისტორიულ ეტაპზე მათი პოლიტიკის ეფექტურობა, მათი უნარი — სწორად განსაზღვრონ წინსვლითი მოძრაობის პერსპექტივები, ზუსტად განჭვრიტონ და დაგეგმონ საზოგადოებრივი პროცესების მიმდინარეობა.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მეცნიერულად დაასაბუთეს არა მარტო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების აუცილებლობა, არამედ მოგვეცეს პრინციპული მეთოლოგიური მითითებანი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის პროცესების პერიოდიზაციის შესახებ. მათ საფუძველი ჩაუყარეს მოძღვრებას კომუნისტური ფორმაციის დამკვიდრებისა და განვითარების ძირითადი სტადიების შესახებ.

ფ. ენგელსი წერდა: კომუნისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი ეტაპების საკითხი — უძნელესი საკითხია ყველა არსებულ საკითხთა შორის [4, ტ. 38, გვ. 108].

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითად განავითარა რა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მოძღვრება, უდიდესი დამსახურება მიუძღვის საზოგადოების სოციალისტური და კომუნისტური გარდაქმნების პერიოდიზაციის პრობლემების დამუშავების საქმეში.

ანიჭებდა რა უდიდეს მნიშვნელობას ისტორიზმის პრინციპს, ლენინი მიუთითებდა, რომ ყურადღება მიგვეპყრო „როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში“ [1, ტ. 29, გვ. 556]. პროლეტარიატისა და მისი პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას იგი ხედავდა იმაში, რომ მკაცრად გავარჩიოთ ეტაპები, განსხვავებული ერთმანეთისაგან თავისი ბუნებით, ფხიზლად გამოვიკვლიოთ მათი მიმდინარეობის პირობები, ანგარიში გავუწიოთ საზოგადოების განვითარების ობიექტურ საფეხურს [1, ტ. 8, გვ. 9, ტ. 21, გვ. 76].

ახასიათებდა რა სოციალიზმს, როგორც დინამიურ განვითარებად საზოგადოებას, ლენინი ხაზს უსვამდა, რომ სანამ არ იყო პრაქტიკული გამოცდილება, არ შეიძლებოდა სრულად გვეცოდნოდა როგორი იქნებოდა კონკრეტული ეტაპები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზაზე [1, ტ. 25, გვ. 588, ტ. 27, გვ. 142].

ახალ საზოგადოებრივ წყობილებაზე გადასვლის ხანგრძლივობა, სირთულე და მრავალსაფეხურიანობა, მიუთითებდა ვ. ი. ლენინი — პარტიისაგან მოითხოვს დიდ ძალას ამ გადასვლის ეტაპების განსაზღვრისათვის და მათი შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისათვის [1, ტ. 30 გვ. 396].

ვ. ი. ლენინის შრომები შეიცავენ თეორიულ დასკვნებს, რომლებსაც ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის მშენებლობისა და განვითარების პერიოდებისა და ეტაპების გამოყოფისათვის. ცხადია, ლენინის ბევრი გამონათქვამი ჰიპოთეზისა და პროგნოზის ხასიათისაა. სსრ კავშირის და რიგი სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ მთლიანად დადასტურა ლენინური პროგნოზების სისწორე სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის საფეხურების თაობაზე. ამასთან, ბუნებრივია, ცხოვრებამ გაამდიდრა და დააკონკრეტა წარმოდგენები სოციალიზმის კომუნიზმისაკენ მიმავალი გზის ცალკეული ნაწილებისა და მონაკვეთების შესახებ.

ი. ვ. ანდროპოვი წერდა: „სწორად იქცევა დღეს ის, ვინც ეკითხება საკუთარ თავს: „მაინც, რა არის სოციალიზმი?“ და პასუხისათვის, უწინარეს ყოვლისა, მიმართავს მარქსის, ენგელსის, ლენინის შრომებს, მაგრამ მარტოდენ ამას ვეღარ ვიკმარებთ. დღეს „სოციალიზმის“ ცნებას ვერ ჩაეწვდებით, თუ არ გავითვალისწინებთ საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების ხალხთა უმდიდრესი პრაქტიკული გამოცდილება“ [3, გვ. 10].

კომუნისტური საზოგადოების დამკვიდრების პერიოდიზაცია, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეებისა და მოძღვრების შესაბამისად, ვ. ი. ლენინმა მოგვცა ოქტომბრის რევოლუციის წინა პერიოდში დაწერილ ნაშრომებში. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს წიგნი „სახელმწიფო და რევოლუცია“. ნაშრომის მოსამზადებელ მასალებში („მარქსიზმი სახელმწიფოს შესახებ“) ლენინი პირველად გვაძლევს დებულებას კომუნიზმის

დამკვიდრების სამი სტადიის შესახებ ვ. ი. ლენინი წერდა: ამრიგად I. „მშობიარობის ხანგრძლივი ტკივილები“, II. „კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა“, III. „კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა [6, ტ. 33, გვ. 185]. ეს დებულება ნაშრომის „სახელმწიფო და რევოლუცია“ პარაგრაფების სათაურებით უფრო ნათლად და გამოკვეთილი სახითაა წარმოდგენილი: კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა, კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა, კომუნისტური საზოგადოების უმაღლესი ფაზა [1, ტ. 25, გვ. 666]. ამრიგად ვ. ი. ლენინმა აღნიშნულ ნაშრომში გარკვევით გამოკყო კომუნისტური საზოგადოების დამკვიდრების სამი სტადია და კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზა. ვ. ი. ლენინმა აქვე მოგვცა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საერთო და განმასხვავებელი ნიშნების დახასიათება.

ვ. ი. ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია“ ცალკე გამოყავით მხოლოდ იმითომ, რომ აქ სპეციალურადაა განხილული კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის პრობლემა. კომუნისტური საზოგადოების ეტაპობრივი განვითარების საკითხს ლენინი იხილავს თავის ბევრ ნაშრომში სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით.

პირველი პერიოდი, რომელსაც ლენინი აღნიშნავდა სიტყვებით „მშობიარობის ხანგრძლივი ტკივილები“ — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდია. ეს არის კაპიტალიზმის სოციალიზმად რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ძველი ფორმაციის ლიკვიდაციისა და კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის პირველი ფაზის დამკვიდრების პერიოდი.

გარდამავალი პერიოდი არ არის უშუალოდ სოციალიზმის ეტაპი, მაგრამ მისი გამოიწვინა სოციალიზმისაგან შეუძლებელია. იგი ეტაპია სოციალიზმის მშენებლობაში პოლიტიკური მნიშვნელობით, სახელმწიფო ხელისუფლების ხასიათით, ამოცანებით, სადაც ხდება კაპიტალისტური ელემენტების დაძლევა და საზოგადოების სოციალისტური საწყისების განმტკიცება. გარდამავალი პერიოდი სოციალისტური საზოგადოების დამკვიდრების საწყისი სტადიაა.

გარდამავალი პერიოდის დამთავრება ნიშნავს კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის — სოციალიზმის ფუნქციონირების დასაწყისს. სოციალიზმი კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზაა. ეს არის მისი ისტორიული ადგილი. მაგრამ სოციალიზმი დინამიკური საზოგადოებაა, რომელსაც გააჩნია საკუთარი განვითარების პერიოდები და ეტაპები. ეს პერიოდებია გამარჯვებული და განვითარებული სოციალიზმი, რომლის შიგნით გამოიყოფა ზრდის, სიმწიფის გარკვეული ეტაპები.

სსრ კავშირისა და მოამე სოციალისტური ქვეყნების ერთი ნაწილის ისტორიული გამოცდილება, აგრეთვე მარქსიზმის კლასიკოსთა, განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის შრომების ანალიზი საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზის ჩარჩოებში იწყება საზოგადოებრივი განვითარების ახალი პერიოდი, — გამარჯვებული სოციალიზმის ფუნქციონირებისა და განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი.

ისტორიულმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ გარდამავალი პერიოდის შემდეგ ერთიანი სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბება იყო საფუძვე-

ლის მომზადება განვითარებული სოციალიზმის მშენებლობისათვის. მცდარი იყო დებულება გამარჯვებული სოციალიზმის სტადიაზე კომუნისმის გაშლილი მშენებლობის იდეის წამოყენებისა. ამის შესახებ მიუთითა კ. უ. ჩერნენკომ. „...გარკვეულ პერიოდში, როგორც მოგხსენებთ, გავრცელებული იყო გამარტივებული წარმოდგენა კომუნისმის უმაღლეს ფაზაზე გადასვლის გზებისა და ვადების შესახებ. აჩქარებდა რა, ასე ვთქვათ, ჩვენს ოცნებას, ზოგიერთი თეორეტიკოსი, პროპაგანდისტი, თითქოსდა აშანდაკებდა გზის ოღროჩორობებს, რომლითაც ჩვენ მივდივართ, მოწყვეტილი იყო ცხოვრების რეალურ პირობებს“ [2, გვ. 42].

გამარჯვებული სოციალიზმი, რომელიც აუცილებელი პერიოდი სოციალისტური ფაზის ფარგლებში, ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებას იწყებს 30-იანი წლების ბოლოდან, ხოლო მისი დასასრული, ე. ი. განვითარებული სოციალიზმის აშენება, რომელიც სკკ პარტიამ განმარტა, როგორც უღრმესი სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარდაქმნათა მთავარი შედეგი, როგორც საბჭოთა ხალხის გმირული, თავგანწირული შრომის რეზულტატი, მოიცავს 60-იან წლებს. მაგრამ მისი სრული დამკვიდრება, როგორც აღვნიშნეთ, ერთდროული აქტი კი არ არის, არამედ ერთგვარი პროცესია, რომელიც სსრ კავშირში მოიცავს გარკვეულ პერიოდს.

განვითარებული სოციალიზმის აშენება აუცილებელ საფეხურს წარმოადგენს ყველა ქვეყნისათვის, რომელიც კომუნისტური მშენებლობის გზას დაადგება, მაგრამ ამ პერიოდისათვის არსებობს საერთო დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებანი და ჩვენი ქვეყნის განვითარების კონკრეტული ისტორიული პირობების შედეგად წარმოშობილი თავისებურებანი.

უპირველეს ყოვლისა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის არსებით თავისებურებას საბჭოთა კავშირში წარმოადგენდა ის, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა დაყრდნობოდა უმთავრესად მხოლოდ საკუთარ ძალებს. მომწიფებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჩვენს ქვეყანაში იქმნებოდა ისეთ ვითარებაში, როდესაც ჯერ კიდევ არა საკმაოდ აჩენდა თავის კეთილმყოფელ გავლენას შრომის საერთაშორისო სოციალისტური დანაწილება, მოძმე სოციალისტური სახელმწიფოების წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება. დებულობდა რა განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მორალურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების და მსოფლიოს სხვდასხვა ქვეყნის პროგრესული ადამიანების მხრივ, მაინც ძირითადი გზა განვითარებული სოციალიზმისაკენ საბჭოთა კავშირმა ისე გაიარა, რომ მხოლოდ საკუთარ რესურსებსა და შესაძლებლობებს ეყრდნობოდა. მეტიც, მას აუცილებლად უნდა გაეწია დიდი დახმარება სხვა სოციალისტური ქვეყნებისათვის.

მეორე თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ განვითარებული სოციალიზმის აშენება, რომელიც 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, შეაფერხა დიდმა სამამულო ომმა. საბჭოთა კავშირმა დაიცვა სოციალისტური მონაპოვრები, დაამარცხა ჰიტლერული გერმანია, მაგრამ ომმა დიდი უბედურება მოუტანა საბჭოთა ხალხს, გაართულა განვითარებული სოციალიზმის აშენების საქმე.

ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო გაშლა მხოლოდ მაშინ, როდესაც განვითარებული სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმი-

რება უკვე იმყოფებოდა დამამთავრებელ სტადიაში (50-იანი წლები). ეს იმას ნიშნავდა, რომ მომწიფებული სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში სრულყოფილად არ იყო გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები და შესაძლებლობანი.

მხედველობაშია მისაღები ის თავისებურებაც, რომ განვითარებული სოციალიზმის შექმნისას საბჭოთა ხალხი პირველი გზის გამკვალავი იყო მსოფლიოში. არ გააჩნდა რა მომწიფებული სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება და იმედა რა ამ გამოცდილებას უშუალო პრაქტიკის პროცესში, ძნელი იყო მთლიანად აგვეცილებინა ასეთ ღიდ საქმეში სხვდასხვა სახის შეცდომა და ნაკლოვანებანი.

განვითარებული სოციალიზმის ცნება, მარქსისტულ-ლენინურ თეორიულ ლიტერატურაში გზას იკავავს 60-იანი წლების უუახნებიდან და ეს შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა, იგი გამოწვეული იყო თვით ისტორიული პრაქტიკის მოთხოვნით. იმ ფაქტით, რომ მსოფლიო სოციალისტური სისტემა თავის განვითარების ახალ ხანაში შევიდა. სსრ კავშირში აშენდა განვითარებული სოციალიზმი, ხოლო რიგი სოციალისტური ქვეყნებისათვის მისი აშენება უახლოეს ისტორიულ ამოცანად იქცა.

ცნება „განვითარებული სოციალიზმი“ შემოტანილი იქნა ვ. ი. ლენინის მიერ. იგი ლენინის შრომებში გვხვდება რამდენჯერმე: შრომაში, პირვანდელი მონასახი სტატიისა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, რომელიც დაწერილია 1918 წლის მარტში [6, ტ. 36, გვ. 139]. მოხსენებაში სრულად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ VIII მოწვევის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველ სესიაზე, 1920 წლის 2 თებერვალს [1, ტ. 30, გვ. 396]. და საბოლოო სიტყვაში ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო რკპ (ბ) IX ყრილობაზე, იმავე წლის მარტში [1, ტ. 30, გვ. 564].

საზოგადოებრივი განვითარების სოციალისტური ფაზის შიგნით განვითარებული სოციალიზმის განსაკუთრებული საფეხურის გამოყოფა ლენინური იდეაა, პირადად ვ. ი. ლენინის დამსახურებაა.

აღსანიშნავია რომ, მარქსისა და ენგელსის მსგავსად, ვ. ი. ლენინი გადაჭრით გამობდა კომუნისტური საზოგადოების განვითარების ეტაპების გაშლილ დახასიათებას. 1917 წელს ვ. ი. ლენინი წერდა „ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას, რომ მარქსმა ან მარქსისტებმა იციან სოციალიზმისაკენ წამყვანი გზა მთელი მისი კონკრეტულობით. ...ჩვენ ვიცით ამ გზის მიმართულება, ჩვენ ვიცით, თუ რა კლასობრივ ძალებს მიეყვარათ ამ გზით, ხოლო კონკრეტულად, პრაქტიკულად, ახალ გვიჩვენებს მხოლოდ მილიონების გამოცდილება, როდესაც ისინი ხელს მოჰკიდებენ საქმეს“ [1, ტ. 25, გვ. 340]. უფრო მოგვიანებით, როდესაც უკვე არსებობდა სოციალისტური მშენებლობის პირველი თვეების გამოცდილება, ლენინი გადაჭრით გამოვიდა ბუხარინის წინადადების წინააღმდეგ, რომ რკპ (ბ) პროგრამაში მოცემული ყოფილიყო „სოციალისტური წყობილების დახასიათება გაშლილი სახით“ „არა მარტო წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების აზრით, არამედ მეტად თუ ნაკლებად კონკრეტული სახით“ [7, გვ. 151—152].

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის დამახასიათებელი ნიშნებისა და კონკრეტული

ფორმების განხილვის დროს განვითარებული სოციალიზმის პირობებში. ვ. ი. ლენინი გადაჭრით გამოხატა აბსტრაქტულ მსჯელობას განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შესახებ, რომელსაც შეიცავდა მაგალითად რკპ (ბ) IX ყრილობისადმი წარდგენილი მოსკოვის საგუბერნიო კომიტეტის თეზისები და რომელშიც, ლენინის სიტყვებით „ნათამალიც კი არ არის არც პრაქტიციზმისა, არც საქმიანობისა“ [1, ტ. 30, გვ. 565].

როდესაც ლენინმა მოგვცა ცნება „განვითარებული სოციალისტური საზოგადოება“, საბჭოთა ქვეყანაში მხოლოდ დაიწყო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდი. მაშინ ძნელი იყო თვით გარდამავალი პერიოდის ყველა ეტაპის ზუსტი გათვალისწინებაც კი, მით უფრო საკუთრივ სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურის კონკრეტული განჭვრეტა და მათი მეცნიერული დახასიათების მოცემა. „ჩვენ, — წერდა ლენინი იმავე 1918 წელს, — ეს-ეს არის პირველი ნაბიჯი გადავდგით, რათა კაპიტალიზმი საესეებით ჩამოვიბერტყოთ და დავიწყოთ სოციალიზმში გადასვლა, რამდენი იქნება კიდევ გარდამავალი ეტაპი სოციალიზმისაკენ, ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლია ვიცოდეთ“ [1, ტ. 27 გვ. 142].

ამიტომაც, ბუნებრივია, ლენინს არ მოუცია და არც შეეძლო მოეცა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების გაშლილი დახასიათება. მიუხედავად ამისა, ლენინის იდეას იმის შესახებ, რომ არა მარტო თვით სოციალისტურ საზოგადოებას, არამედ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდსაც კი გააჩნია თავისი განვითარების ეტაპები, რომ სოციალისტური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი საფეხური იქნება განვითარებული ანუ მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება, აქვს უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის მარქსისტული თეორიისა და პრაქტიკისათვის. ვ. ი. ლენინის ამ იდეაზე დაყრდნობით, როგორც უკვე აღინიშნა, საბჭოთა კავშირისა და მოძმე კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა შეიმუშავეს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების კონცეფცია.

მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურაში განვითარებული სოციალიზმის დამახასიათებელი ნიშნებისა და კომუნისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში საზოგადოებრივი განვითარების ამ პერიოდის ისტორიული ადგილის შესახებ განსხვავებული აზრებია გამოთქმული. მათ სწორ განსაზღვრას კი აქვს არა მარტო მეცნიერული, არამედ პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა. ასეთი განსაზღვრა კიდევ ერთხელ ადასტურებს საზოგადოების განვითარების როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესის კანონზომიერ ხასიათს, გვიჩვენებს, ერთს მხრივ, ბურჟუაზიული იდეოლოგიების მტკიცების უსუსურობას, რომლებიც ცდილობენ უარყონ ეს კანონზომიერება და, მეორეს მხრივ, ააშკარავენ „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს, რომლებიც ცდილობენ მთლიანად უგულვებელჰყონ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურად აუცილებელი საფეხურები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოთ აღნიშნულ ახალ დოკუმენტებში ბევრ სადავო საკითხზეა გაცემული კონკრეტული პასუხი.

ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკურ კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევა. კერძოდ ასეთი

აზრი აქვს გამოთქმული ბულგარელ მეცნიერს, პროფესორ ნ. ირიბაჯაკოვს. [9, გვ. 47, 122].

ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება განვითარებული სოციალიზმის კრიტერიუმების ფორმულირება დაკავშირებული იყოს არა სოციალისტური განვითარების გარეგან ფაქტორებთან, არამედ გამომდინარეობდეს სოციალიზმის შინაგანი სოციალურ-ეკონომიკური არსებიდან, იმ მოთხოვნილებებიდან და მაჩვენებლებიდან რომლებიც აუცილებელია ამა თუ იმ დარგში, რათა სოციალიზმმა მიიღოს განვითარებული სახე, სრულად გამოავლინოს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები და კანონზომიერებანი.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ისეთი აზრიც, რომ თუ სოციალისტურმა საზოგადოებამ საწარმოო ძალების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების დარგში ვერ გაუსწრო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნების დონეს, მას შეიძლება ეწოდოს სოციალისტური, ამ სიტყვის მხოლოდ არასრული მნიშვნელობით.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი გადაჭრით იბრძოდა II ინტერნაციონალის ლიდერების წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ ოქტომბრის რევოლუციის სოციალისტურ ხასიათს და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობას იმ საფუძველზე, რომ საწარმოო ძალების განვითარებისა და კულტურის დონე, დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რუსეთში დაბალი იყო. ზემოთ მოყვანილ მსჯელობათა მომხრეები საკითხს სოციალიზმის, როგორც მუდმივად განვითარებადი სოციალური ორგანიზმის სიმწიფის საფეხურის შესახებ, ცვლიან საკითხით, ორი მსოფლიო სისტემის ეკონომიურ შეჯიბრებაში სოციალიზმის კაპიტალიზმზე გამარჯვების შესახებ. ვ. ი. ლენინი ხაზს უსვამდა, რომ შრომის ნაყოფიერება ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი წყობილების გამარჯვებისათვის. შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების მიხედვით ჩვენი ქვეყანა ყოველთვის უსწრებდა კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამაში ნათლად ჩანს სოციალიზმის უპირატესობანი.

საზოგადოებრივი განვითარების სიმწიფის საფეხურის შესახებ არ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ საწარმოო, ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული სოციალური კრიტერიუმებიც. არ უნდა დაგვამყოფილდეთ მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლების შეჯერებით: ერთმანეთს დაეუპირისპიროთ სოციალისტური და განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მაჩვენებლები და მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების გარკვეული დონე იმპერიალისტურ სამყაროში დაფუძნებულია საკუთარი ქვეყნების მუშათა კლასის და ყველა მშრომელის უღმობელ ექსპლოატაციასა და კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების უღმობელ ძარცვაზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევაში, განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შედარებით, წარმოების უფრო მაღალი დონე შეიძლება ქონდეს იმ ქვეყნებსაც, რომლებმაც მხოლოდ დაიწყეს სოციალისტური მშენებლობა. ამასთან, რომელიმე სოციალისტურ ქვეყანაში ძალზე მაღალიც რომ იყოს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების დონე, თუ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ინარჩუნებს ექსპლოატატორული კლასების ნაშთებს და ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, ასეთ

საზოგადოებას არ შეიძლება ეწოდოს განვითარებული სოციალისტური საზოგადოება.

მომწიფებული სოციალიზმის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმების განსაზღვრისას, განსაკუთრებით საწარმოო ეკონომიკურ სფეროში, ა. პ. ბუტენკოს აზრით, მეთოდოლოგიურად არასწორია, როდესაც ისინი გამოჰყავთ კაპიტალისტური ქვეყნების მიღწეული ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ საკითხის დაყენება განვითარებული სოციალიზმის კრიტერიუმების შესახებ სრულიად არ არის დამოკიდებული კაპიტალიზმის არსებობა ან არარსებობაზე [8, გვ. 52—53].

პასუხი საკითხზე განვითარებული სოციალიზმის კრიტერიუმების შესახებ გაცემული უნდა იქნეს გამომდინარე თვით სოციალისტური განვითარების იმ საფეხურისადმი წაყენებულ მოთხოვნილებებიდან და არა იმის მიხედვით თუ რას გვაძლევს ან რისი მოცემა შეუძლია განვითარებულ კაპიტალიზმს.

მიუხედავად ამისა, დასაშვებია განვითარებული სოციალიზმისა და განვითარებული კაპიტალიზმის ურთიერთდაპირისპირება და შედარება. საქმე იმაშია, რომ თანამედროვე სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმი თავის თავში შეიცავს, როგორც რეალურ ფაქტს, მომავალი სოციალიზმის მატერიალურ წინამძღვრებს და ეს მატერიალური წინამძღვრები გარკვეული ზომით განსაზღვრებენ კიდევ თუ როგორი იქნება სოციალიზმი და განვითარებული სოციალიზმიც ამ ქვეყნებში.

ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურის შესახებ არ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათთან დიალექტიკურ კავშირში მყოფი საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

პარტიამ მოგვცა ზუსტი ორიენტირი იმის შესახებ, თუ მომწიფებული სოციალიზმის განვითარების რა ეტაპზე იმყოფება ამჟამად საბჭოთა ხალხი. მიგვიითია, რომ განვითარებული სოციალიზმი არ არის სოციალისტური საზოგადოების განვითარების მოკლე მონაკვეთი, რომ ეს არის სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი, რომლის დასაწყისშიც საბჭოთა საზოგადოება იმყოფება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ აღნიშნა: „საბჭოთა საზოგადოებას დაუდგა განვითარებული სოციალიზმის ისტორიულად ხანგრძლივი ეტაპი; მისი ყოველმხრივი სრულყოფა ჩვენი სტრატეგიული ამოცანაა.

უკვე ამ დებულებაში თვალნათლივ არის გამოხატული ჩვენი განვითარების თანამედროვე სტადიის დიალექტიკა. ეს არის მომწიფებული სოციალიზმის ეტაპი. მაგრამ ეს მხოლოდ ეტაპის დასაწყისია“ [2, გვ. 36].

საგულისხმოა აღნიშნოს, რომ ზოგიერთი მეცნიერი შეეცადა სოციალიზმი წარმოედგინა დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციად (მხედველობაში გვყავს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ჰეიდენი და სხვები). მაგრამ ეს შეხედულება მცდარია რადგანაც ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების მარქსისტულ-ლენინურ განსაზღვრას. კომუნისტური საზოგადოების განვითარების ორივე ფაზა ერთ ფორმაციას წარმოადგენს იმიტომ, რომ ორივე მათგანი ემყარება ერთსა და იგივე ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საფუძველს.

განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემოქმედებით განვითარებაზე მიუთითებს თეზისი იმის შესახებ, რომ მომწიფებულ სოციალიზმს „ექნება თავისი პერიოდები, ზრდის საფეხურები“ (ი. ვ. ანდროპოვი).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოკლედ შევეხოთ საკითხს საზღვრების გრადაციის შესახებ სოციალიზმის დამკვიდრების და განვითარების პერიოდებსა და საფეხურებს შორის. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ „საზოგადოების ისტორიის ეპოქები, მსგავსად დედამიწის ისტორიის ეპოქებისა, არ განიყოფიან ერთმანეთისაგან აბსტრაქტულად მკაცრი საზღვრებით“ [5, ტ. 23, გვ. 382]. ეს დებულება მნიშვნელოვანწილად განეკუთვნება არა მარტო ისტორიულ ეპოქებს, არამედ საზოგადოებრივი განვითარების პერიოდებსა და საფეხურებს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ზღვარი ბუნებასა და საზოგადოებაში აბსოლუტური კი არ არის, არამედ პირობითი და მოძრავია, შეფარდებითი“ [1, ტ. 21, გვ. 165].

მართალია გამოიყოფა ისეთი ეტაპები, რომელთა საზღვრები (დაწყებისა და დამთავრების მომენტები) საკმაოდ ზუსტად არიან ფიქსირებული ქრონოლოგიურად. როგორც წესი, შეიძლება ზუსტად განვსაზღვროთ გარდამავალი პერიოდის დაწყება, მაგრამ მისი დამთავრება და სოციალისტური ფაზის დაწყება, თუმცა მათ შორის გარკვეული ზღვარი არსებობს, მეტად ძნელია რაიმე კალენდარული თარიღით აღინიშნოს, გამარჯვებული სოციალიზმის პირობებშიც კი მეტად თუ ნაკლებად ხანგრძლივი დროის მანძილზე შეიძლება შენარჩუნებული იქნეს გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი, თუმცა ისინი აღარ არიან განმსაზღვრელნი.

გვხვდება ისეთი მაგალითებიც, როდესაც გადასვლები ერთი პერიოდისა და ან საფეხურიდან მეორეში შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ, როდესაც მათი ნიშნები ერთმანეთში არიან ვადანალართულნი, ხოლო საზღვრები მათ შორის თითქმის წაშლილია. შეუძლებელია, მაგალითად, კალენდარული თარიღით განვსაზღვროთ როდის მთავრდება განვითარებული სოციალიზმის მშენებლობის პერიოდი და იწყება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების ფუნქციონირების პერიოდი. იგივე შეიძლება ითქვას თვით განვითარებული სოციალიზმის შიგნით გარკვეული პერიოდებისა და საფეხურების გრადაციის შესახებ. ეს გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების პროგრესი არ შეიძლება იყოს აბსოლუტურად თანაზომიერი, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „...ძველის ნაშთებს ახალში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვიჩვენებს ცხოვრება, ბუნებაშიც და საზოგადოებაშიც“ [1, ტ. 25, გვ. 587].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ განვითარებული სოციალიზმის პერიოდს უნდა მოჰყვეს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სიმწიფის ახალი პერიოდი — მაღალგანვითარებული სოციალისტური საზოგადოება, რომელიც სოციალისტური ფაზის უმაღლესი და უკანასკნელი სტადია, სრული კომუნისმის უშუალო წინაღვე იქნება¹.

¹ «Вопросы истории», 1971, № 20, с. 10, «Известия академии наук СССР. Серия экономическая», т. 3, 1971, с. 96, Г. М. Пелица. Советский союз—развитое социалистическое общество. Волгоград, 1973, с. 28.

ამ თვალსაზრისის მომხრენი ვარაუდობენ, რომ სწორედ მაღალგანვითარებული სოციალიზმის პერიოდში იქნება მიღწეული საწარმოო ძალების განვითარების, კაპიტალიზმისათვის პრინციპულად მიუღწეველი დონე, რომელიც ერთიანი საერთო-სახალხო სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფუნდამენტი გახდება. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი მტკიცების საფუძველს არ გვაძლევს არც მარქსიზმის კლასიკოსთა შრომები და არც კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა.

ვფიქრობთ, კომუნისტური ფორმაციის პირველ ფაზაში, მომწიფებულ სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და სრულყოფის პროცესში, (როგორც უკვე აღვნიშნეთ), სავსებით დასაშვებია სიმწიფის ახალ-ახალი საფეხურების მიღწევა და შესაძლებელია საკუთრების ერთი საერთო-სახალხო ფორმის, აგრეთვე უკლასო საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ამისათვის სრულიადაც არ არის აუცილებელი ახალი პერიოდის გამოყოფა განვითარებულ სოციალიზმსა და კომუნიზმს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ განვითარებული სოციალისტური საზოგადოება წყვეტს არა უშუალოდ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებს, არამედ ამზადებს პირობებს კიდევ ერთი განსაკუთრებული სტადიის დასამკვიდრებლად, რაც არასწორია. პარტიულ დოკუმენტებში გარკვევით არის მითითებული კომუნისტური მშენებლობის სადღეისო ამოცანებზე. „...განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის ამოცანების გადაწყვეტის პროცესში ხდება კომუნიზმისაკენ თანდათანობით წინსვლა“ აღნიშნა კ. უ. ჩერნენკომ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე 1984 წლის 3 მარტს.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის პროპორციული, პარმონიული განვითარება. მაგრამ კომუნიზმში გადასვლა არ ნიშნავს წინააღმდეგობებისაგან თავისუფალ უბრალო ევოლუციურ პროცესს. ამიტომ არის, რომ საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ჩვენი საზოგადოების არაანტაგონისტური წინააღმდეგობების გამოვლინებასა და შესწავლას. „როგორც ცნობილია — აღნიშნა კ. უ. ჩერნენკომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, — თეორიისა და პრაქტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს წინააღმდეგობების — საზოგადოებრივი განვითარების მამოძრავებელი ძალის საკითხს. იგი ცუდად როდია დამუშავებული კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისათვის. დღეს ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ მომწიფებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელი არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი, ...მათი გადაწყვეტის თავისებურებანი“ [2, გვ. 40].

კ. მარქსის მოძღვრებაზე დაყრდნობით ვ. ი. ლენინმა განმარტა რა ეს საკითხი მიუთითა: „ანტაგონიზმი და წინააღმდეგობანი სრულიად არ არის ერთი და იგივე. სოციალიზმის დროს პირველი ქრება მეორე კი რჩება“. ამ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა დღეს, როცა მიმდინარეობს ბრძოლა ჩვენი წინსვლის წინააღმდეგობათა დასაძლევად, თანამედროვე პირობებში განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში საჭიროა ამ ეტაპის წინააღმდეგობათა ყოველმხრივი გამოვლენა და შესწავლა. ჩვენი საზოგადოებათმცოდნეობა მოვალეა — წერს კ. უ. ჩერნენკო — იკვლევდეს უპირველესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ისეთ საკითხებს, როგორცაა წინააღმდეგობათა ბუნება და სახეობანი, რომლებიც

დამახასიათებელია საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც მათ ეზობენ და არ ცდილობდეს როგორც ზოგჯერ ხდება ხოლმე, ყველა არსებული სიძნელე და ნევრატული მოვლენა ადამიანთა შეგნებაში „წარსულის გადმონაშთებს“ მიაწეროს. აღნიშნული პრობლემის ყოველმხრივი თეორიული ანალიზი პარტიას ეხმარება უფრო ღრმად ჩასწვდეს წამოჭრილ წინააღმდეგობათა ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა მიზეზებს, დროულად და ეფექტიანად სძლევედეს მათ [4, გვ. 670].

განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში შეიძლება გამოიყოს ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების რამოდენიმე ძირითადი ჯგუფი.

პირველ რიგში სოციალისტური საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების დიალექტიკური წინააღმდეგობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენ საზოგადოებაში არსებული კლასების, სოციალური ჯგუფების და საზოგადოებრივი ფენების სპეციფიკური ინტერესების არსებობისაგან. ასე მაგალითად: წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშობა წარმოების მიღწეულ დონესა და საზოგადოების, მისი ყოველი წევრის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებს შორის. მოთხოვნილებები, როგორც წესი, ყოველთვის უსწრებს წარმოების არსებულ მდგომარეობას, რაც საზოგადოებას აძლევს განვითარების იმპულსს. ბუნებრივია, რომ მოხმარება შეიძლება მხოლოდ იმისა რაც წარმოებულია საზოგადოებაში, მაგრამ მოთხოვნილება, რომელიც რეგულირებას ნაკლებად ემორჩილება, წარმოშობს ხოლმე უგუნურ მოთხოვნებს, სხვადასხვაგვარ პარაზიტულ ტენდენციებს. აღნიშნული წინააღმდეგობის გადაჭრისათვის საჭიროა, როგორც საზოგადოებრივი წარმოების ტემპების ზრდა, მოხმარების საგნების საკმაო რაოდენობით არსებობა და ხარისხის გაუმჯობესება, ასევე აუცილებელია საზოგადოების თითოეულ წევრში შეგნებული მომხმარებლური ფსიქოლოგიის მიზანდასახული ფორმირება, ბრძოლა ისეთი ტენდენციების წინააღმდეგ, როგორიცაა მემშანური მომხმარებლური ფსიქოლოგია, წამგლეჯობა, მუქთახორობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა განხილული წინააღმდეგობის გადაჭრისათვის აქვს საზოგადოებრივი განაწილების, ეკონომიკური მექანიზმის, დაგეგმვის ფორმების სრულყოფას. აღნიშნული ამოცანების გადაჭრისათვის, როგორც ყველასათვის ცნობილია, სკკ პარტია ახორციელებს მოქმედების ფართო პროგრამას.

მომწიფებულ სოციალიზმს წინააღმდეგობების მეორე ჯგუფი წილად ხვდა ძველი საზოგადოებიდან, ეს წინააღმდეგობები წარმოშობილია ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებისაგან და არ გამომდინარეობენ სოციალიზმის ბუნებიდან. ქალაქთან შედარებით სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო ჩამორჩენილობა, სახალხო მეურნეობაში დაბალკვალიფიციური მძიმე ხელით შრომის არსებობა, ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში ჯერ კიდევ შემორჩენილი სუსტად განვითარებული მეურნეობა — ყველა ეს ჩვენი საზოგადოების რეალური პრობლემებია, რომლის გადაწყვეტა შესაძლებლობას მოგვცემს თავი დავაღწიოთ ძველი მემკვიდრეობისაგან და დავამკვიდროთ ქემშარბიტად სოციალისტური საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ორგანიზაციის ფორმები.



17.869

წინააღმდეგობების განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს დაპირისპირებულობა სოციალისტურ საზოგადოებასა და ძველი საზოგადოების ე. წ. „თანშობილ ლაქებს“ შორის ადამიანთა შეგნებასა და ქცევებში. საქმე ეხება ისეთ მოვლენებს, როგორცაა: სპეკულაცია, ბიუროკრატიზმი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, მტაცებლობა, ნაციონალისტური რეციდივები და სხვა ანტისოციალისტური ტენდენციები, რომლებიც ამუხრუჭებენ ჩვენს წინსვლას. ეს მოვლენები არა თუ გამომდინარეობენ სოციალიზმის ბუნებიდან, არამედ წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის უცხოთა და მტრულს. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში არ არსებობს კლასები და სოციალური ძალები, რომლებიც ცდილობდნენ შეინარჩუნონ ძველი, სოციალისტური მორალის ანტიბოლდური მოვლენები. მიუხედავად ამისა ამ საზოგადოებაშიც არსებობენ არასოციალისტური მორალის ადამიანები, რომლებიც თავიანთი ეიწრო ეგოისტური შეხედულებებით უგულვებელყოფენ ამა თუ იმ კოლექტივის ან მთელი საზოგადოების ინტერესებს. დრომოჭმული ტენდენციების მატარებლად გამოდიან არა კლასები და სოციალური ფენები, არამედ ინდივიდები ან პატარა ჯგუფები, ამიტომ არის რომ ასეთი წინააღმდეგობა არ შეიძლება ჩაითვალოს სოციალურ ანტაგონიზმად. ჩვენი საზოგადოება ყოველმხრივ ამხელს ასეთ გამოვლინებას, ქმნის შრომით კოლექტივებში, მთელ საზოგადოებაში ასეთი ადამიანების მიმართ მოუთმენლობის ატმოსფეროს.

განვითარებული სოციალიზმის თავისებურებებს წარმოადგენს ის, რომ წინააღმდეგობების გამწვავება, ახლის ბრძოლა ძველის წინააღმდეგ მიმდინარეობს არა კლასებს ან სოციალურ ჯგუფებს შორის, (როგორც ამას ადგილი ჰქონდა გარდამავალ პერიოდში და ნაწილობრივ ძირითადად აშენებული სოციალიზმის დროსაც), არამედ ყველა კლასისა და სოციალური ფენის შეგნებულ უმრავლესობასა და საზოგადოების ზოგიერთ წევრს შორის, რომელთათვისაც დამახასიათებელია: ინერტულობა, ჩამორჩენილობა, უდისციპლინობა, ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა. მნიშვნელოვანია ის, რომ ბრძოლის ეს ფრონტი, როგორც აღნიშნულია პარტიულ დოკუმენტებსა და მეცნიერულ ლიტერატურაში, მოქმედებს საბჭოთა ადამიანების ფსიქიკაზე, მათ ინდივიდუალურ ცნობიერებაზე, ეხება ემოციონალურს. ეს პარტიას უყენებს ახალ მოთხოვნილებებს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სტილის გაუმჯობესებასა და აგიტაცია-პროპაგანდის სრულყოფის საქმეში. ამის შესახებ მკაფიოდ აღნიშნა თავის მოხსენებაში აშ. კ. უ. ჩერენკომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე.

ჩვენი საზოგადოების წინააღმდეგობათა პრობლემატიკის წარმოჩინება და მისი გადაჭრის გზების ძიება ნათელი დადასტურებაა პარტიის ზრუნვისა განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება დინამიკური საზოგადოებაა, იგი სოციალისტური საზოგადოების უმაღლესი და უქანასკნელი საფეხურია, რომლის ყოველმხრივი სრულყოფის კვალდაკვალ უნდა მოხდეს კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლა.

როდესაც ვეხებით საკითხს განვითარებული სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის შესახებ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საზოგადოებრივი განვითარების ეს საფეხური მხოლოდ ნაწილია კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზისა. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა კომუნისტური

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რესპუბ.
კომუნისტური



ფორმაციის ორი ფაზის გამიჯვნის აუცილებლობაზე. ასეთი გამიჯვნა აუცილებელია იმიტომ, რომ სწორად იქნეს გაგებული კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ობიექტური ხასიათი და სოციალიზმის კომუნისმში გადაზრდის პროცესი, სწორად იქნეს განსაზღვრული სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანები. ორი ფაზის მეცნიერული გამიჯვნა გულისხმობს მათი საერთო ნიშნებისა და არსებით განსხვავებათა გარკვევას. ამავე დროს ყოველთვის უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ მეცნიერული გამიჯვნა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ერთიანი — კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ორი ფაზის ერთმანეთისაგან ხელოვნურ მოწყვეტას.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა არის განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფა. ამაშია სოციალიზმის კომუნისმში გადაზრდის დიალექტიკის არსი. განვითარებული სოციალიზმის კომუნისმში გადაზრდა უნდა მოხდეს მათი საერთო ნიშნების განმტკიცებისა და შემდგომი ყოველმხრივი სრულყოფის გზით. სოციალიზმსა და კომუნისმს შორის არ არის რაიმე განსაკუთრებული გარდამავალი პერიოდი, რადგან თვით განვითარებული სოციალიზმის შემდგომი ყოველმხრივი სრულყოფა გარკვეულ ეტაპზე წარმოადგენს კომუნისმში მის გადაზრდას.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა სოციალიზმის კომუნისმში გადაზრდის ძირითად თავისებურებებზე, იგი წერდა: „სოციალიზმი თანდათანობით აუცილებლად უნდა გადაიზარდოს კომუნისმში“ [1, ტ. 24, გვ. 62].

მაშასადამე, გადაზრდა ხდება, პოლიტიკური რევოლუციებისა და სოციალური შერყევების გარეშე. სოციალური ევოლუციების ერა პოლიტიკური რევოლუციების გარეშე დადგება იმიტომ, რომ წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება საკუთრების იტორიულად უკანასკნელი და უმაღლესი ტიპია, რომელიც თავისი განვითარების პროცესში უცვლელად ინარჩუნებს საზოგადოებრივ ხასიათს და საწარმოო ძალების განვითარების, საზოგადოებრივი პროგრესის უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა.

კომუნისმში გადასვლის თანდათანობითობა, ამავე დროს, არ შეიძლება გავიგოთ როგორც შენელებული მოძრაობა, როგორც განვითარება წინააღმდეგობებისა და ნახტომების გარეშე. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებით იწყება „...სწრაფი, ნამდვილი, მართლაც მასობრივი, მოსახლეობის უმრავლესობისა, შემდეგ, კი მთელი მოსახლეობის მონაწილეობით წარმოებული წინსვლა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა დარგში“ [1, ტ. 25, გვ. 588].

სოციალიზმის კომუნისმში გადაზრდა — ეს განვითარების დაჩქარებული პროცესია სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. კომუნისმზე გადასვლის თანდათანობითობა გულისხმობს ნახტომებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების განვითარებაში. დამახასიათებელ ნახტომებად შეიძლება ჩათვალოს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, გადასვლა ერთიან კომუნისტურ საკუთრებაზე, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკური და გონებრივი შრომის აღამიანებს შორის არსებით განსხვავებათა მოსპობა და სხვა.

განვითარებული სოციალიზმის პირველი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის — გამოცდილება სოციალიზმის ისტორიულ უპირატესობათა ნათელი და-

დასტურებაა კაპიტალისტური წყობის მიმართ. იგი შთამაგონებელი მაგალითია სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ყველა ხალხსათვის, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობისათვის.

Н. Д. ХОМАНУРИДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СТРОИТЕЛЬСТВА И ФУНКЦИОНИРОВАНИЯ РАЗВИТОГО СОЦИАЛИЗМА

Резюме

Вопрос об историческом месте развитого социализма, особенностях и закономерностях его строительства и развития относится к числу одной из важнейших и наиболее актуальных проблем теории и практики марксизма-ленинизма.

В реальном опыте Советского Союза и других стран социализма получает все более полное воплощение разработанное марксизмом-ленинизмом учение о сущности общественной системы социализма и о важнейших характерных чертах этой системы на этапе зрелого социализма. Вместе с тем жизнь постоянно обогащает наши знания по этому вопросу, уточняет сложившиеся представления.

Некоторые вопросы, связанные с исследуемой проблемой, освещены с недостаточной глубиной — в специальной литературе о них порою высказаны даже противоречивые взгляды. XXVI съезд КПСС, июньский (1983) Пленум ЦК КПСС и другие новые партийные документы разработали ряд новых важных положений, что позволяет дать более полную характеристику общественной системы зрелого социализма. Статья содержит попытку освещения некоторых вопросов строительства и функционирования развитого социализма в свете новых партийных документов.

ლიტერატურა

1. ლენინი ვ. ი. თხზ. სრ. კრებული.
2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1983, 14—15 ივნისი, თბ., 1983.
3. ანდროპოვი ი. ვ. კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი, ეურნ. „კომუნისტი“, 1983, № 3.
4. ჩერნენკო კ. უ. რჩეული სიტუაციები და სტატიები, მოსკოვი, 1984 (რუს.).
5. Маркс К. и Энгельс Ф. Сочинения.
6. Ленин В. И. Полн. собр. соч.
7. Седьмой экстренный съезд РКП(б). Стеногр. отчет. М., 1962.
8. Бутенко А. П. Историческое место и основные черты развитого социалистического общества. М., 1972.
9. Ирибаджаков Н. Развитое социалистическое общество. М., 1974.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

შალვა ხიდაშელი

ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიური წყაროების
საკითხისათვის

ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევისა და მისი წყაროების განსაზღვრის თვალსაზრისით აზრთა საკმაოდ დიდი სხვადასხვაობა არსებობს. საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფია მატერიალისტურია (ამავე დროს ათეისტური), თუმცა მატერიალიზმი მასთან შემოსილია „პანთეისტურ სამოსელში“ [2, გვ. 28]. რევოლუციამდელი რუსეთის და დასავლეთის მეცნიერების წარმომადგენლებისათვის ბრუნოს ფილოსოფიის ძირითადი თავისებურება პანთეიზმში მდგომარეობს. ეს აზრი შეიძლება ჩაითვალოს გაბატონებულ შეხედულებად მკვლევართა დიდი უმრავლესობისათვის.

თანამედროვე დასავლეთის მეცნიერებაში გამოქმეულია დებულება, რომ ბრუნოს ფილოსოფია ტიპიურ ნეოპლატონიზმს წარმოადგენს [2, გვ. 168; 3, გვ. 74].

საბჭოთა მეცნიერების დიდი ნაწილი, მათ შორის ა. გორფუნკელი, ავტორი მონოგრაფიული გამოკვლევისა ბრუნოს შესახებ, კატეგორიულად უარყოფს ბრუნოს ფილოსოფიის ნეოპლატონისტურ ხასიათსაც და ნეოპლატონისტურ წარმომავლობასაც.

ხსენებული მეცნიერის აზრით, ბრუნო უარყოფდა როგორც არისტოტელეს ფორმას, ასევე პლატონის იდეებს, როგორც სამყაროს აქტიურ პირველსაწყისებს, ის „უკუაგდება“ აგრეთვე „სქოლასტიკურ გაგებას მატერიისა, როგორც სუფთა „შესაძლებლობისა“ და ნეოპლატონისტურ მოძღვრებას მატერიაზე, როგორც „არარსზე“. ბრუნო თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კითხვებზე პასუხს „ეძებდა შუა საუკუნეების ფილოსოფიის პანთეისტურ ტრადიციაში“ და „დახმარება“ მას ამ კითხვების გადაწყვეტაში გაუწიეს ფილოსოფოსებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ „ნატურალისტურ ტენდენციას არისტოტელიზმში“. ხოლო ამ ტენდენციას კონკრეტულად მიეყვარათ არისტოტელეს „უდიდეს კომენტატორად“ წოდებულ ავეროესამდე (იბნ-როშდამდე) [2, გვ. 75].

იმ მკვლევარებისათვის, რომლებიც არისტოტელეს საბჭოთა მეცნიერებაში გაბატონებული შეფასებიდან და ამ მოაზროვნის როლის გაგებიდან ამოდიან, კერძოდ შუა საუკუნეების ფილოსოფიის განვითარებაში, ბრუნოს დამოკიდებულება არისტოტელესადმი ქმნის, გარკვეულ სიძნელეს, რომელიც გამოსავალს პოულობს დებულებაში: ბრუნოს კრიტიკა ეხება, „სქოლასტიზირებულ არისტოტელეს“, რომელიც „შეგუებული“ და, მაშ, გაყალბებული იყო სქოლასტიკის (განსაკუთრებით მისი მესამე პერიოდის) წარმომადგენელთა მხრივ. ამგვარი დებულების მრავალგზისი გამეორების გვერდით ეხედვით ყრუდ ნათქვამ ფრაზას იმის შესახებაც, რომ ბრუნოს კრიტიკა ეხება „არა მხოლოდ შუა საუკუნეების არისტოტელიზმს, არამედ არისტოტელეს ნამდვილ მოძღვრებასაც“. რაც შეეხება პოზიციას, საიდანაც აწარმოებს ბრუნო არისტოტელეს „ნამდვილი მოძღვრების“ კრიტიკას, ესაა „პელიოცენ-

ტრისტული სისტემის ფილოსოფიური განზოგადების სიმძლევები“ და არა რომელიმე ფილოსოფიური მოძღვრება იმავე ანტიკური მემკვიდრეობიდან [4, გვ. 81].

საბჭოთა მეცნიერებაში გავრცელებული და ერთ დროს გაბატონებული შეხედულება ნეოპლატონიზმზე, როგორც ანტიკური კულტურის დაკნინების იდეოლოგიური გამოხატულების ფილოსოფიაზე, რომელსაც მხოლოდ უარყოფითი გავლენა შეეძლო მოეხდინა შუა საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე და შემბორკავი როლი შეესრულებინა აზროვნების პროგრესში, განსაზღვრავს საბჭოთა მეცნიერების ერთი ნაწილის თვალსაზრისს ბრუნოს დამოკიდებულების საკითხში ნეოპლატონიზმისადმი.

მ. დინიკის დამოწმებულ ნაშრომში, რომელიც წაკითხულ იქნა საერთაშორისო სიმპოზიუმზე („აღორძინების მზე“, ქ. ბრიუსელი, 1963, აპრილი), ბრუნოს წინამორბედთა შორის დასახელებულია ჰერაკლიტე, არისტოტელე, პლატონი, იბნ-როსდი, იბნ-სინა, მაგრამ არსად არაა ნახსენები არც ნეოპლატონიზმი და არც მისი რომელიმე წარმომადგენელი.

იმავე ავტორის შესავალ წერილში, რომელიც დართული აქვს ბრუნოს დიალოგების რუსულ გამოცემას [2], ნათქვამია, რომ „ბრუნოს წინამორბედი ფილოსოფიაში, რომელმაც მოახდინა პირდაპირი გავლენა მის მოძღვრებაზე „დაპირისპირებულთა დამთხვევის შესახებ“ იყო ნიკოლაუს კუზანელი“; ამავე მოაზროვნემ წამოაყენა „ფეოდალური მსოფლმხედველობის წინააღმდეგ არაორაზროვნად მიმართული დებულება: „ქვეშაობის შესაცნობად... აუცილებელია მივმართოთ «ბუნების წიგნს»“. რაც შეეხება მოძღვრებას „დაპირისპირებულთა დამთხვევის“ შესახებ, აქ, ავტორის აზრით, „კუზანელის ფილოსოფიის გულუბრყვილო და პრიმიტიული დიალექტიკური ელემენტები შემდეგში გადამუშავებული იყო ბრუნოს მიერ“ [2, გვ. 14]. ავტორი აღნიშნავს „ფილოსოფიის ბურჟუაზიულ ისტორიაში“ შემჩნეულ კავშირს ნიკ. კუზანელსა და ბრუნოს შორის ამ საკითხში, „მაგრამ — ფიქრობს ავტორი — ამ ორი ფილოსოფიის იდეოლოგიური სიახლოვის მხოლოდ დადგენა სრულიადაც არ იძლევა ბრუნოს ფილოსოფიის მეცნიერულ ახსნას. მხოლოდ ფილოსოფიის მარქსისტული ისტორია იძლევა ამ ახსნას — ბრუნოს ფილოსოფიის კავშირის დადგენით იმ უდიდეს გადატრიალებასთან, რომელიც მოხდა აღორძინების პერიოდის საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ მეცნიერებებში“ [2, გვ. 32]. ამ „გადატრიალებათა“ შორის განსაკუთრებით აქვს ხაზი გასმული კოპერნიკის მოძღვრებას: „გავლენა, რომელიც მოახდინა ნიკოლოზ კოპერნიკმა ჭორდანო ბრუნოზე, მოწმობს სლავური აზროვნების მძლავრ და კეთილმოქმედ იდეურ ზემოქმედებას დასავლეთევროპულ კულტურაზე“ [2, გვ. 17].

ნიკ. კუზანელის დამოკიდებულება ნეოპლატონიზმისა და კერძოდ ფსევდო-დონისე არეოაგელისაგან, ყოველივე ექვს გარეშეა. იმავე დროს, ბრუნოს „დიალოგების“ გაცნობა ნათელს ხდის, რომ არისტოტელეს შეხედულებანი აქ ენერგიული კრიტიკის, ირონიის და ზოგჯერ სარკასტული დაცინვის საგანს წარმოადგენს. აღნიშნავ იმასაც, რომ ჭორდანო ბრუნოს დამოკიდებულებას ნეოპლატონიზმისადმი დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მოძღვრების როლის გარკვევისათვის რენესანსის ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებაში საერთოდ.

ამ პრობლემის სწორი გადაწყვეტის საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ქართულ ფილოსოფიურ მეცნიერებას და კერძოდ შალვა ნუცუბიძეს. როგორც ცნობილია, აღმოსავლური რენესანსის ერთ-ერთი ძირითადი დებულების მიხედვით, ნეოპლატონიზმი წარმოადგენს რენესანსის თეორიულ წყაროს და არისტოტელეს შეხედულებათა კრიტიკა ამ ეპოქაში თავის საყრდენს ნეოპლატონისტურ მოძღვრებაში პოულობს.

უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში რუსეთის მკვლევართა ერთ ნაწილში შეიკვალა შეხედულებანი ნეოპლატონიზმის შესახებ და ერთი შეხედულების მიხედვით, შუა საუკუნეების ფილოსოფიის პანთეისტური ტრადიციები, რომლებსაც ა. გორფუნკელი, როგორც ვნახეთ, ნეოპლატონიზმს უპირისპირებს, სწორედ ნეოპლატონიზმიდან მომდინარეობს [6, გვ. 77—87]. ამ შეხედულების მიხედვით, ღმერთის თეისტურ-რელიგიური წარმოდგენის მთავარ ანტაგონისტად მთელი შუა საუკუნეების მანძილზე გამოდიოდა პანთეისტური კონცეპციები, რომელთა დიდი უმრავლესობის სათავეს „ნეოპლატონიზმის ფილოსოფიური მოძღვრება“ წარმოადგენდა [6, გვ. 79]. იმავე ავტორის სიტყვით, ნეოპლატონისტური წარმომავლობის პანთეიზმი პოულობს ევროპაში უდიდეს გავლენას და ასუსტებს „სქოლასტიზირებული არისტოტელიზმის“ მნიშვნელობას [6, გვ. 84]. საბჭოთა მეცნიერებაში გამოითქვა ასეთი შეხედულება: „ფილოსოფიის ისტორიკოსები კარგად იქცევიან, როდესაც წინა პლანზე სწევენ ბრძოლას არისტოტელეს წინააღმდეგ რენესანსის ეპოქაში. მაგრამ ისინი ხშირად ივიწყებენ, რომ ეს ბრძოლა წარმოედა ამ დროს ნეოპლატონიზმზე დაყრდნობით“ [5, გვ. 59].

*
*
*

ჯორდანო ბრუნო რენესანსის ეპოქის ფილოსოფოსია და მისი ისტორიული მნიშვნელობა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი იდეების განვითარებასა და გარდამავებაში მდგომარეობს. ენგელსის სიტყვით, რენესანსის ეპოქა წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიაში „უდიდეს პროგრესულ გადატრიალებას“, რომელიც შეეხო შუა საუკუნეების მთელ ცხოვრებას, კულტურას, მის იდეურ შინაარსს, და კერძოდ ფილოსოფიურ აზროვნებას. ბრუნო განსაკუთრებული პიროვნებაა ამ ეპოქის მოღვაწეთა შორის, როგორც აზროვნების სიღრმით, ასევე სქოლასტიკის შეურიგებელი და უკომპრომისო კრიტიკით.

ჯორდანო ბრუნოს ფილოსოფიის ძირითად საკითხს, რომელიც სინამდვილის მიზეზსა და საწყისს ეხება და მოაზრებულია, როგორც დაუბოლოებელი, ერთიანის საკითხი წარმოადგენს. აქვე, საკითხის დაყენებისთანავე ხდება ნათელი ბრუნოს მოძღვრების მჭიდრო კავშირი ნეოპლატონიზმთან.

პირველი საწყისის დაუბოლოებლობა სრულად, მთლიანი დაუბოლოებლობაა, რადგანაც მასში სავსებით ემთხვევა შესაძლებლობა სინამდვილეს. და არის ერთდროულად „ყოველივე ის, რაც არის და ის, რაც შეიძლება იყოს“ [2, გვ. 242]. დაუბოლოებლობა პირველ საწყისში აქტუალური დაუბოლოებლობაა, რომელიც გამორიცხავს ყოველივე ზღვარს, დანაწევრებას, სხვადასხვაობას და მოძღვრებას. მისი სიდიდე არაა ისეთი, რომელიც შეიძლება კიდევ გაიზარდოს; მისი სიკეთე და მშვენიერება არაა ისეთი, რომელიც შეიძლება კიდევ უფრო კეთილი და მშვენიერი გახდეს; მისი არსი (არსებობა) არაა ისეთი, რომელსაც არსებობა მიემატოს. ისაა რეალურად, აქ-

ტულურად არსებული სიდიდე, როგორც კი შეიძლება რომ იყოს; ასევე — სიკეთე და მშვენიერება, მისი არსი. პირველსაწყისში აქტულურად არსებობს ყოველივე პოტენციური და აღარაა არავითარი განსხვავება აქტულურ და პოტენციურ არსებობას შორის, წინააღმდეგ ბუნების მოვლენებისა, სადაც სინამდვილე და შესაძლებლობა არასოდეს არ ემთხვევა ერთიმეორეს.

ბუნებაში აზროვნების „დისკურსიულ უნარს“ მოვლენები ეძლევა, როგორც ბოლოვადი, განსხვავებული დროსა და სივრცეში, განსხვავებული შესაძლებლობისა და სინამდვილის სახით. რაც შეეხება პირველსაწყისს, როგორც დაუბოლოებელსა და დაპირისპირებულთა ერთიანობას, ის სცილდება შეცნობადობის ფარგლებს და იმ შეხედულებების დასასაბუთებლად, რომ შეუძლებელია პირველი საწყისის „ადექვატური ცოდნა“, ბრუნო მიმართავს ნეოპლატონიზმში ცნობილ არგუმენტს: პირველი საწყისი იმდენად დიდი „მანძილითაა“ დაცილებული მისი მოქმედების შედეგისაგან, ანუ ბუნებისაგან, რომლის საფუძველზე აიგება ადამიანის ცოდნა, რომ პირველი საწყისი არსებითად წარმოგვიდგება ზეზუნებრივი სუბსტანციის სახით. ამიტომ პირველი საწყისის შემცენება, როგორც დაუბოლოებელისა, სადაც შესაძლებლობა სინამდვილეს ემთხვევა და დაპირისპირებულთა იგივეობამდე მიდის, მოითხოვს შესატყვის ინტელექტს, ე. ი. ინტელექტს, რომელშიც ინტელექტულური ძალა (შესაძლებლობა) მთლიანად იქნებოდა განხორციელებული (სინამდვილედ ქცეული). ასეთი არ შეიძლება იყოს ადამიანური ინტელექტი.

ბრუნო მიმართავს ხელოვანისა (შემოქმედისა) და მისი ნაწარმოების ანალოგიას. თუ ხელოვანის ნაწარმოების შემთხვევაში, წერს ბრუნო, შეუცნობელი რჩება თვით შემოქმედის სუბსტანცია, მისი „აბსოლუტური არსი“, უფრო მეტი საფუძვლიანობით შეიძლება ითქვას ეს ღვთაებრივი შემოქმედის შესახებ. ბუნება, როგორც ღვთაებრივი სუბსტანციის მოქმედება, შეუდარებლად უფრო მეტადაა დაცილებული მისი შემოქმედისაგან. ბუნება, ეს შორეული „კვალი“ შემოქმედისა, უფრო მეტად განსხვავდება მისგან. ვიდრე ემსგავსება მას, და ამიტომ არ გამოდგება იმის საფუძვლად, რომ მასზე დამყარებით პირველსაწყისებზე აიგოს დადებითი (პოყოფითი) ცოდნა. გამოსავალს ბრუნო ხედავს ე. წ. უარყოფით თეოლოგიაში, რომელიც ნეოპლატონიზმიდან მომდინარეობს და „ქრისტიანულ აზროვნებაში არეობაგტიკის მეშვეობით არის შესული. ბრუნომდე ის ცნობილი იყო დასავლეთის, არეობაგტიკისაგან დამოკიდებული მოაზროვნებისათვის (იოანე ერიგენა. მისიტერ ეკპარდტი, ნიკოლაუს კუზანელი) და ამ გზით შევიდა ბრუნოს მოძღვრებაში.

ამიტომ, პირველ საწყისს, როგორც „უაბსოლუტურეს შესაძლებლობასთან იგივეობრივ უაბსოლუტურეს სინამდვილეს, ინტელექტი შეიძლება მისწდეს მხოლოდ უარყოფის გზით“ [2, გვ. 246]. ამ გზით მიღწეული წვდომა, როგორც გაურკვეველი და განსაზღვრებათა სისტემაში ჩამოუყალიბებელი, დისკურსიული ცოდნის თვალსაზრისით სიბნელეს (წყვიდიადს) წარმოადგენს. მაგრამ უარყოფის გზით მიღწეულ წვდომის აქტში, რომელიც ამაღლებულია ჰოყოფასა და უარყოფაზე, ხდება ინტელექტის სინამდვილის დამთხვევა მის შესაძლებლობასთან და სინათლის დამთხვევა სიბნელესთან. „ეს სინამდვილის დამთხვევა აბსოლუტურ შესაძლებლობასთან — წერს ბრუნო — საკვებით ნათლად აღწერილი ღვთაებრივი სულის მიერ იქ, სადაც ნათქვამია: წყვიდიადი არ დაიჩრდილება შენით. და-

მე ანათებს, ვითარცა დღე. როგორცაა წყვდიადი მისი, ისეთივეა ნათელი მისი“ [2, გვ. 246].

პირველსაწყისა და უნივერსუმს შორის ბრუნო ათავსებს სამყაროს მოქმედ მიზეზს — საყოველთაო გონებას, რომელსაც, წერს ბრუნო, „პლატონიკოსებმა! სამყაროს მკედელი უწოდეს“, და რომელიც, მათი სიტყვით, „უმძლესი სამყაროდან გადადის... მრავალ ნაწილად დანაწევრებულ ამ გრძობად სამყაროში“ და ჰქმნის მასში „საოცარ წესრიგს“ [2, გვ. 203]. პლატონი, ბრუნოს დამოწმებით, ამ გონებას უწოდებს მამას და მამამთავარს. ბრუნოს მიაჩნია ის „შინაგან მხატვრად“ და ამით ხაზს უსვამს იმ გარემობებს, რომ საყოველთაო გონება (ინტელექტი) სამყაროში შეივლიდან მოქმედებს.

ის, რაც ითქვა ბრუნოს მიერ მიზეზისა და საწყისის იგივეობაზე ღმერთთან დაკავშირებით, ვრცელდება საყოველთაო გონებაზე სამყაროსთან მიმართებაში. გრძობად სინამდვილეში მიზეზისა და საწყისის ცნებები განსხვავებულია, მიზეზს არსებობა იმ ნივთის გარეშე აქვს, რომელზედაც ის მოქმედებს, და ზემოქმედება გარეგანია. საწყისი შინაგანად განსაზღვრავს მოვლენას, მასში იმყოფება და ყოველთვის რჩება თავის შედეგსა და მოქმედებაში. საწყისია, მაგ., წერტილი ხაზთან მიმართებაში, წამი — მოძრაობაში, წანამძღვრები — დასაბუთებაში. უფრო ზოგადი მნიშვნელობით — საწყისებია „მატერია და ფორმა“, „ელემენტი, რომლებსაგანაც ნივთი შედგება და რადაც ის იშლება“.

მიზეზსა და საწყისს შორის ის განსხვავებაა, რომ მიზეზი „ნივთის წარმოქმნაზე“ გარედან მოქმედებს და მას ყოფიერება გარედან მოქმედიდან აქვს. საწყისი შინაგანად მოქმედებს „ნივთის წყობაზე“, ის არის და რჩება თავის შედეგში.

როდესაც საკითხი პირველ მიზეზს ეხება, აქ მიზეზი და საწყისი ერთი და იგივეა. ღმერთი მიზეზია (პირველი მიზეზია) იმ მნიშვნელობით, რომ ბუნებაში ყოველი არსებული განსხვავებულია მისგან, ისევე როგორც განსხვავებულია მოქმედი შედეგისაგან, მწარმოებელი წარმოებულისაგან. მაგრამ ღმერთი საწყისია (პირველი საწყისი) იმ მნიშვნელობით, რომ თუმცა ბუნება მასზე დაბლაა, მაგრამ ბუნების მოვლენათა თანმიმდევრობა და მსვლელობა, მათში მოქმედი წესრიგი, ღვთაების შინაგანად მოქმედი წესრიგია.

ანალოგიურია საყოველთაო გონების მიმართება სამყაროსთან. როგორც „ქემშიარიტად მოქმედი მიზეზი“, საყოველთაო გონება გარეგანი მიზეზია, რადგან არ არის ნაწილი „წარმოებულ ნივთებისა“ და მისი არსებობა (ყოფიერება) წარმოებულის გარედან რჩება, მაგრამ შინაგანი მიზეზია და მას, საწყისია, რამდენადაც ნივთების წარმოება — მისი საკუთარი აქტია. გონება იმყოფება უნივერსუმში, როგორც საკუთარ სხეულში, მსგავსად „მესაქისა ზომალდზე“. ეს მესაქე, რამდენადაც ის მოძრაობს ზომალდთან ერთად, მისი ნაწილია. თუ განვიხილავთ მას იმის მიხედვით, რომ ის მართავს და ამოძრავებს ზომალდს, მაშინ ის უნდა მივიჩნიოთ არა ნაწილად, არამედ დამოუკიდებლად მოქმედ აგენტად. ასევე უნივერსუმის სული: რამდენადაც ის ასულ-

¹ „პლატონიკოსებს“ უწოდებდნენ თავის თვს მოწოდებლები, რომლებიც ახალი დროის მეცნიერებაში ცნობილი არიან ნეოპლატონიკოსების სახელით. ბრუნოსთან „პლატონიკოსებში“ ნეოპლატონიკოსებს ნიშნავს.

დგმულებს და აფორმებს უნივერსუმს, არის მისი შინაგანი და ფორმისეული ნაწილი, მაგრამ რამდენადაც ის ამოძრავებს და მართავს, არის არა ნაწილი და საწყისი, არამედ მიზეზი.

საყოველთაო გონების წარმოდგენილი მიმართების შედეგია საყოველთაო გასულიერების შეხედულება, რომელიც ვრცელდება უნივერსუმზე და სამყაროებზე. სამყარო გასულიერებულია მის ცალკეულ ნაწილებთან ერთად. „დედამიწა ჭარბადაა საესე გონით“ [2, გვ. 213]. ვერც ერთი „ცოტად თუ ბევრად ცნობილი ფილოსოფოსი“, მათ შორის „პერიპატეტიკოსი“, წერს ბრუნო, ვერ უარყოფს, რომ „სამყარო და მისი ფორმები გარკვეული სახით გასულიერებულნი არიან“. თუ ყველა მოვლენას არა აქვს სიცოცხლე და სულიერება აქტუალურად, მას აქვს ეს „შესაბამისად საწყისისა და... პირველი მოქმედებისა“ [2, გვ. 212]. ყოველი ფორმა სულიდან მომდინარეობს და ფორმის ფაქტობრივი მოცემულობა მოვლენაში სულის მოცემულობას ნიშნავს.

წარმოდგენილი შეხედულებანი ნეოპლატონისტური წარმომავლობისაა, რომლებმაც მოიპოვეს გამოხატულება ბრუნოს უშუალო წინამორბედის ნიკოლაუს კუზანელის ფილოსოფიაში. მაგრამ არის ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ბრუნოსა და ნეოპლატონიზმს შორის, რომელიც, მიუხედავად ბრუნოს მოძღვრების აშკარად ნეოპლატონისტური წარმომავლობისა, მეტყველებს სიახლეზე, რომელიც განსაზღვრული იყო რენესანსის ეპოქის მოაზროვნესთან ახალი ეპოქით და ახალი მეცნიერების მიღწევებით. ეს სიახლე ეხება ბრუნოს მოძღვრების იმ ნაწილს, რომელიც ეხება უნივერსუმს. და თუმცა მოძღვრების ამ ნაწილში ბოლომდე თანმიმდევრული არ არის, მაგრამ შეხედულება უნივერსუმის კანონზომიერების პირველსაწყისთან დაახლოებისა და ზშირად გაიგივებისაც კი საკმაოდ ვარკვევით არის გამოხატული.

უნივერსუმი არის, ერთის მხრივ, პირველი საწყისი, ღმერთის „უდიდესი მსგავსება, უდიდესი სახე (ხატი) და მხოლოდშობილი“, ამავე დროს არის „ყოველივე ის, რაც მას შეუძლია იყოს“, ე. ი. შესაძლებლობისა და სინამდვილის იგივობა [2, გვ. 243]; მეორეს მხრივ, ბრუნოს სიტყვით — „და მაინც“, — მასში „შესაძლებლობა და სინამდვილე არაა აბსოლუტურად ერთი და იგივე“ [2, გვ. 243]. პირველი საწყისი აბსოლუტური განხორციელებაა, „მთლად“ დაუბოლოებელია ყველა თავის ატრიბუტში და ამიტომ მთლიანად არის ყოველივე ყოველივეში, უნივერსუმი მაინც დასრულების მდგომარეობაში მყოფი დაუბოლოებლობაა [2, გვ. 316], და არც თავად უნივერსუმი, არც მისი ნაწილი არაა ბოლომდე სინამდვილედ ქცეული შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რაც ითქვა, ბრუნოს აზროვნება მიმართულია იქით, რომ წაიშალის კვალი ღმერთსა და უნივერსუმს შორის. „ყველა ნივთები იმყოფებიან — წერს ბრუნო — უნივერსუმში, და უნივერსუმი — ყველა ნივთებში; ჩვენ მასში ვართ, ის — ჩვენში“ [2, გვ. 278]. უნივერსუმი „ყოველივეა ყოველივეში“, მაგრამ, განსხვავებით პირველი საწყისისაგან, არა იმპლიციტე, არამედ ექსპლიციტე [2, გვ. 316].



ბრუნო ამტკიცებს უნივერსუმის უძრაობას, რომელსაც არავითარი მოსაზრებით, არავითარი საფუძველით „არ შეიძლება მიეწეროს მოძრაობა“

[2, გვ. 334]. „უნივერსუმს, როგორც განუსაზღვრელს და დაუბოლოებელს, არა აქვს არც ბოლოვადი და არც დაუბოლოებელი მოძრაობა“ [2, გვ. 338]. რამდენადაც უნივერსუმი დაუბოლოებელია და უძრავი, იხსნება საჭიროება მისი „მამოძრავებლისა“. უნივერსუმში მისი ნაწილებიც უძრავნი არიან. რაც შეეხება საკითხს ორი მამოძრავებელის შესახებ, ბრუ-ო კატეგორიულად წინააღმდეგია დებულებისა „ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დაუბოლოებელის აღიარების“ შესახებ [2, გვ. 341] ამიტომ, ბრუნოს აზრით, „განსხვავებული და დაპირისპირებული მოძრავი სხეულები“ უკვე უნივერსუმში ემთხვევიან ერთმანეთს და „შეადგენენ ერთ მთლიან უძრავს“.

უნივერსუმში, წერს ბრუნო, თავის თავში მოიცავს „ყველა დაპირისპირებულს ერთიანობასა და თანხმობაში“ [2, გვ. 273]. დაპირისპირებულთა ერთიანობა უნივერსუმში — აქტუალური დამთხვევაა და მის „ყოფიერებაშია“. უნივერსუმში „სივანე, სიგრძე და სიღრმე ერთხაირია, რადგან მათ ერთხაირად არა აქვთ საზღვარი და ერთხაირად დაუბოლოებელნი არიან“. უნივერსუმის დაუბოლოებლობა გულისხმობს განუსაზღვრელობას დროსა და სივრცეში. ამიტომ, მსგავსად სიგრძისა და სივანისა, აქ „საათი არ განსხვავდება დღისაგან, დღე წელიწადისაგან, წელიწადი საუკუნისაგან, საუკუნე მომენტი-საგან“ [2, გვ. 275]. მარადიულობასთან მიმართებაში დროის ეს მონაკვეთები ერთი და იგივეა და არ შეიძლება ითქვას, რომ მარადიულობა უფრო მეტი საათებისაგან შედგება, ვიდრე საუკუნეებისაგან. მსგავსად ამისა, „დაუბოლოებლობაში მტკაველი არ განსხვავდება სტადიისაგან, სტადიები ფარასანგებისაგან“; არ შეიძლება ითქვას, რომ დაუბოლოებელი მანძილი უფრო მეტი მტკაველისაგან შედგება, ვიდრე ფარასანგებისაგან.

დაუბოლოებელ უნივერსუმში ადამიანის ყოფიერება არაა უფრო მეტად მსგავსი, ერთიანი და იგივეობრივი, ვიდრე ყოფიერება ქიანჭველსი, ვარსკვლავისა, მთვარისა და მზისა და ა. შ.

დაპირისპირებულთა იგივეობის იდეა ბრუნოს ფილოსოფიაში განსაკუთრებულ თემად, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას დიალექტიკის ისტორიაში და ბუნებრივად აყენებს საკითხს მისი წინამორბედების შესახებ ამ მიმართულებით. ანალოგები რომ ძალიან ზოგადი არ აღმოჩნდეს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრუნოს შეხედულებანი დაპირისპირებულთა იგივეობაზე დაფუძნებულია აქტუალური დაუბოლოებლობის, ე. ი. შესაძლებლობის სრული განხორციელების დებულებაზე.

წერტილი, გრძობად სამყაროში, იმიტომაცა წერტილი და განსხვავებული ხაზისაგან, რომ შესაძლებლობა წერტილის ხაზად ქცევისა ჯერ არ არის განხორციელებული. ასევე, ხაზზე, როგორც ზედაპირისაგან განსხვავებულზე იმდენად შეიძლება მსჯელობა, რამდენადაც ჯერ არაა მისი შესაძლებლობა ზედაპირად ქცევისა, არაა სინამდვილედ ქცეული. და ა. შ. გრძობად სამყაროში, დანაწევრებისა და მოძრაობის სფეროში, ქცევადობის სფეროში განსხვავებულია ყოფიერების ერთი ფორმა მეორისაგან. იქ, სადაც შესაძლებლობა სინამდვილეს ემთხვევა, ყოფიერება ერთიანია, დაუნაწევრებელი და განუსხვავებული.

ცნობილია არისტოტელეს შეხედულებანი დაპირისპირებულთა მიმართების შესახებ ლოგიკისა და არსის სფეროში. დ პირისპირებული განსაზღვრების შეუძლებელია არსებობდეს „ერთდროულად“ არსის სფეროში, როგორც აქტუალურად არსებულში. შეუძლებელია ადამიანი იყოს ერთსა და იმავე

დროს ავადმყოფიც და კარგადმყოფიც. მხოლოდ იმ შემთხვევაში, წერს არისტოტელე, როდესაც საქმე ეხება „უნარს“, ე. ი. პოტენციალურ არსებობას, ანუ შესაძლებლობას, „როდესაც ლაპარაკია ნივთებზე მათში არსებული უნარის მიხედვით, ამ შემთხვევაში ერთსა და იმავეს (ერთსა და იმავე ნივთს) აქვს უნარი იქონიოს დაპირისპირებული განსაზღვრებანი“ [1] ნივთში, როგორც სინამდვილეში, დაპირისპირებულნი შეუთავსებელია.

ბრუნო კატეგორიულად უარყოფს „საწყალი არისტოტელეს“ შეხედულებას და ფიქრობს, რომ მტკიცება იმისა, თითქოს „შეუძლებელია დაპირისპირებულნი აქტუალურად დაემთხვენნ ერთმანეთს ერთსა და იმავე საგანში“, წარმოადგენს „უზგოუყველო ხეტიალს“ ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი წარმომადგენელისა, რომელიც „ვერ ახერხებს“ საკითხის მართებულ გადაწყვეტას და სწორ დასკვნამდე მისვლას. ბრუნოსათვის დაპირისპირებულთა ერთიანობა (იგვეობა) არის მოვლენა და სწორედ აქტუალურად არსებობს. ამავე დროს ის შეადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს „საიდუმლოებას“ ბუნებისა და „ვისაც სურს — წერს ბრუნო — შეიცნოს ბუნების უდიდესი საიდუმლოებანი“, მან უნდა განიხილოს და გაიგოს მისი მნიშვნელობა უნივერსუმში და მისი გამოვლენის ფაქტები ბუნებაში [2, გვ. 291—292].

ბრუნოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ამ საკითხში წარმოადგენს „ღვთაებრივი კუხანელი — გეომეტრიის შესანიშნავ საიდუმლოებათა აღმოჩენი“ [2, გვ. 287]. ძნელია, წერს ბრუნო, წარმოვიდგინოთ რაიმე, რომელიც ესოდენ განსხვავებული და დაპირისპირებული იყოს, ვიდრე სწორი და მრუდი ხაზები, მაგრამ თუ ავიღებთ კონკრეტულად ხორდას და რკალს, ნათელი გახდება, რომ უმცირესი ხორდა (სწორი ხაზი) უმცირეს რკალს (მრუდს) დაემთხვევა. წრეხაზი (მრუდი) უახლოვდება და ემთხვევა სწორ ხაზს არა მხოლოდ მათი უმცირესი ზომის შემთხვევაში; აღარ არსებობს განსხვავება სწორ ხაზსა და წრეხაზს შორის დაუბოლოებლად ვრცელ სივრცეში.

ბრუნო იზიარებს ბერნარდო ტელეზიოს (1509—1588) შეხედულებას, რომ სიტბოს საწყისი არაა არც თბილი, არც ცივი, არამედ მდგომარეობა, რომელიც სიტბოს და სიცივის იგვეობას წარმოადგენს. უფრო ზოგადი ფორმით ბრუნო წერს: ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მოსპობისა და აღმოცენების საწყისი ერთია; რომ „მოსპობა სხვა არაფერია, თუ არ აღმოცენება, და აღმოცენება — სხვა არაფერი, თუ არ მოსპობა“; ექიმისათვის „შხამის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება იგივე შხამია და „საუკეთესო თერიაკს გველი იძლევა“. სიყვარული არის სიძულვილი და სიძულვილი არის სიყვარული. მასასაღამე, „სუბსტანციაში და თავის ძირებში, სიყვარული და სიძულვილი, მეგობრობა და მტრობა ერთი და იგივეა“ [2, გვ. 291].



უნივერსუმში შედგება ურიცხვი (დაუბოლოებელი რიცხვის) სამყაროებისაგან, რომელთა მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს შეადგენს ჩვენი დედამიწა. უნივერსუმის ერთიანობიდან გამომდინარეობს ღებულება მის ერთ და იგივე ელემენტების შესახებ (ჰაერი, წყალი, მიწა, ცეცხლი და ეთერი), და მოძღვრება ერთსა და იმავე კანონზომიერებაზე, რომელიც მთელ უნივერსუმში მოქმედებს. ამით იხსნება არსებითი განსხვავება უნივერსუმის შემადგენელ

სამყაროებსა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჩვენი სამყაროს მიწიერ და ზეციერ ნაწილებს შორის.

არაერთგზისაა აღნიშნული ფილოსოფიის დასავლეთისა და განსაკუთრებით საბჭოთა მკვლევარების მხრივ, რომ ბრუნოს მოძღვრების ჩამოყალიბებაში უნივერსუმის დაუბოლოებლობის შესახებ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი დროის საბუნებისმეტყველო ცოდნას და, კერძოდ, კოპერნიკის აღმოჩენას. მაგრამ, მიუხედავად პელიოცენტრისტული სისტემის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობისა და შუა საუკუნეების შეხედულებათა დაძლევის თვალსაზრისით, კოპერნიკის შეხედულებანი წარმოადგენს უფრო მეტად საფუძველს ფილოსოფიური განზოგადოებისათვის, ვიდრე ფილოსოფიას.

ბრუნოსთან სამყაროს დაუბოლოებლობა გულისხმობს განუსაზღვრელობას, როგორც დროში, ასევე სივრცეში, წინააღმდეგ არისტოტელესი, რომელიც — თუმცა იცავს სამყაროს მარადიულობის იდეას, რაც მას ათავისუფლებს საჭიროებისაგან შეიშუშაოს კოსმოგონიის რაიმე სურათი, მაგრამ მისი შეხედულებანი სამყაროს აღნაგობაზე, მის ცენტრზე და ირგვლივ განლაგებულ სფეროებზე, „პირველ ცაზე“ და სხვ. — გამოხატავს სამყაროს ვრცელ ბოლოვანობის იდეას. ღვთაება აქ მართავს უმაღლესი სფეროს ყოველდღიურ წრებრუნვას და ყოველი ცალკეული სფერო ღებულობს თავის მოძრაობას მარადიული და უძრავი სფერო სუბსტანციისაგან.

წინააღმდეგ არისტოტელეს შეხედულებისა, რომელიც, ბრუნოს სიტყვით, „არაფერს ათავსებს ცის იქით“ [2, გვ. 307] და ქადაგებს სამყაროს სასრულობის იდეას, ბრუნო ფიქრობს, რომ „ბევრად უფრო ძნელია“ წარმოიდგინო სამყარო დასრულებულად, ვიდრე მოიაზრო უნივერსუმი დაუბოლოებლად და უზომოდ“. რადგან, განაგრძობს ბრუნო, „ჩვენ ვერ დავაღწევთ თავს სიცარიელეს, თუ უნივერსუმი დაბოლოებულად ჩავთვალეთ“. აქედან ცხადია, რომ დავის საგანს არისტოტელეს მიმართ შეადგენს ამ შემთხვევაში ვრცელი, სხეულებრივი დაუბოლოებლობა და მისი აქტუალობა. ჩვენს შორის არ არსებობს უთანხმოება, წერს ბრუნო, როდესაც საქმე „უსხეულო დაუბოლოებლობას“ ეხება, მაგრამ რატომაა შეუძლებელი „სხეულებრივი დაუბოლოებლობა?“ [2, გვ. 311].

ბრუნოს მიხედვით, უნივერსუმი დაუბოლოებელია დროშიც და სივრცეშიც: „...ჩვენ ვამბობთ, რომ არსებობს დაუბოლოებელი, ე. ი. ზღვარდაუდებელი ეთერის სფერო, რომელშიც იმყოფება ურიცხვი და დაუბოლოებელი სხეულები, როგორებიცაა ღვთაებები, მთვარეები, მზეები, და რომლებსაც ჩვენ ვუწოდებთ სამყაროებს“ [2, გვ. 329].

შეხედულებანი უნივერსუმზე და სამყაროებზე ვითარდება ბრუნოს დილოგებში არისტოტელეს დაუნდობელი კრიტიკის ფონზე. ერთი ასეთი გამოთქმა ზევით გვქონდა დამოწმებული. გვხვდება ასეთებიც: „ეს სოფისტი“, „სულერი მათხოვარი“, უნიადაგო ფილოსოფოსი, რომელიც ჰაერში აგებს თავის კოშკებს და სხვ. ასეთივე ტონითაა გამსჭვალული ბრუნოს გამოთქმები, რომლებიც მატერიისა და ფორმის საკითხებს ეხება.

არისტოტელეს მიხედვით, მატერია სუფთა შესაძლებლობაა, რომელსაც არსებობას ფორმა ანიჭებს. სუფთა სინამდვილე მხოლოდ ფორმაა, რომელიც ენტელექტის წარმოადგენს. მატერიისა და ფორმის ერთიანობა ქმნადობის, წარმავალი მოვლენების სფეროა და მატერიას, როგორც მიზეზს, გრძნობად სინამდვილეში აქვს ადგილი. ენტელექსია, როგორც მატერიისაგან მთლიანად

დაცლილი, არის მიზანი, საითაც საბოლოოდ გრძნობადი მისწრაფვის და მას მიზეზი, არისტოტელეს ტერმინოლოგიით, იმ მნიშვნელობით შეიძლება ეწოდოს, რომ ის მიზნობრივი მიზეზია. მატერია არის მიზეზი ქმნადის სიმრავლისა და დანაწევრებისა, ფორმა — მათი ერთიანობისა. ყოველი ცალკეული არსი, როგორც ქმნადი, მისწრაფვის ფორმისაკენ (იდეალურისაკენ), ერთიანობა გამოირიცხებოდა მატერიაში, როგორც შესაძლებლობაში, როგორც ფორმის ზემოქმედების საგანში.

შუა საუკუნეების სქოლასტიკამ, კერძოდ თომა აკვინელმა, არისტოტელეს შეხედულებანი ძირითადი დოგმატის და დასაბუთებისა, და კრეაციონიზმის გამართლების მიზნით გამოიყენა. მატერიის, როგორც მხოლოდ შესაძლებლობის და არარსის ქმნადად გადაქცევა ფორმის მეშვეობით, ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის, არარსის არსად მოყვანის თეორიულ საფუძვლად იქცა. მეორეს მხრივ, რამდენადაც თვით ღმერთში არ არის და არც შეიძლება იყოს მატერია, არ შეიძლება სამყაროს წარმოქმნა იყოს ემანაციის შედეგი [7, გვ. 217—218].

ბრუნოს ფილოსოფიურ ნააზრევში მატერიის საკითხს დიდი ადგილი აქვს დათმობილი და მისი მსჯელობანი ფორმისა და მატერიის ერთიანი საფუძვლის დასაბუთებას ისახავს მიზნად. მატერია, ბრუნოს აზრით, არაა ისეთი რამ, რაც „ფაქტობრივად იყოს მოკლებული ფორმას“ და მატერიის ცნება, როგორც შესაძლებლობისა „წმინდა ლოგიკური“ გზით არის დაცლილი ფორმისაგან. ესაა გზა არისტოტელესი, „რომელსაც არასოდეს არ ეზარება დაანაწევროს გონებით ის, რაც განუყოფელია ბუნებისა და ჭეშმარიტების შესაბამისად“. ბუნებას, მსგავსად ხელოვანისა, „აუცილებლობითა აქვს მატერია თავისი მოქმედებისათვის“. რადგან შეუძლებელია არსებობდეს მოქმედი და არ ჰქონდეს ის, რისგანაც უნდა გააკეთოს, ის, რისგანაც უნდა წარმოქმნას. ამავე დროს, ფორმა, გარკვეული მიმართებით, ისეთივე შესაძლებლობაა შესაძლებლობა ქმნისა, წარმოქმნისა, როგორც მატერია არის შესაძლებლობა შესაქმნელისა, წარმოსაქმნელისა. მათი ძირის განხილვის თვალსაზრისით ორივე სინამდვირეა და სუბსტანციურია. ამიტომ ბუნების ახსნისათვის, ბრუნოს მიხედვით, აუცილებელია „ორგვარი სუბსტანციის აღიარება: ერთია—ფორმა, მეორე—მატერია“ [2, გვ. 226]. როგორც სუბსტანციური მატერია, ასევე სუბსტანციური ფორმა, ანუ სული—დაურღვეველია და მოუსპობადი. არც ერთი მათგანი არასოდეს და არც ერთ სფეროში, სხეულებრივსა, თუ იდეალურში, არ კარგავენ თავის ყოფიერებას. ბუნებაში მოვლენათა გაუთავებელი ცვალებადობისა და თანმიმდევრობის გვერდით მატერია უცვლელი და იგივეობრივი რჩება.

მოდღერება ორ, მატერიალურ და სულიერ (ფორმალურ) სუბსტანციასზე არ ნიშნავს დუალიზმს. არსებულ ნივთებს, რომლებიც ფილოსოფიაში ძველთაგანვე ორ ძირითად ჯგუფად იყო გაყოფილი, აუცილებლად უნდა ჰქონდეს არსებობის ერთიანი პრინციპი (საწყისი). ამის შესაბამისად, ბრუნოს აზრით, მატერიალური სუბსტანცია და ფორმალურიც საბოლოოდ ერთ არსზე და ერთ ფესვზე დაიყვანება“ [2, გვ. 247]. ეს „ფესვი“ პირველსაწყისი და უნივერსულია. მატერიის ბრუნოსეული გაგება მის ამაღლებას, მაღალ სფეროებში აყვანას ნიშნავს. მატერიის არსებობა ვრცელდება მთელ არსზე, ღმერთიდან უნივერსუმამდე და გრძნობად სამყარომდე. ყოველი ამ სფეროთაგანი გულის-

ხმობს შესატყვის სუბსტრატს, და ეს სუბსტრატი ყველგან ეროი და იგივე მატერიაა.

ბრუნოს შეხედულება ამ საკითხზე კიდევ უფრო შორს მიდის. ყოველგვარი განსხვავება, მისი სიტყვით, სხვადასხვაობა და სიმრავლე ბუნებაში მომდინარეობს ფორმისაგან, მატერია მასში ყოველთვის ერთი და იგივეა. მატერია ინახავს ფორმას და უკუაგდება მას, რათა სხვა ფორმა მიიღოს. ამიტომ უფრო სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ ფორმას უნდა ჰქონდეს სურვილი და მისწრაფება მატერიისაკენ [2, გვ. 271].

ბრუნო ხაზს უსვამს, რომ მატერიის მიხედვით გაგება დიამეტრალურად განსხვავდება პერიპატეტიკოსებისა და არისტოტელესაგან, რომელიც „ზოგიერთმა სასაცილო და ანაფორაში შემოსილმა გაწაფულმა მეტაფიზიკოსმა“ — „თავის ღმერთად“ გამოაცხადა და მისი გავლენით „შეთხზა“ ზოგადი, („ადამიანობა“, „სოკრატობა“, „ხარობა“, „ცხენობა“ და სხვ.), როგორც მატერიისაგან თავისუფალი ფორმა. ბრუნო არ იზიარებს არც ავიციბრონის (იბნ გებიროლის, XI ს.) აზრს, რომელიც ზედმეტად აუფასურებს და ამდაბლებს ფორმას მატერიასთან შედარებით და მიიჩნია მატერია „ღმერთად, რომელიც იმყოფება ყოველ ნივთში“ [2, გვ. 236].

ბრუნოს წყაროს აქ „სხვა“ მოაზროვნეები წარმოადგენენ, რომელთა მიხედვით „მატერია საერთოა ინტელიგიბელური და ვრძობადი სამყაროებისათვის“ და რომლებიც ამით მატერიას „ახალ მნიშვნელობას ანიჭებენ“. ამ მოაზროვნეთა შორის ბრუნოს ყურადღებას განსაკუთრებით პლოტინი იმსახურებს და მას იმოწმებს. „თუ ინტელიგიბელურ სამყაროში — გადმოგვიცემს ბრუნო პლოტინის სიტყვებს — არსებობს სიმრავლე და მრავალი სახეები, მაშინ იქვე აუცილებლად უნდა არსებობდეს რაღაც ზოგადი ნივთი მათი განსხვავებისა და თავისებურების გვერდით“. ის, რაც ზოგადია და საერთო, არის, პლოტინის მიხედვით, მატერია; ის, რაც ქმნის განსხვავებას, არის ფორმა პლოტინის ერთ-ერთი მოსაზრება, რომელსაც ამ შემთხვევაში ბრუნო იმოწმებს, ისაა, რომ ხილული სამყარო ინტელიგიბილური სამყაროების ძაბვად და ეს უნდა ეხებოდეს ამ სამყაროების შედგენილობასაც. უმაღლესი სამყარო არის არა მხოლოდ მთელი და განუყოფელი, არამედ გაყოფილი და განსხვავებული. ეს გაყოფა და სხვადასხვაობა მასში „შეუძლებელია“ მატერიის, როგორც საფუძვლის გარეშე [2, გვ. 257].

საკითხის სირთულე, მისი გადაწყვეტის სიახლე და თავისებურება სქოლასტიკაში გავრცელებულ შეხედულებასთან შედარებით, აიძულებს ბრუნოს ვასცეს უფრო გარკვეული პასუხი პრობლემას. ყოფიერება, ბრუნოს მიხედვით, წარმოადგენს სხეულებრივი და უსხეულო (იდეალური) ყოფიერების ერთიანობას და თვითუფლ მათგანს შეესაბამება სხეულებრივი და უსხეულო შესაძლებლობა, ისევე, როგორც — სხეულებრივი და უსხეულო სინამდვილე. ამის შესაბამისად არსებობს სხეულებრივი მატერია, და მეორე მხრივ უსხეულო მატერია. განსხვავდებიან ისინი ფორმალურად, როგორც ორი სახე ერთ გვარში, მსგავსად ღომისა და ადამიანისა, რომლებიც განუსხვავებელნი არიან „საერთო ბუნებით“, მაგრამ განსხვავდებიან სპეციფიკური ნიშნებით.

არსებითად განსხვავება მატერიის ორ სახეობას შორის განსაზღვრულია მათი შესაძლებლობის განხორციელების (სინამდვილედ ქცევის) ფორმით. მარადიულ მოვლენებში მატერია ხორციელდება ყოველთვის, როგორც ერთიანი (და ამავე დროს სინამდვილის ერთიან ფორმაში); ცვალებად მოვლენებში —

სინამდვილის (განხორციელების) განსხვავებულ ფორმებში. პირველ შემთხვევაში მატერიას აქვს ყოველივე, რაც შეიძლება ჰქონდეს, და არის ის, რაც შეიძლება იყოს, ე. ი. მარადიულ მოვლენებში შესაძლებლობა ხორციელდება ერთბაშად, ყოველთვის და ერთობლივად. მეორე შემთხვევაში ის არის, რაც შეიძლება იყოს, და აქვს მას ყოველივე, რაც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მრავალჯერ, განმეორების ფორმაში, სხვადასხვა დროს და გარკვეული თანმიმდევრობით [2, გვ. 260; შდრ. 8, გვ. 148—149]. პირველ შემთხვევაში განხორციელება მთლიანია, სრულია და მატერია აქტუალურად ფლობს ყოველივეს, დროისა და მოძრაობის გარეშე. მეორე შემთხვევაში — მისი განხორციელება მისი ნაწილების ცვალებადობას გულისხმობს. აქ მატერია ქცევადობის პირობებში რჩება, განსხვავების, ცვალებადობის და მოძრაობის მდგომარეობაში იმყოფება.

ამგვარად, ბრუნოს აზრით, მატერიის არც ერთი ამ სახეობათაგანი არაა არასოდეს უფორმო, არც მარადიულ და არც ცვალებადობის სფეროში. ის ყოველთვის აქტუალურია, თუმცა თვითეული მათგანი სხვადასხვაგვარად ღებულობს ფორმას. პირველი — „მარადიულობის მომენტში“, ერთდროულად, შეკუმშულად, როგორც ერთიანი და ყოველივე ყოველივეში. მეორე — დროის მომენტში, თანმიმდევრულად, როგორც სიმრავლე და ცალკეული ნივთი ცალკეული ნივთის შემდეგ [2, გვ. 263—264; შდრ. 8, გვ. 153—154].

რამდენადაც მატერია მარადიულია და ყოველთვის გაფორმებული, ამდენად, მატერია აწარმოებს ნივთებს თავისი თავისაგან და არ ღებულობს მათ გარედან.

წინააღმდეგ არისტოტელესი, რომლის შეხედულებანი მატერიაზე ბრუნოს „აბსტრაქტული“ მოაზრება, აქაც, მატერიაზე მოძღვრების ამ ნაწილშიც — ორგვარი მატერიისა და მათი განხორციელების სხვადასხვა ფორმებზე. ბრუნოს წყაროს „პლატონიკოსების სკოლის მეთაური“ — პლოტინი წარმოადგენს, რომლის შეხედულებებსაც ბრუნოს წარმოადგენილი მოსაზრებანი მთლიანად ემთხვევა. მთავარი ისაა, და ამაზე ბრუნო ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ „რაოდენ შეუძლებელადაც არ უნდა წარმოგვიდგეს მატერიის ზოგადი საფუძვლის პოვნა“, — ასეთი მატერია არსებობს² [2, გვ. 260].

Ш. В. ХИДАШЕЛИ

К ВОПРОСУ О ФИЛОСОФСКИХ ИСТОЧНИКАХ ДЖОРДАНО БРУНО

Резюме

В науке нет однозначного ответа на поставленный автором статьи вопрос. Существуют различные мнения относительно особенностей философского мировоззрения Бруно, а также о его наследстве и источниках. Среди предшественников Бруно называют Гераклита, Аристотеля, Платона, Ибн-Рошда, Ибн-Сину, гелиоцентрическую систему Коперника, но никогда, или почти никогда — неоплатонизм.

² საყურადღებოა, რომ პროკლეს მატერია გამოადგება ამ ტრიადის (ზღვარი, უსაზღვრო, ნარევი) ერთ-ერთი წევრიდან (უსაზღვროდან), რომელიც მოთავსებულია პროკლესთან გონისა და ღვთაებრივი მონადების ზევით.

Между тем, по мнению автора статьи, Аристотель в сочинениях Бруно является лишь объектом критики. И критика, часто резкая, относится не только к Аристотелю «схоластиризованному», но и к его подлинным положениям. Отношение Бруно к философии Аристотеля служит подтверждением того, что в представлении философа эпохи Ренессанса существует тесная идейная связь между средневековой схоластической философией и идеями Аристотеля, и критика схоластики предполагает в значительной степени критику Аристотеля.

Изучение сочинений Бруно подтверждает, что его авторитетами являются Плотин — среди представителей древней философии, и Николай Кузанский — среди философов нового времени. Если принять во внимание, что основные идеи Николая Кузанского восходят к неоплатонизму, опосредствованному Псевдо-Дионисием, то следует согласиться с мнением, усматривающим истоки философии Бруно в неоплатонизме.

Особенно наглядно идейные аналогии между неоплатонизмом и философией Бруно можно усмотреть как в положениях, непосредственно восходящих к неоплатонизму (и, в частности, к Плотину), так и во взглядах, берущих начало в философии Николая Кузанского. Аналогии очевидны и в положениях, представляющих дальнейшее развитие неоплатонизма.

В первоначале, согласно Бруно, абсолютная возможность совпадает с абсолютной действительностью.

Первоначало содержит в себе все противоположности.

Постижение первоначала возможно путём отрицания.

Вселенная бесконечна как во времени, так и в пространстве и содержит в себе бесконечное количество миров. Единство этих миров обусловлено тождеством их составных элементов и господствующей в них общей закономерностью.

Учение Бруно о материи принципиально отличается от учения Аристотеля и совпадает со взглядами Плотина. В противовес Аристотелю, взгляды которого о материи представляются Бруно «абсурдными», источником Бруно в данном случае служит тот же «Плотин, главарь школы Платона».

ლიტერატურა

1. არისტოტელე, მეტაფიზიკა, XI, 9; შტრ. ფიზიკა, III
2. Бруно Дж. Диалоги, 1949.
3. Горфункель А. Х. Джордано Бруно, М., 1965.
4. Дыниш М. А. Человек элице и космос в философии Джордано Бруно. «Вопросы философии» № 9, 1966.
5. Лосев А. Ф. Статьи по истории античной философии для IV—V томов филос. энциклопедии, М., 1965, на пр. рук.
6. Соколов В. В. К исторической характеристике пантеизма в западноевропейской философии, «Философские науки», 4, 1960.
7. Штёкль А! История средневековой философии, М., 1912.
8. Giordano Bruno, Von Ursache, dem Princip und dem Einen, übersetzt von P. Seliger, Leipzig
9. Nelson J. Ch. Renaissance Theory of Love, the context of Giordano Bruno's heroic furori, New-York, 1958.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტმა

ნაპო კვარაცხელია

ტრადიციული შემეცნების თეორიის მსოფლმხედველოვანი
კოზმოსი და მისი კრიტიკა

შემეცნება ადამიანური ყოფიერების ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ადამიანი ბუნებით შემეცნებისაკენ ისწრაფვის. ადამიანის ბუნებაში ჩადებულ ამ ღრმა მისწრაფებას, — გაიგოს ყველაფერი, რაც მასში და მის გარშემო ხდება, — ძველმა ბერძნებმა თავიანთ ენაზე ფილოსოფია უწოდეს. ამდენად, შემეცნება ადამიანის არსების, მისი კულტურულ-ისტორიული მოღვაწეობის უაღრესად მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი მახასიათებელია: შემეცნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამსჭვალავს და განწონის ადამიანის კულტურული მოღვაწეობის ყველა სხვა სახეს, სინამდვილისადმი მის ყველა შესაძლო მიმართებათა მთელ სისტემას. როგორც ჩანს, დიდ გერმანელ ფილოსოფოსს ჰეგელს სწორედ ამან მისცა საფუძველი გამოცხადებინა შემეცნება ადამიანური მოღვაწეობის ერთადერთ ფორმად. ჰეგელის მიხედვით ხომ საბოლოო ანგარიშით ადამიანის მიერ შექმნილი მთელი კულტურა, საერთოდ ყველაფერი არის შემეცნება, ცოდნა. თვით რელიგიური რწმენაც შეფარული ცოდნაა. ცხადია, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია შემეცნების ჰეგელისეული აბსოლუტიზაციის იდეა, მაგრამ ერთი რამ უთუოდ უნდა აღინიშნოს: ჰეგელმა სწორად შეამჩნია შემეცნების განმსაზღვრელი და ფუნდამენტური მნიშვნელობა ადამიანის არსებისათვის. და მართლაც, ადამიანი იმეცნებს მაშინაც კი, როცა იგი საკუთრივ მეცნიერების სფეროში არ იმყოფება: ვარსკვლავებით მოჭედულ ცას უმზერს თუ სინამდვილეს პრაქტიკულად გარდაქმნის, მშვენიერების ჭერებით ტკბება თუ სიკეთეს სჩადის, — ადამიანი მეტ-ნაკლებად ყოველთვის იმეცნებს.

რაკი ეს ასეა, შემეცნების თეორია, როგორც შემეცნების ფენომენის ფილოსოფიური გააზრება, ადამიანზე ზოგადფილოსოფიური მოძღვრების შემადგენელ ნაწილად გვევლინება და როგორც ასეთი, იგი ადამიანის არსების გარკვევის სამსახურში ღვას¹. ამ მხრივ შემეცნების თეორია მსოფლმხედველობას წარმოადგენს. რა არის ადამიანი როგორც შემეცნებელი არსება, რაში მდგომარეობს შემეცნების საზრისი და საბოლოო მიზანდასახულობა, რა ადგილი უკავია საკუთრივ შემეცნებით მოღვაწეობას ადამიანის კულტურულ-ისტორიული მოღვაწეობის მთლიან სტრუქტურაში და ა. შ. აიწყება საკითხებისა, რომლებზედაც შემეცნების თეორიამ უნდა უბასუხოს.

I. შემეცნება როგორც ფილოსოფიური პრობლემა
ძველმა ბერძნებმა შენიშნეს, რომ ფილოსოფოსობა, საერთოდ შემეცნება გა-

¹ ცხადია, ეს აზრი შემეცნების თეორიის, როგორც დამოუკიდებელი ფილოსოფიური დისციპლინის, უარყოფად არ უნდა გვეგოთ. აქ მხოლოდ იმის ხაზგასმა გვინდა, რომ შემეცნების თეორია არ დაიფუძნება შემეცნების რეალური პროცესის უბრალო დესკრიფციასზე. მან, ამასთანავე, უნდა გავგაგებინოს საშუაროსადმი ადამიანის მიმართების შემეცნებითი ასპექტი, — ის, თუ რა არის ადამიანი როგორც შემეცნებელი არსება. უფრო დაწვრილებით ამის ნათელყოფას შემდეგ წერილში შევეცდებით.

კვირებით იწყებო. თავდაპირველად სინამდვილის საგნები და მოვლენები ადამიანის მაძიებელ ცნობიერებას წარმოუდგებოდა, როგორც იღუმალებით მოცული, საკვირველი და გასაოცარი. საერთოდ შემეცნება, ალბათ, იმით იწყება, რომ ადამიანებმა გაიოცეს და გაიკვირვეს ის გარემომცველი სამყარო, რომელიც მათი ცნობიერების წინაშე იდგა როგორც გამოცანა, საიდუმლოება. გაკვირვების შედეგად იწყეს ადამიანებმა სამყაროს საკვირველ მოვლენებზე დაკვირვება, მათი ფილოსოფიური განხილვა. სამყაროს ამ საოცარ და საკვირველ მოვლენათა რიცხვს მიეკუთვნება თვითონ შემეცნებაც.

თავდაპირველად ადამიანის გონება გარემომცველი სამყაროს, ობიექტურ-სუბსტანციალური ყოფიერების საკითხებით ინტერესდებო. და ეს სრულიად გასაგებია და ცხადია: ჯერ სინამდვილის რეალურ შემეცნებას უნდა ეარსება, რომ შემდეგ მასზე ფილოსოფიური რეფლექსია მომხდარიყო. ჯერ იყო შემეცნების ფაქტი, ხოლო შემდეგ მისი ფილოსოფიური გაზრება. ისტორიულად ონტოლოგია უსწრებდა წინ გნოსოლოგიას.

ფილოსოფიური აზროვნების განსაზღვრულ საფეხურზე თვითონ შემეცნების ფენომენის გადაქცევა ადამიანის შემეცნებითი ინტერესის საგნად წარმოადგენდა დიდ შემობრუნებას, გარკვეულ გარდატეხას არა მხოლოდ ფილოსოფიის ისტორიაში, არამედ საერთოდ კაცობრიობის კულტურის ისტორიაში. ეს გარდატეხა მოასწავებდა შემობრუნებას ბუნების შემეცნებიდან ადამიანის თვითშემეცნებისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ შემეცნების თეორია და ადამიანისმცოდნეობა სოკრატესთან წარმოიშვა და ჩამოყალიბდა შემეცნების თეორიის სახით. ამიტომ, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ სოკრატეს მიერ შემეცნების პრობლემა დაისვა როგორც ეთიკური პრობლემა, როგორც ადამიანის ზნეობრივი არსების პრობლემა.

სოკრატესთან საკითხი მეტად თავისებურად ისმის, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა ჩვენთვის. ჯერ ერთი, ყოველგვარ ადამიანურ შემეცნებას, ნებისმიერ კონკრეტულ ცოდნას სინამდვილის ამა თუ იმ სფეროზე ლოგიკურად წინ უსწრებს თვითონ შემეცნების რაობის, ცოდნის ბუნების გამოკვლევა. რაიმეს შესახებ ცოდნა აუცილებლობით გულისხმობს თვითონ ცოდნის არსების ცოდნას წინასწარ მოცემულად. შესაბამისად, ზოგადის ცოდნა, ცნებითი შემეცნება უფრო ნამდვილია და ლოგიკურად წინ უსწრებს ერთეული მოვლენების შესახებ ჩვენს წარმოდგენებსა თუ შეხედულებებს როგორც მოჩვენებით, არაჰეშმარიტ ცოდნას. ამიტომ სოკრატეს ღრმა რწმენით, შემეცნების, ცოდნის არსების შესახებ დასმული კითხვა, თავისი საზრისისა და მნაშენლობის მიხედვით, ყველა სხვა კითხვაზე ძირეულია და უწინარესი. პლატონის დიალოგ „თეეტეტში“ სოკრატე თანამოსაუბრეებთან სწორედ ამ მიმართულებით ავითარებს თავის მსჯელობას [8, გვ. 230—31].

მეორე, ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო მომენტი სოკრატეს ნააზრევისა ის არის, რომ აქ პირველად მთელი პრინციპულობით ცოდნის რაობის ძირების პრობლემა ორგანულად დაუკავშირდა ადამიანის რაობის, მისი ზნეობრივი თვითშემეცნების პრობლემას. ამ ვითარებას კარგად გამოხატავენ სოკრატეს ცნობილი დებულებები: ცოდნა არის სიკეთე, რომლის სიღრმე და ღირებულება, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამაში უნდა დავინახოთ. სოკრატესთან ცოდნის რაობის საკითხი ისმის არა როგორც თვითმიზანი, წმინდა შემეცნების თეორიული კითხვა, არამედ როგორც ეთიკური პრობლემატიკისადმი დაქვემდებარებული და, საბოლოო ანგარიშით, ამ უკანას-

კნელის მიერ მოთხოვნილი პრობლემა. იმს გარკვევა, თუ რა არის სიკეთე, ქეშმარიტება, მშვენიერება, სამართლიანობა, სიამაგე და ა. შ. ადამიანის ბუნების, მისი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური დანიშნულების, მისი ცხოვრების საზრისისა და ზნეობრივი არსების შემეცნებას ნიშნავს. ამიტომ სოკრატეს მიერ შემუშავებული ირონიისა და მაიევტიკის მეთოდები ადამიანის მიერ საკუთარი ყოფიერების თვითგაგებისა და ზნეობრივი თვითსრულყოფის ამ უმაღლესი მიზნის მიღწევის საქმეს ემსახურება. ცოდნაზე მოძღვრება, ცოდნის თეორია სოკრატეს ზოგადი ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური და ეთიკური მოძღვრების ორგანული ნაწილია. სოკრატეს ღრმა ჩანაფიქრითა და თავდაპირველი განზრახვით, შემეცნებაზე მოძღვრება, ცოდნის თეორია ისევე არის ადამიანის არსების შესახებ მოძღვრება, როგორც ეთიკა. ცოდნის რაობის გაგებამ ჩვენ ადამიანის არსების გაგებამდე უნდა მიგვიყვანოს, მისი ყოფიერების უღრმესი შრეები უნდა გვაწვდომინოს, ვინაიდან ადამიანია ის, ვინც ცოდნას ქმნის, შემეცნებას ახორციელებს. მაშასადამე, სოკრატეს აზრით, ცოდნის თეორიას არანაკლებ ევალება ეთიკასთან ერთად გავგაგებინოს ადამიანის ადგილი და ზნეობრივი დანიშნულება სინამდვილის საზოგადოებრივსა და ბუნებრივ წყობაში.

ამრიგად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შემეცნების თეორიის ძირითად ამოცანაზე და საბოლოო მიზანზე არსებითად სწორად იქნა მანიშნებული მისი წარმოშობის საწყისშივე — იქ, სოკრატეს ფილოსოფიაში, სადაც უმთავრესი პრობლემა, გამოკვეთილი სახით, პირველად დაისვა. გარკვეული აზრით შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ მხრივ გნოსეოლოგიური აზროვნების შემდგომი განვითარება შემეცნების თეორიაში პოზიტივისტურად ორიენტირებული სკოლების წარმოშობამდე მეტ-ნაკლებად სოკრატეს მიერ მინიშნებულ გზას მიჰყვებოდა. შემეცნებისთეორიული აზროვნების დაკავშირება ადამიანის თვითშემეცნების, მისი არსების პრობლემასთან, სოკრატეს ნააზრევს უქვეველად ხდის დიდი შემობრუნების პუნქტად ანტიკური ფილოსოფიის ისტორიაში.

მართალია, შემეცნებისთეორიული აზროვნების შემდგომი განვითარება მეტ-ნაკლებად სოკრატეს მიერ მინიშნებულ გზას მიჰყვებოდა, მაგრამ ახალსა და უახლესს ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ეს ტენდენცია თანდათანობით დავიწყებას მიეცა, ხოლო პოზიტივისტურ და სტრუქტურალისტურ ეპისტემოლოგიაში იგი თითქმის სრულიად გაქრა. პოზიტივიზმმა გნოსეოლოგიური კვლევა-ძიების ამოცანა მეცნიერული ცოდნის ანალიზით შემოსაზღვრა, რაც ნიშნავდა შემეცნების რაობის ანალიზს ადამიანის არსებისაგან განყენებულად. შემეცნების თეორია უნაშთოდ დაყვანილი იქნა ცოდნის თეორიაზე — მეცნიერული შემეცნების ლოგიკისა და მეთოდოლოგიის საკითხების კვლევაზე ისე, რომ აბსოლუტურად მხედველობაში არ მიიღება შემეცნების რაიმე მძიმართება ადამიანის არსებისადმი, მისი ყოფიერების ძირითადი პრობლემებისადმი. ადამიანი მთლიანად გაქრა შემეცნებისთეორიული აზროვნების ჰორიზონტიდან. გამოხატავს რა სტრუქტურალისტური მსოფლმხედველობის ძირითად მისწრაფებას, მიშელ ფუკო აღნიშნავს: „ღღეს აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ ცარიელ სივრცეში, სადაც უკვე აღარ არის ადამიანი“ [11, გვ. 438]. მისი აზრით, ადამიანი — ეს ქიშკრა, არც ისე დიდი ხნის, 200 წლის წინანდელი გამოგონებაა და იგი ისევე უნდა გაქრეს თანამედროვე მეცნიერული აზროვნების საკმაოდ ჭრელი რუკიდან. თანამედროვე აზროვნება

თანდათანობით გამოდის ამ 200 წლოვანი „ანთროპოლოგიური ძილსაგან“ და აშკარად ანტიანთროპოლოგისტურ ხასიათს იძენს. მ. ფუკოს ღრმა რწმენით, თანამედროვე ფილოსოფიის ამგვარი სულსკვეთების სათავესთან დგას ფრიდრიხ ნიცშე, რომელმაც ევროპულ კაცობრიობას ღმერთის სიკვდილთან ერთად, ფაქტიურად, ადამიანის სიკვდილიც აუწყა, რამეთუ ღმერთი და ადამიანი ურთიერთის თანაარსნი არიან [11, გვ. 437]. მაშასადამე, მ. ფუკოსა და საერთოდ პოზიტივისტურად ორიენტირებული სტრუქტურალისტური ეპისტემოლოგიის მიხედვით გამოდის, რომ არა მხოლოდ შემეცნების თეორიამ უნდა მოახდინოს ადამიანის არსებობისაგან აბსოლუტური განყენება, აბსტრაქცირება, მასზე მსჯელობისაგან თავის შეკავება, არამედ საზოგადოდ მეცნიერული შემეცნების ყველა სხვა სახემაც, თუ მკაცრი მეცნიერულობის მიღწევა გვესურს. ასე, თანდათანობით, პოზიტივიზმში ენოსეოლოგია თვითმიზნულ საქმიანობად იქცა, — ისეთ რამედ, რომელსაც არაფერი ესაქმება ადამიანის ყოფიერების გაგების ამოცანასთან. სოკრატეს თავდაპირველი გაგება შემეცნების თეორიისა, როგორც ადამიანის თვითშემეცნების სამსახურში მყოფისა, საბოლოოდ სრულ დავიწყებას მიეცა. ევზისტენციალისტების, უწინარეს ყოვლისა კი მ. ჰაიდეგერის, ენერგული მოთხოვნა ძველი ბერძნული ონტოლოგიური ტრადიციების აღდგენის თაობაზე, როგორც ჩანს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ გარემოებითაც იყო განპირობებული.

ისმის კითხვა: შემეცნების ფენომენს მხოლოდ შემეცნების თეორია შეისწავლის, თუ არსებობენ, აგრეთვე, სხვა მეცნიერებანი, რომლებიც ამ ფენომენის ბუნებას არკვევენ?

სხვა მეცნიერებებსო რომ ვამბობთ, უპირველეს ყოვლისა იგულისხმება სპეციალური მეცნიერებანი, განსაკუთრებით კი — ბუნებისმეცნიერებანი. თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული მეცნიერებანი, რამდენადაც მათ საქმე აქვთ სინამდვილის შესატყვისი სფეროების კანონზომიერების კვლევასთან, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რაღაცას გვეუბნებიან შემეცნების პრობლემასა და მისი აუცილებელი შედეგის — ცოდნის თაობაზე. თითოეული სპეციალური მეცნიერება ადამიანური შემეცნების განვითარების მეტად საინტერესო ისტორიას გადაგვიშლის. ასევე უაღრესად საინტერესოა სპეციალურ მეცნიერებათა დიდი წარმომადგენლების ცალკეული შეხედულებები და მოსაზრებანი შემეცნების შესახებ. მიუხედავად ამისა, სპეციალურ მეცნიერებათა ეს მონაცემები თუ ცალკეულ მეცნიერთა შეხედულებანი არა თუ ვერ დააფუძნებს შემეცნების თეორიას, არამედ ისინი საერთოდ არ შემოვა შემეცნების თეორიაში; მათ, საუკეთესო შემთხვევაში, შემეცნებისთეორიულ დებულებათა მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობა შეიძლება გააჩნდეთ, — არც მეტი, არც ნაკლები. ამ თვალსაზრისით მით უფრო გაუგებარია საბჭოთა მეცნიერის ნ. მედევედვის მონოგრაფიის სახელწოდება: „ასახვის თეორია და მისი ბუნებისმეცნიერული დაფუძნება“, მაშინ როდესაც საქმის ვითარება სრულიად პირიქითაა. ცხადია, ბუნებისმეცნიერება ვერანაირად ვერ დააფუძნებს შემეცნების თეორიას, როგორც შემეცნებაზე ფილოსოფიურ მოძღვრებას. პირიქით, თუ გავითვალისწინებთ ცნობილ ლენინურ დებულებას იმის შესახებ, რომ ყოველი მეცნიერება არის გამოყენებითი ლოგიკა, სპეციალურმა მეცნიერებებმა ასეთი დაფუძნება შემეცნების თეორიიდან, ფილოსოფიურ-ლოგიკური ვითარებიდან უნდა მიიღონ.

შემეცნება, უწინარეს ყოვლისა, ფილოსოფიური პრობლემაა და მასზე ერთადერთ პრინციპულად შესაძლო ფილოსოფიურ მოძღვრებას შემეცნების თეორია წარმოადგენს.

რაში მდგომარეობს შემეცნება როგორც ფილოსოფიური პრობლემა?

ამ კითხვაზე რომ ვუპასუხოთ და ამასთანავე ჩვენს ბჭობაში მეტი სინათლე შემოვიტანოთ, საჭიროა მოკლედ შევეხოთ საკითხს: რაში მდგომარეობს საერთოდ ფილოსოფიური პრობლემის ბუნება და მისი თავისებურებანი? რით განსხვავდება ფილოსოფიური პრობლემა სპეციალურ-მეცნიერული პრობლემისაგან? რა განსხვავებაა ფილოსოფიურ და სპეციალურ-მეცნიერულ შემეცნებას შორის?

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილოსოფიური და სპეციალურ-მეცნიერული შემეცნება სხვადასხვა ტიპის შემეცნებაა; ისინი როგორც საგანთა განხილვის მანერის, ისე, შესაბამისად, საკუთარი პრობლემების დასმის წესის თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვა განზომილებაში მოძრაობენ. ცხადია, ამ განსხვავებაზე მითითება არ ნიშნავს მათი ერთიანობის უარყოფას.

პოზიტივიზმის უთუო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან კარგად შეამჩნია ეს განსხვავება ტრადიციულ ფილოსოფიასა და სპეციალურ-მეცნიერებას შორის, ამიტომ, საკუთარი მიზნებიდან გამოსულმა, მათი დაახლოება სცადა: პოზიტივიზმის მიხედვით, ამიერიდან ბოლო უნდა მოელოს ცრურწმენას, რომ ფილოსოფია არის რაღაც განსაკუთრებული ტიპის შემეცნება. მას სინამდვილეში არც განსაკუთრებული საგანი გააჩნია და არც ამ საგნის გააზრების საკუთარი მეთოდი. ფილოსოფია უნდა ვიპოვოთ როგორც, არც მეტი, არც ნაკლები, სპეციალურ-მეცნიერული ტიპის შემეცნება. რაც შეეხება ტრადიციული ფილოსოფიის პრობლემებს, ისინი არც მცდარია და არც ჭეშმარიტი, მათი არც ვერიფიკაცია შეიძლება და არც ფალსიფიკაცია. ერთი სიტყვით, ისინი საზრისის არმქონე ფსევდო-პრობლემებია და, ამ აზრით, არც არიან პრობლემები. პოზიტივიზმის მიხედვით, ტრადიციული ფილოსოფიის პრობლემა სინამდვილეში არის არაპრობლემა.

საბოლოო ანგარიშით პოზიტივიზმი ფილოსოფიის როგორც განსაკუთრებული სპეციალურ-მეცნიერული შემეცნებისაგან განსხვავებული შემეცნების უარყოფამდე მიდის. მისი მტკიცებით, ფილოსოფია სპეციალურ-მეცნიერული ტიპის შემეცნებაა, რომლის მიზანია მეცნიერული ცოდნის ანალიზი. შესაბამისად, ფილოსოფიის პრობლემები მეცნიერების ლოგიკური პრობლემებია.

ამგვარ თვალსაზრისს რომ ავითარებს, პოზიტივიზმი იმთავითვე მცდარი და წინასწარაკვიტებული თეზისიდან გამოდის: ფილოსოფია უნდა იყოს სპეციალურ-მეცნიერული ტიპის შემეცნება. თავისთავად ცხადია, სპეციალურ-მეცნიერული აზროვნების პოზიციიდან კი საკუთრივ ფილოსოფიური პრობლემები ცრულ, უსაზრისოდ და, საბოლოოდ, არაპრობლემებად გამოიყურებიან.

ფილოსოფიის რაობის გაგებაში მარქსიზმი იმ პრინციპული მნიშვნელობის დებულებიდან გამოდის, რომ ფილოსოფია განსაკუთრებული ტიპის

მსოფლმხედველობრივი მეცნიერებაა, რომელსაც სინამდვილეში გააჩნია თავისი კვლევის ობიექტი და, რაც მთავარია, საგანთა აზროვნებითი განხილვის საკუთარი დიალექტიკური მეთოდი. ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ განსხვავებით სპეციალური მეცნიერებებისაგან, რომლებიც სამყაროს ცალკეულ მხარეებს იკვლევენ, ფილოსოფია შეისწავლის სამყაროს როგორც მთელს. როცა ამას ამბობენ, ცხადია, რაიმე განსაკუთრებულს არ ამტკიცებენ: ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამყარო როგორც მთელი არ არსებობს ნაწილების მიღმა და მათ გარეშე და მეორეც — აქ საქმე მხოლოდ ობიექტს როდი შეეხება, არამედ ამ ობიექტის განხილვის საკუთრივ ფილოსოფიურ წესს. ფილოსოფიური შემეცნების თავისებურებას ქმნის არა მხოლოდ ის საგნები, რომლებიც ფილოსოფიამ უნდა შეისწავლოს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ამ საგანთა განხილვა-გააზრების საკუთრივ ფილოსოფიური სტილი. ამ თვალსაზრისით ფილოსოფიური შემეცნების საგანია საერთოდ ყველაფერი: დედამიწის ქანებიდან — მოცარტის მუსიკამდე, უმარტივესი მწერებიდან — სინდისის ფენომენამდე.

ფილოსოფიის პრობლემები საერთოდ ყოფიერების სასაზღვრო პრობლემებია, რის გამოც იგი არის მსოფლმხედველობრივი ხასიათის მეცნიერება. ჯერ კიდევ არისტოტელე ამიტომ ხელაგდა „პირველი ფილოსოფიის“ ამოცანას არსებულის როგორც არსებულის პირველი მიზეზებისა და პრინციპების კვლევაში. ფილოსოფიამ პასუხი უნდა გასცეს უკანასკნელ „რატომ“-ს. სპეციალური მეცნიერება, რამდენადაც იგი საკუთარ ფარგლებში რჩება, ვერ დადის ამ უკანასკნელ „რატომ“-ზე, მსოფლმხედველობის სასაზღვრო საკითხებამდე და ისინი, ფაქტობრივად, მისი შემეცნებითი თვალსაწიერის მიღმა რჩება. ვთქვათ, ბიოლოგია როგორც სპეციალური მეცნიერება იკვლევს მცენარეს, ცხოველს და ა. შ. მას, ცხადია, ასევე აინტერესებს საერთოდ სიცოცხლის ფენომენის არსება. მაგრამ საკითხი, თუ რატომ გამოვლინდა ერთი და ერთიანი ყოფიერება სიცოცხლისა და მისი კონკრეტული ფორმების სახით, — ეს ფილოსოფიური პრობლემაა და მასზე საბოლოო ანგაშირით ფილოსოფიამ უნდა უპასუხოს (ცხადია, ბიოლოგიურ მეცნიერებათა მონაცემების გათვალისწინებით).

იმისათვის, რომ რომელიმე ბიოლოგიური ფენომენი, ვთქვათ, ბროწეულის მცენარე პირველიდან და ამომწურავად იქნეს შემეცნებული, შემეცნებელი ცნობიერების წინაშე დგება მთელი წყება კითხვისა „რატომ“. რატომ გამოვლინდა ერთი და ერთიანი ყოფიერება საერთოდ სიცოცხლის სახით, ხოლო ეს უკანასკნელი — მცენარეული ყოფიერების ფორმით, თავის მხრივ, მცენარეული ყოფიერება რატომ მოგვევლინა ბროწეულის მცენარის მოდელში? კითხვის ამ ბოლო ნაწილზე პასუხი აუცილებლად გულისხმობს პირველ ნაწილზე პასუხს და იგი ბიოლოგიამ საბოლოო ანგარიშით ფილოსოფიისაგან უნდა მიიღოს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული შეიძლება შემდეგნაირად შევაჯამოთ: სპეციალურ-მეცნიერული პრობლემები — ეს ისეთი პრობლემებია, რომელთა დასმის წესში იმთავითვე ივარაუდება მათი პრინციპული გადაწყვეტადობის (თან საბოლოოდ და შედარებით ერთმნიშვნელოვნად) შესაძლებლობა. ამიტომ ე. წ. პრინციპულად გადაუწყვეტადი პრობლემა, — თუ ასეთი რამ საერ-

თოდ არსებობს სპეციალურ მეცნიერებაში,—ან არასწორად დასმული პრობლემა, ანდა საერთოდ არ ეკუთვნის ამ მეცნიერებას. ფილოსოფიური პრობლემები კი ისეთი პრობლემებია, რომელთა დასმის წესში იმთავითვე სრულიადაც არ იგულისხმება მათი პრინციპული გადაწყვეტადობის შესაძლებლობა (მით უფრო — საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად). როგორც ჩანს, ამას გული-სხმობენ, როცა, ჩვეულებრივ, მათ აღნიშნავენ ე. წ. „მარადიული პრობლემების“ სახელწოდებით. ფილოსოფიის მიერ დასმული კითხვები ყოფიერების ფუნდამენტური კითხვებია, რომლებიც უეჭველად შეიცავენ გამოუვალ სიძნელეს და, ამ აზრით, აპორიულობას. ფილოსოფია გარკვეული აპორეტკუსული აზროვნებაა. ყოველმა ეპოქამ თვითონ უნდა ნახოს გამოსავალი ამ სიძნელეებიდან მოცემული ეპოქის სოციალურ-ისტორიული და გონითი სიტუაციის თავისებურებათა გათვალისწინებით. ყოველმა ეპოქამ საკუთარი კულტურულ-ისტორიული დონის შესატყვისად უნდა გაიაზროს და გადაიაზროს ფილოსოფიური პრობლემები. და მათი გადაწყვეტის შესაძლებლობანი. ამ აზრით ფილოსოფიური პრობლემები მართლაც „მარადიული პრობლემებია“.

ამ მარადიულ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება შემეცნების პრობლემა, — შემეცნება სწორედ როგორც ფილოსოფიური პრობლემა და საკუთრივ ფილოსოფიური განხილვის საგანი. რაში მდგომარეობს შემეცნების როგორც ფილოსოფიური პრობლემის არსი? როგორც აღინიშნა, ყველა მეცნიერება მეტ-ნაკლებად შემეცნებას ეხება. ყოველი სპეციალური მეცნიერება ადამიანური შემეცნების თავისებური თავგადასავალია. მაგრამ არც ერთი მათგანი, — და ესეც უკვე აღინიშნა, აქ მხოლოდ ვიმეორებთ, — არ იკვლევს შემეცნებას როგორც ფილოსოფიურ პრობლემას. რა არის შემეცნება, რა ადგილი უკავია შემეცნების ფენომენს უნივერსალური ყოფიერების ონტოლოგიურ სტრუქტურაში? — აი, შემეცნების ძირითადი პრობლემა, რომელზედაც ფილოსოფიურ მოძღვრებას შემეცნების თეორია წარმოადგენს. ამ პრობლემის და მისგან გამომდინარე სხვა საკითხების განხილვისას შემეცნების თეორიამ არაფერი არ უნდა შემოიტანოს ისეთი, რაც საკუთრივ ფილოსოფიური აზროვნების წიაღიდან არ გამომდინარეობს და რასაც საკუთრივ შემეცნების თეორიული სტატუსი არ გააჩნია.

ზენონათქვამიდან გამომდინარე, შემეცნების თეორია არ დაიყვანება ცოდნის თეორიაზე, მით უფრო მეცნიერების თეორიაზე — მეცნიერული შემეცნების ლოგიკასა და მეთოდოლოგიაზე. ეს უკანასკნელი მხოლოდ ნაწილია შემეცნების თეორიისა და არა მთელი შემეცნების თეორია. შემეცნების თეორია არ არის მხოლოდ მეცნიერული კვლევის ტექნიკაზე მოძღვრება და, ამ აზრით, ტექნოლოგიური, შემეცნების რეალური პროცესის მიმდინარეობის ნორმების დამდგენი დისციპლინა. შემეცნების თეორიამ უნდა გვითხრას, რა არის ადამიანური შემეცნების ფენომენის არსება.

2. ტრადიციული შემეცნების თეორიის მსოფლმხედველობრივი პოზიცია. როგორც ცნობილია, ისტორიულად შემეცნების თეორია ფილოსოფიური ცოდნის სისტემის უფრო მტკიცე და სანდო საფუძველზე აგების შინაგანი მოთხოვნილებიდან წარმოიშვა. ამ მხრივ იგი, ისევე როგორც ყველა სხვა ფილოსოფიური დისციპლინა, ბერძნული ანტიკურობის პირშია. და მიუხედავად ამისა, შემეცნების თეორია როგორც ფილოსოფიური აზრის შედარებით დამოუკიდებელი მიმართულება, როგორც შემეცნების ფაქტის საგანგებო თემატიზაცია და მასზე ფილოსოფიური

რეფლექსია, უდავოდ, ახალი დროის აზროვნების მონაპოვარია. ახალი დროის ევროპული ფილოსოფია, საყოველთაო აღიარებით, გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური ხასიათის პრობლემების წინ წამოწევიდა და მათზე საგანგებო აპელირებით ხასიათდება. მართალია, ტერმინი „შემეცნების თეორია“ შედარებით ახალი წარმოშობისაა, სახელდობრ, იგი მე-19 საუკუნეში დიდი იდეალისტური სისტემების მსხვერვის შედეგად აღმოცენდა (გნოსეოლოგიის ისტორიის მკვლევარები ამ ტერმინის შემოტანას შოტლანდიელი სწავლულისა და ფილოსოფოსის ჯონ ფერერის სახელთან აკავშირებენ, ზუსტ თარიღად კი 1854 წელს ასახელებენ) [10], მაგრამ ახალი დროის ფილოსოფიის მთელი განვითარება, როგორც უკვე აღინიშნა, დეკარტედან და ინგლისელი ემპირისტებისაგან მოკიდებული საფუძველზე, არსებითად, შემეცნების თეორიული დაფუძნებისაკენ იყო მიმართული. უკვე ჯონ ლოკი სრულიად გარკვეულად აყენებს საკითხს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა საერთოდ შემეცნება, და პრინციპულად მოითხოვს, რომ მეტაფიზიკურ-ონტოლოგიური პრობლემების განხილვას წინ უძღვის ადამიანის გონების შესწავლა, მისი შემეცნებითი უნარების გამოკვლევა. „ლოკის როგორც ფილოსოფოსის მნიშვნელობა, — სამართლიანად აღინიშნავს კ. ბაქრაძე, — პირველ რიგში გამოიხატება იმაში, რომ მან ფილოსოფიური საკითხების განხილვისას შემეცნების თეორია პირველ ადგილზე დააყენა“ [3, გვ. 150].

ამ დროდინ შემეცნების თეორიამ ფილოსოფიური ცოდნის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა: იგი ფილოსოფიის უწინარეს და უმთავრეს განყოფილებად გამოცხადდა, რითაც საბოლოოდ დაკანონდა გნოსეოლოგიის უპირატესობა ონტოლოგიის წინაშე.

ეს გაბატონებული მდგომარეობა შემეცნების თეორიას საბოლოოდ კანტმა დაუმკვიდრა იმით, რომ იგი ტრადიციული მეტაფიზიკის ადგილზე დააყენა. კანტის აზრით, ამიერიდან ონტოლოგიის ამაყი სახელი უნდა შეიცვალოს წმინდა განსჯის უბრალო ანალიტიკის მოკრძალებული სახელით [6, გვ. 305].

შემეცნების თეორიამ თავისი გაბატონებული მდგომარეობა საკმაოდ დიდხანს შეინარჩუნა. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე, როგორც ო. ბოლნოვი აღინიშნავს, შემეცნების თეორია, ლოგიკასთან ერთად აღებული, ჯერ ისევ განიხილებოდა ფილოსოფიის აუცილებელ შესავლად, იმ საფუძველად, რომლისგანაც ფილოსოფიური ცოდნის სისტემის ყველა სხვა დარგი გამომდინარეობს. ამიტომაც დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სასწავლო გეგმებსა თუ სალექციო მონახაზებში მას განსაკუთრებით გამორჩეული და ფართო ადგილი ეჭირა. შემეცნების თეორია გვევლინებოდა ფილოსოფიის შესწავლის აუცილებელ შესავლად, ზოგიერთს კი მთელი ფილოსოფია პრაქტიკულად მასზე დაყავდა. ყოველ შემთხვევაში, აქ ხედავდნენ მისი უმთავრესი საკითხების გადაწყვეტის შესაძლებლობას. იწერებოდა სხვადასხვა ტიპის პროპედევტიკული კურსები ფილოსოფიაში, ე. წ. ფილოსოფიის შესავალი, რომლის პირველ ნაწილად, როგორც წესი, შემეცნების თეორია იყო მიჩნეული.

მაგრამ სულ მალე მოხდა ისე, რომ შემეცნების თეორიამ თანდათანობით დაკარგა თავისი გაბატონებული მდგომარეობა ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. იგი, წარსულში ტროას დედოფლის ჰექუბეს დარად დიდების შარავანდელით მოსილი, ახლა სრულიად უგულებელყოფილი აღმოჩნდა. უახლეს

და თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში კემპარიტად „ჯვაროსნული ლაშქრობა“ მოეწყო ტრადიციული შემეცნების თეორიის წინააღმდეგ. სრულიად განსხვავებულმა მიმდინარეობებმა გასაოცარი ერთსულოვნება გამოიჩინეს მის უარყოფაში. შეიძლება ითქვას, რომ ტრადიციულ შემეცნების თეორიას ისეთივე ბედი ეწია თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, როგორი ბედიც ტრადიციულ მეტაფიზიკას ერგო წილად კანტის თეორიულ ფილოსოფიაში.

რაში მდგომარეობდა ტრადიციული შემეცნების თეორიის ძირითადი მიზანდასახულობა?

ტრადიციული შემეცნებისთეორიული აზროვნების მსოფლმხედველობრივი პოზიცია არსებითად იმაში მდგომარეობდა, რომ იგი ცდილობდა შემეცნების გამართლებას, მის თეორიულ დაფუძნებას ონტოლოგიის გარეშე, წმინდა შემეცნებისთეორიული რესურსებით. შემეცნებისადმი ამგვარი მიდგომიდან გამომდინარე, შემეცნების თეორია უნდა წარმომდგარიყო თავის თავზე დაფუძნებულ ავტონომიურ სისტემად. კანტამდელი გნოსეოლოგიის მთელმა განვითარებამ მის ორივე — როგორც რაციონალისტურ, ისე ემპირისტულ — ვარიანტში საკმაოდ ცხადყო აღნიშნული შემეცნებისთეორიული განწყობის საფუძველზე შემეცნების გამართლებისა და, შესატყვისად, შემეცნების თეორიის მკვიდრი შენობის აგების შეუძლებლობა. დეკარტე შემეცნების ურყევ საწყისს, ე. წ. „არქიმედეს საყრდენს“, ეძებდა და ასეთად ჩვენი აზროვნების შინაგან სიტყვადეს მიიჩნევდა, რომელიც cogito-ს ცნობილ პრინციპშია გამოხატული. მაგრამ მან ვერაფრით ვერ იპოვა ჩვენი თვითცნობიერების უქვევლი ფაქტიდან ონტიურ რეალობაზე გადასასვლელი ხიდი და ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პრინციპის აღიარებამდე მივიდა. ამასთან დაკავშირებით იხუმრა შემდეგ ვ. დილთაიამ: დეკარტეს შემდეგ სულ იმის ცდაში არიან, რომ ხიდი გადონ („Seit Decartes ist man am Brückenschlagen“) [13, გვ. 55]. ასე წარმოიშვა შემეცნების თეორიაში იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის ურთიერთობის პრობლემა. დეკარტისეული რაციონალიზმის ლოგიკური განვითარება ლაიბნიცის პრესტაბელური პარმონიის თეორიით დასრულდა.

თავის მხრივ, კლასიკური ემპირიზმი შენეცნებას ცდაზე აფუძნებდა, რომელიც აქ გაიგება როგორც ჩვენი უშუალო მარტივი შთაბეჭდილებებისა და აღქმების ერთობლობა. ამ პრინციპის თანამიმდევრული განვითარებაც საბოლოოდ ბერკლის სოლიპსიზმამდე და იუმის ავნოსტიციზმამდე მივიდა.

ამრიგად, როგორც რაციონალიზმმა, ისე ემპირიზმმა შემეცნებელი ცნობიერება თავის თავში ჩაქეტა და ყოველგვარი გზა მოუპრა რეალური ყოფიერების სფეროში გადასასვლელად. ვერც პირველმა და ვერც მეორემ ვერ გაამართლა შემეცნება, ვერ მოგვცა მისი თეორიული დაფუძნება. მთელი კანტამდელი შემეცნებისთეორიული აზროვნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოძრაობდა ემპირიზმისა და რაციონალიზმის სცილასა და ხარიბდას შორის. კანტი შეეცადა. მათი ორგანული სინთეზი მოხდინა თავის თეორიულ ფილოსოფიაში, მაგრამ ისე, რომ შემეცნების თეორიის უონტოლოგიოდ აგების ტრადიციული მსოფლმხედველობრივი პოზიცია ძალაში დატოვა. უფრო ზუსტად, კანტმა შემეცნების თეორია მიიჩნია ერთადერთ ლოგიკურად შესაძლო ონტოლოგიად.

თუმცა ტრადიციული შემეცნებისთეორიული პოზიციის კრიტიკა შობენ-
პაუერიდან, უფრო ინტენსიურად კი ნიციშედან იწყება, მაგრამ პირველი მო-
აზროვნე, რომელმაც შემეცნების ავტონომიური დაფუძნების არსებით ნაკლო-
ვანებებზე მიუთითა, ჰეგელი იყო. ჰეგელს, პირველ რიგში, მხედველობაში
აქვს შემეცნების თეორია კანტის თეორიული ფილოსოფიის სახით. რომლის
მიზანი იყო შემეცნების უნარის გამოკვლევა, მისი შესაძლებლობებისა და
საზღვრების დადგენა. ჰეგელის აზრით, შემეცნებს უნარის, აზროვნების ფორ-
მების წინასწარი გამოკვლევა მათ გამოყენებამდე, თავისთავად, სრულიად
ბუნებრივი და კანონიერი მოთხოვნაა. მაგრამ ასეთი ტიპის კვლევა გარკვეულ
გაუგებრობასაც შეიცავს, ვინაიდან შემეცნების უნარის გამოკვლევაც ზომ
შემეცნებაა. გამოდის რომ შემეცნების თეორია მანამდე იყენებს შემეცნებას,
სანამ მას გაამართლებდეს. ამიტომ შემეცნების თეორიის ამგვარ ამოცანას
ჰეგელი დაარებას ახირებული სქოლასტიკოსის იმ განზრახვას, რომელიც წყალ-
ში ჩაუხვლედად ცურვის შესწავლას ლამობდა. „მასასადამი, დასკვნის ჰე-
გელი, აზროვნების ფორმების მოქმედება და მათი კრიტიკა შემეცნებ ში უნ-
და შეერთდნენ“ [4, გვ. 123]. ჰეგელის მიხედვით, აზროვნების ფორმების
განხილვა და მათი მოქმედება სხვადასხვა სიბრტყეზე მიმდინარე პროცესე-
ბი კი არ არიან, არამედ ისინი ერთიანია და ამ ერთიანობის შინაგან ფორმას
დიალექტიკა წარმოადგენს.

ჰეგელის იდეალისტური სისტემის კრახის შემდეგ ნეოკანტიანილებმა
ლიბმანის ცნობილი მოწოდებისა კვალად — „უკან კანტისაკენ!“ — კვლავ
სცადეს კანტის თეორიულ ფილოსოფიაზე დამყარებით შემოცნების ხელახალი
დაფუძნება. ამ მხრივ ყველაზე სერიოზულ ცდას რიკერტის შემეცნების თეო-
რია წარმოადგენდა [9]. რიკერტმა საფუძვლიანად იკვლია სუბიექტისა და
ობიექტის, იმანენტურისა და ტრანსცენდენტურის გნოსეოლოგიური ურთი-
ერთიმართების პრობლემა და საბოლოოდ შემეცნების თეორიული გამართ-
ლების შეუძლებლობის აღიარებამდე მივიდა. შემეცნების საგნის პრობლემის
უპარესად სკრუპულოზური და ღრმა კვლევის შედეგად რიკერტი ასკვნიდა,
რომ, როგორც ჩანს, თეორიული რეფლექსია არ არის მოწოდებული თანა-
ბუთოს შემეცნების შესაძლებლობა, ვინაიდან მას იმანენტური და ტრანსცენ-
დენტური მუდამ გათიშულობაში ეძლევა: თეორიულ რეფლექსიას მუდამ
ეძლევა ან შემეცნება საგნის გარეშე, ან, პირიქით, საგანი შემეცნების გარე-
შე, მაშინ როდესაც შემეცნების თეორიის ძირითად ამოცანას მათი ერთიანო-
ბის დასაბუთება შეადგენს. საბოლოოდ რიკერტი შემეცნების თეორიაში „არა-
თეორიული“ მომენტის შემოტანის საჭიროების აღიარებამდე მივიდა.

განსაკუთრებით საკულისხმოა ის გარემოება, რომ გნოსეოლოგიიდან ონ-
ტოლოგიის სფეროში გასვლის მოთხოვნილება თვითონ ნეოკანტიანური შემეც-
ნების თეორიის წიაღში აღმოცენდა. ამ მხრივ შემობრუნების პუნქტად შეიძლე-
ბა მივიჩნიოთ ნიკოლაი ჰარტმანი, რომელმაც შემეცნება განსაზღვრა როგორც
„ყოფიერებასთან მიმართება“ (Seinverhältnis) და ამის შესაბამისად შემეცნე-
ბის თეორიის როგორც „შემეცნების მეტაფიზიკის“ უფრო ღრმა დაფუძნებას
შეეცადა².

² ამის შესახებ უფრო დაწვრილებათ იხ. ვ. თევზაქ, ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრი-
ტიკა, თბ., 1967.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიას საბოლოოდ გაუტყდა გული შემეცნების თეორიაზე და დაკარგა შემეცნებაც ფილოსოფიური დაფუძნების იმედი. აზროვნების შემეცნების-თეორიული მოღვაწეობა ყოველად უკმ, უნაყოფო საქმიანობად, „სიზიფეს შრომად“ იქნა მიჩნეული, რადგან იგი ვერასოდეს ვერ წყვეტდა თავის ძირითად ამოცანას, ვერ იძლეოდა რაიმე რეალურ შედეგებს შემეცნების თეორიული გამართლების გზაზე და, შესაბამისად, ვერასოდეს ვერ აღწევდა თავის საბოლოო მიზანს. ამის გამო შემეცნების თეორიას ან უარი უნდა ეთქვა თავის არსებობაზე, ან რადიკალურად შეეცვალა შემეცნების ფენომენის თავისი თავიდან ახსნის ძველი მსოფლმხედველობრივი პოზიცია.

ახალი გნოსეოლოგიის ისტორიის ცნობილი მკვლევარი და პერმენეტიკული შემეცნების თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი ოტო ფრიდრიხ ბოლნოვი თავის წიგნში „შემეცნების ფილოსოფია“ ჩამოთვლის იმ თვალსაზრისებს უახლეს და თანამედროვე ფილოსოფიაში, რომელთაც უარი უთხრეს

ტრადიციულ შემეცნების თეორიას, მისი კვლევის მეთოდსა და გამოსავალ პრინციპებს [12]. მისი აზრით, ეს ის თვალსაზრისებია, რომელთაც დაანგრიეს ტრადიციული შემეცნების თეორია და ნიადაგი მოამზადეს თანამედროვე შემეცნების თეორიის ახალ საწყისებზე აგებისათვის. მათ ცხადი გახადეს, რომ შემეცნებისთეორიული აზროვნება სრულიად ახალ განზომილებაში უნდა იქნეს ჩაყენებული.

ბოლნოვი პირველ რიგში ასახელებს „სიციოცხლის ფილოსოფიას“ და მისგან გამომდინარე შემეცნებისთეორიულ პოზიციას, რომლის მიხედვითაც ადამიანის თეორიულ-შემეცნებითი მოღვაწეობა თავის თავს კი არ ემყარება და, ამ აზრით, ავტონომიური კი არ არის, არამედ სიციოცხლის აქტივობისაგან (aus dem handelnden Leben) წარმოსდგება და მისგან ვაივება. ჭერ კიდევ ბერგსონმა აღნიშნა, რომ ჩვენი ცნებები ჩვენი პრაქტიკული მოქმედების, რეალურ-ცხოვრებისეული მოღვაწეობის ყალიბებშიაო გამოკვეთილი და ამის შესაბამისად ადამიანი განსაზღვრა როგორც homo faber-ი. ეს აზრი შემდეგ უფრო ღრმად და რელიეფურად ჰაიდეგერმა განავითარა. ბოლნოვი, აგრეთვე, მიუთითებს გერმანული აზროვნების ნიადაგზე დამუშავებულ ვაგების დილთაისეულ თეორიაზე, რომლის თანახმადაც, ბუნებისმეტყველური ახსნის მეთოდისაგან ვანსხევებით, გონის მეცნიერებანი ემყარებიან ვაგების სპეციფიკურ მეთოდს. ჰაიდეგერმა ვაგების ეს მეთოდი გონისმეცნიერებათა ვიწრო სფეროდან მთლიანად ადამიანურ შემეცნებაზე ვაავრცელა და მის ყველა სახეს მიუყენა. ბოლნოვის აზრით, დილთაიმ დამაჭერებლად აჩვენა, რომ ადამიანი მუდამ ცხოვრობს სამყაროში და მას, როგორც ასეთს, ყოველთვის აქვს ამ სამყაროს ვარკვეული ვაგება (Der Mensch lebt schon immer in einer verstandenen Welt). ამიტომ არ არსებობს შემეცნების ნულოვანი პუნქტი, აბსოლუტური საწყისი, რაღაც არქიმედეს საყრდენი წერტილი, რომელსაც, როგორც დავინახეთ, ტრადიციული შემეცნების თეორია ასე გულმოდგინებით, მაგრამ ამაოდ ეძებდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, შემეცნება უკვე დაწყებულია, ადამიანი მუდამ ცხოვრობს უკვე ვაგებულ სამყაროში (verstandenen Welt) და შემეცნების თეორიულ რეფლექსიასაც იგი ასეთნაირად ეძლევა. ბოლნოვი დაასკვნის, რომ შემეცნებისადმი პერმენეტიკული მიდგომით დილთაიმ ნიადაგი გამოაცალა შემეცნების უწყნამძღვროდ აგების ტრადიციულ მისწრაფებას [12, გვ. 10].

ამ შეხედულებებთან ახლო დგას ამერიკული პრაგმატიზმის, კერძოდ დიუის თვალსაზრისიც. ბოლნოვი მიუთითებს აგრეთვე ბავშვებისა და ე. წ. პრიმიტიული ხალხების წინა და გარეშე რაციონალური აზროვნების ფორმების ასევე, საერთოდ მაგიური და მითითური აზროვნების შესწავლის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე თანამედროვე შემეცნების თეორიისათვის. ეს უკანასკნელი აუცილებლად მიიჩნევს შემეცნების საფუძველში ყველა ამ მონაცემების შეტანას, როგორც ეს კარგად აჩვენა კასირერმა ფართო ცდრეულ მასალაზე დამყარებით. აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენათმეცნიერებისა და ენის ფილოსოფიის კვლევის შედეგების გათვალისწინებას. ამ მხრივ შემეცნების თეორიისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის ლინგვისტური კონცეფციები, რომლებიც აზროვნებისა და შემეცნების ენასთან განუყოფელ ერთიანობას აღიარებენ. ბოლნოვი ასახელებს უორფის „ლინგვისტური ფარდობითობის“ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ყოველ ენაში გარე სამყარო თავისებურად არის აღქმული და განაწევრებული. უფრო ადრე ენის ამგვარ ბუნებას ჰუმბოლტმა მიაქცია ყურადღება.

ყველა ამ თვალსაზრისთა შორის ბოლნოვი ასახელებს მარქსიზმსაც და მას შემეცნების უადრეს დღემდე დაფუძნებას უწოდებს. მისი აზრით, მარქსისტული ფილოსოფიაც ტრადიციული გნოსეოლოგიური მოდელის უარყოფისა და შემეცნების ახლებური დაფუძნების პოზიციასზე დგას. ეს პოზიცია კი გამოიხატება გონითი სამყაროს დაყვანაში მწარმოებელ ადამიანთა სამეურნეო-ეკონომიურ ურთიერთობებზე. როცა მარქსი განმარტავს: „ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას“ — ამით, დასკვნის ბოლნოვი, იგი უარყოფს თავის თავზე დამყარებულ ცნობიერებას და, შესატყვისად, უწანამძღვრო შემეცნების შესაძლებლობას [12, გვ. 11]. ტრადიციული შემეცნებისთეორიული აზროვნების მოდელს მსხვრევისა და აზროვნების ახალი სტილის დამკვიდრების საქმეში ბოლნოვი დიდ როლს ანიჭებს ფროიდის მოძღვრებას არაცნობიერი სულიერი ცხოვრების შესახებ. მართალია, ფროიდიზმის დაკავშირება შემეცნების თეორიასთან, ერთი შეხედვით, ერთობ უცნაური ჩანს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ისიც ცხადია, მისმა ფსიქოანალიზურმა კვლევის მეთოდმა უდიდესი გავლენა მოახდინა თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნების ყველა უბანზე, მათ შორის, ცხადია, შემეცნების თეორიაზეც. მაინც რაში მდგომარეობს ფროიდიზმის ამ მიმზიდველი ზეგავლენის არსი? საქმე ისაა, რომ ფროიდმა მის მიერ შექმნილი კვლევის ახლებური მეთოდის მეოხებით სრულიად სხვა კლასიკტში ჩააყენა თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნება. მან ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და მისი შექმნილი კულტურის უადრესად ღრმა და არქაული შრეების გამოძვლავნება სცადა. მით უმეტეს, რომ მის მიერ შექმნილი ფსიქოანალიზის მეთოდი იძლეოდა ამის შესაძლებლობას. რაციონალიზმზე დამყარებული უწინდელი იდეალისტური ფილოსოფია, კლასიკური განმანათლებლობის ტრადიციისამებრ, არა თუ რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამგვარი ტიპის კვლევას, არამედ ქედმაღლურად და, ასე ვთქვათ, გარკვეული ცინიზმითაც კი უყურებდა მას. რაც მთავარია, ფროიდმა აჩვენა, რომ ცნობიერება თავისი თავიდან ვერ აიხსნება და ვერ გაიგება; იგი უფრო ღრმა საფუძველზე უნდა იქნეს დაყვანილი და რედუქცირებული. რედუქციონიზმი საერთოდ, თანამედროვე ბურჟუაზიული აზროვნების ნიშანდობლივი თავისებურებაა. კარგად შენიშნა პ. რიკერტმა, ტრადიციული ფილოსოფიისაგან განსხვავებით, რომელიც ყოვე-

ლივეს ცნობიერებზე დაყვანას, „ცნობიერებაზე რედუქციას“ ახდენდა, ფროიდი თვითონ „ცნობიერების რედუქციას“ ახდენს. ფროიდის აზრით, არა თუ სინამდვილის ფაქტები ვერ აიხსნებიან ცნობიერებით და ცნობიერებიდან, არამედ თვითონ ცნობიერების ფენომენები ვერ გაიგებიან ცნობიერებიდან. ეს უკანასკნელი ამხსნელი კი არ არის, არამედ რეი თვითონ ახსნილი უნდა იქნეს. ცნობიერების ამხსნელი საფუძველი არაცნობიერების სფეროში ძევს. ამით ფროიდმა სათავე დაუდო სულიერი ცხოვრების წარმოქმნებისა და საერთოდ კულტურის ისტორიის ე. წ. „არქეოლოგიური“ ტიპის კვლევას.

როგორც ჩანს ამან მისცა საბაბი ერის ფრომს ცნობიერების თაობაზე მარქსის და ფროიდის თვალსაზრისების უმართებულო დაახლოებისა [14, გვ. 21]. ორივესათვის, ფრომის აზრით, ცნობიერება წარმოადგენს „იდეოლოგიასა და რაციონალიზაციას“, ამდენად იგი „ყალბი“ ცნობიერებაა. ამიტომ ფროიდი არაცნობიერში ეძებს ცნობიერების ნამდვილ საფუძველს, მარქსი კი — აღამიანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, მათი ცხოვრების რეალური ისტორიულ პროცესში, რომლის დამახინჯებულ უკუფენას ცნობიერება წარმოადგენს. მასში ცხოვრების რეალური სინამდვილე თავდაყირაა დაყენებული. ამიტომ, ფრომის აზრით, ფროიდის მოთხოვნა, არსებითად იგივეა, რაც მარქსისა — აღამიანი განხილული იქნეს არა იმის მიხედვით, თუ რას ფიქრობს იგი თავის თავზე, არამედ მისი რეალური ცხოვრების მიხედვით.

ამ თვალსაზრისებს შორის ო. ბოლნოვი რატომღაც არ ასახელებს უახლეს და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისეთ გავლენიან მიმდინარეობას როგორცაა პოზიტივიზმი, რომელმაც, თავისი წარმოშობიდან დღემდე იდეური ევოლუციის უაღრესად რთული გზა განვლო. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პოზიტივისტური ეპისტემოლოგია ყველაზე მეტად დარჩა ტრადიციული შემეცნების თეორიის ერთგული. მიუხედავად ამისა, მანაც უარი თქვა ძველ გნოსეოლოგიურ პოზიციაზე. პოზიტივიზმმა უარყო საერთოდ აღამიანური შემეცნების თეორიული დაფუძნების შესაძლებლობა და რეი მხოლოდ მეცნიერული შემეცნებით შემოსაზღვრა. შესაბამისად, შემეცნების თეორია მეცნიერების თორიაზე — მეცნიერული შემეცნების ლოგიკისა და მეთოდოლოგიის პრობლემატიკაზე დაიყვანა. ლოგიკური პოზიტივიზმი ეპისტემოლოგიური მოღვაწეობის ამოცანას მეცნიერების (უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერების) ფორმალიზებული ენის ლოგიკურ ანალიზში ხედავს.

დასასრულ, არ შეიძლება არ მივუთითოთ. ლ. ნელსონზე, რომელმაც ტრადიციული შემეცნების თეორიის წინააღმდეგ სერიოზული არგუმენტები წამოაყენა. ლ. ნელსონი ბოლონიის საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე (1911 წელი) წაითხულ მოხსენებაში სათაურით — „შემეცნების თეორიის უარყოფა“ ქეშმარიტების საყოველთაო და ობიექტურად მნიშვნელოვანი კრიტიკური თეორიულად დადგენის შეუძლებლობას ასაბუთებდა და აქედან თვითონ შემეცნების თეორიის შეუძლებლობაზე ასკენიდა [7].

როგორც ამ უაღრესად ზოგადი და მოკლე მიმოხილვიდან დაინახეთ, უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის თითქმის ყველა მიმართულებამ საოცარი ერთსულოვნებითა და გულმოდგინებით უარყო ტრადიციული შემეცნების თეორია, მისი მეთოდი და გამოსავალი პრინციპები. მაგრამ მან ვერ შეძლო მისი ახლებური დაფუძნება. მარქსიზმი იყო პირველი, რომელმაც ტრადიციული შემეცნების თეორიული აზროვნების არსებით ხარვეზებზე მიუთითა და მისი მსოფლმხედველობრივი პოზიციის რადიკალური

შეცვლის მოთხოვნა წამოაყენა. ამ ნიადაგზე შემეცნება პირველად იქნა მეცნიერულად დაფუძნებული და, შესაბამისად, შენეცნების თეორია უაღრესად მწყობრ მეცნიერულ სისტემად წარმოდგენილი.

3. მარქსისტული შემეცნების თეორიის მსოფლმხედველობრივი პოზიცია. თუმცა უკვე აღვნიშნავდით, მაგრამ აქ ისევ უნდა გავიმეოროთ, რომ ტრადიციული შემეცნებისთეორიული და საერთოდ ფილოსოფიური აზროვნება შემეცნების ფენომენს თავის თავზე დამყარებულ, რაღაც თვითმყოფ, თვითკმარ ვითარებად განიხილავდა და, აქედან გამომდინარე, მის ავტონომიურ, პირწმინდად თეორიულ დაფუძნებას ესწრაფოდა. შემეცნების ასეთი ფილოსოფიური გამართლება და, შესაბამისად, მწყობრი ვნსეოლოგიური სისტემის აგება შემეცნებისთეორიული აზროვნების იდეალად, მისი უზადობისა და სრულყოფილების მიჩვენებლად იყო მიჩნეული. ისტორიულად არსებულ ვნსეოლოგიურ თვალსაზრისთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ყველა მათგანს, საბოლოო ანგარიშით, ეს საერთო მეთოდოლოგიური მიდგომა და მსოფლმხედველობრივი პოზიცია აერთიანებდა.

როგორც ცნობილია, შემეცნებისთეორიული აზროვნება თავისი ისტორიული გენეზისითა და შინაგანი ბუნებით უაღრესად კრიტიკული ხასიათისაა. და, მიუხედავად ამისა, ისეთ უკიდურესად კრიტიკულ თვალსაზრისებსაც კი, როგორც არიან რელატივიზმი, სკეპტიციზმი და აგნოსტიციზმი, არასოდეს არ მიუმართავს კრიტიკის ეს პათოსი თვითონ თეორიის მიმართ. საქმე ისაა რომ თეორია, საერთოდ თეორიული პოზიცია წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად იყო მიჩნეული. ასე მაგალითად, სკეპტიციზმი ყველაფერს კი აყენებდა ეჭვის ქვეშ, მაგრამ თვით თეორიის უფლებამოსილებაში — იყოს ჩვენი შემეცნების შესაძლებლობის თუ შეუძლებლობის მსაჯული — არასოდეს არ შეუტანია ეჭვი. უფრო მეტიც, იგი შემეცნების შესაძლებლობის უარსაყოფად თეორიული ხასიათის არგუმენტებს მოუხმობდა და აქედან, სრულიად უეჭველად შემეცნების რეალურ შეუძლებლობაზე ასკვნიდა.

ჩვენი აზრით, როცა მარქსიზმის მიერ შემეცნების თეორიაში და საერთოდ ფილოსოფიაში მოხდენილ გადატრიალებაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს გარემოება უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. მარქსი პირველი იყო, რომელმაც სრულიად პრინციპულად ეჭვის ქვეშ დააყენა თვით თეორიაც, კერძოდ მისი უფლებამოსილება — იყოს ადამიანური შემეცნების შესაძლებლობის, აზროვნების საგნობრივობის გამართლებელი მსაჯული და თეორიის მოჯადოებელი წრის გარღვევა და მისგან გარეთ გასვლა მოითხოვა. საერთოდ ფილოსოფიის მიმართ მარქსმა ეს პოზიცია „ფიციერბახის შესახებ თეზისებში“ ასე გამოხატა: „ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შევეცვალოთ“. მაშასადამე, მარქსის მოთხოვნით, ამიერიდან სამყაროს განმარტების, მისი თეორიული გაგებისა და გააზრების პოზიცია იმავე სამყაროს გარდაქმნისა და შეცვლის პოზიციით უნდა შეივსოს. კონკრეტულად შემეცნების თეორიის მიმართ თავის პოზიციას იმავე „თეზისებში“ მარქსი შემდეგნაირად აყალიბებს: „საკითხი, გაჩნია თუ არა ადამიანურ აზროვნებას საგნობრივი ქეშმარიტება, — სულაც არ არის თეორიის საკითხი, არამედ პრაქტიკული საკითხია. პრაქტიკაში უნდა დამტკიცოს ადამიანი თავისი აზროვნების ქეშმარიტობა, ე. ი. ნამდვილობა და სიძლიერე, ამქვეყნიურობა. დავა პრაქტიკისაგან იზოლირებული აზროვნების ნამდვილობის ან არანამდვილობის შესახებ

წმინდა სქოლასტიკური საკითხია“ [1, გვ. 491—92]. უდრო ადრე „1844 წლის ეკონომიურ-ფილოსოფიურ ხელნაწერებში“ კ. მარქსი წერდა: ჩვენ ვხედავთ, რომ თეორიული წინააღმდეგობების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკული გზით, ადამიანთა პრაქტიკული ენერჯის მეოხებით, და რომ ამიტომ მათი გადაწყვეტა სრულებითაც არ შეადგენს მხოლოდ შემეცნების ამოცანას, არამედ წარმოადგენს ნამდვილ ცხოვრებისეულ ამოცანას, რომლის გადაჭრა ფილოსოფიამ ვერ შეძლო სწორედ იმიტომ, რომ მასში მხოლოდ თეორიულ ამოცანას ხედავდა [5, გვ. 123].

მარქსიზმის მიერ გნოსეოლოგიაში მოხდენილი გადატრიალების არსი, უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკისადმი შემეცნების საფუძვლის სტატუსის მინიჭებაში მდგომარეობს. პრაქტიკა, როგორც ადამიანთა მატერიალურ-მწარმოებლური მოღვაწეობა, იმდენად და მხოლოდ იმდენად გამოდგება ჩვენი აზროვნების საგნობრივობის შემოწმებლად და დამადასტურებლად, რამდენადაც იგი მთელი ჩვენი შემეცნების საფუძველია. ამით მარქსმა აჩვენა, რომ შემეცნება თავის თავიდან ვერ აიხსნება, იგი უფრო ღრმა და პირველად ვითარებაზე უნდა იქნეს დაფუძნებული. ამ მხრივ მარქსმა უბრალოდ შესწორება კი არ შეიტანა ტრადიციულ შემეცნების თეორიაში, არამედ ძირეულად შეცვალა შემეცნების მანამდელი გაგება, შემეცნების ტრადიციული მსოფლმხედველობრივი მოდელი, მისდამი მიდგომის მეთოდოლოგიური პოზიცია. ეს იყო ნამდვილი გადატრიალება, რადიკალური შემობრუნება, რომლის მსგავსი არ იცის გნოსეოლოგიური აზროვნების მანამდელმა განვითარებამ.

მარქსმა აჩვენა, რომ შემეცნების ფაქტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს ახსნილი და რაციონალურად გაგებულ, თუ მას განვიხილავთ როგორც კაცობრიობის კულტურულ-ისტორიული მოღვაწეობის ასპექტს, საერთოდ ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის ელემენტს. „საზოგადოებრივი ცხოვრება ამბობს მარქსი, არსებითად პრაქტიკულია. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისაკენ მიჰყავს, თავის რაციონალურ ახსნას ადამიანის პრაქტიკასა და ამ პრაქტიკის გაგებაში პოულობს“ [1, გვ. 493] ტრადიციული შემეცნების თეორია კი, როგორც აღინიშნა, შემეცნების თავის თავზე დაფუძნებულ თვითმყოფ ვითარებად, პრაქტიკისაგან იზოლირებულად, ადამიანთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის მთლიანი სტრუქტურიდან ამორთულად, ასე ვთქვათ, ჰიპოსთაზირებულად განიხილავდა და, აქედან გამომდინარე, შემეცნების თეორიის ავტონომიურ დაფუძნებას ცდილობდა. მარქსიზმმა მანამდელი ფილოსოფიის სწორედ ეს მსოფლმხედველობრივი პოზიცია უკუაგდო და მთელი ჩვენი თეორიულ-შემეცნებითი მოღვაწეობის საფუძველში პრაქტიკა შეიტანა. „ცხოვრების, პრაქტიკის თვალსაზრისი, — მიუთითებდა ლენინი, — უნდა იყოს შემეცნების თეორიის პირველი და ძირითადი თვალსაზრისი“ [2, გვ. 241].

Н. И. КВАРАЦХЕЛИЯ

МИРОВОЗЗРЕНЧЕСКАЯ ПОЗИЦИЯ ТРАДИЦИОННОЙ ТЕОРИИ ПОЗНАНИЯ И ЕЕ КРИТИКА

Резюме

Познание — это прежде всего философская проблема, и единственным возможным философским учением о нем является теория познания.

Теория познания как философское осмысление феномена познания является составной частью общепознательного учения о человеке и, как таковая, она стоит на службе понимания человеческой сущности.

Традиционное теоретико-познавательное мышление рассматривало факт познания как самодовлеющее, основанное на самом себе, и стремилось к автономному, чисто теоретическому обоснованию этого феномена. Переворот, совершенный марксизмом в области теории познания, заключается в радикальном изменении этой исходной методологической установки предшествующей гносеологии.

Маркс убедительно доказал, что факт человеческого познания может быть объяснен и рационально понят лишь тогда, если он будет рассмотрен как аспект культурно-исторической деятельности человечества, как элемент общественно-исторической практики.

ლიტერატურა

1. მარქსი კ. ენგელსი ფ. რჩ. ნაწ., ტ. II, თბ., 1964.
2. ლენინი ვ. ი. მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, თბ., 1955.
3. ბაკრაძე კ. ახალი ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1969.
4. ჰეგელი, ლოგიკის შეცნობა, თბ., 1962.
5. Маркс К. и Энгельс Ф., Соч., т. 42, М., 1974.
6. Кант, Сочинения в шести томах, т. 3, М., 1964.
7. Нельсон Л. Невозможность теории познания, в сб. «Новые идеи в философии», 1913, № 5.
8. Платон, Соч., т. 2, М., 1970.
9. Риккерт, Предмет познания, Киев, 1904.
10. Философская энциклопедия, т. 5, статья — «Теория познания».
11. Фуко М. Слова и вещи. Археология гуманитарных наук, М., 1977.
12. Bollnow O. Philosophie der Erkenntnis, Stuttgart, 1970.
13. Dilthey W. Briefwechsel mit dem Grafen P. Yorck von Wartenburg, Halle a. d. Saale, 1923.
14. Fromm E. Marx's concept of man, New York, 1976.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 ფილოსოფიის ინსტიტუტმა

მანანა ხანაია

დროის ცნება ვილჰელმ დილთაის ჰერმენევტიკაში

დროის ბუნების შესახებ კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ბევრი თქმულა და დაწერილა. მისი საიდუმლოება აწვალვდათ ფილოსოფოსებს ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, ხოლო თანამედროვეობისათვის იგი იქცა ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრობლემად. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია, რომელიც საკუთარი კულტურის კრიზისის საერთოდ ადამიანური არსებობის კრიზისად მიიჩნევს, და რომლის კვლევა-ძიების უმთავრესი ობიექტი არის ადამიანი და მისი ადგილი სამყაროში, ადამიანური ყოფიერების ძირითად მახასიათებლად მიიჩნევს დროითობას (დროულ სტრუქტურას)

მარქსიზმისათვის დროის პრობლემა ყოველ ახალ ეპოქაში ახალი სახით დგება, ისევე, როგორც სხვა ფილოსოფიური კატეგორიებისა. მარქსიზმის კლასიკოსებმა მოგვეცეს დროის პრობლემის მეცნიერული გადაჭრის საფუძვლები, მისი მატერიის არსებობის ერთ-ერთ ფორმად დადგენით, იმის დადგენით, რომ დრო არ არსებობს მოძრაობასა და განვითარებაში მყოფი მატერიის გარეშე. მაგრამ დროის ეს გაგება, რომელიც აკმაყოფილებდა მისი მატერიალისტური გაგების დაცვის მოთხოვნებს და მწყობრი მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საშუალებას იძლეოდა, დღევანდელ ეპოქაში აუცილებლად საჭიროებს შემდგომ განვითარებას დროის ძირითადი ფორმის (მოძრავი მატერიის არსებობის ფორმა) მატერიის არსებობის განსხვავებულ ფორმებთან და განსაკუთრებით არსებობის სოციალურ, ფსიქიკურ და ლოგიკურ ფორმებთან მიმართებაში.

ამ თვალსაზრისით აღნიშნული ასპექტების შესახებ ბურჟუაზიული ფილოსოფოსების ნააზრევს კრიტიკული ანალიზი თავისებური შესავალი უნდა იყოს საკითხის პოზიტიური მარქსისტული გადაჭრისათვის. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში ამ ასპექტით ძალზე მნიშვნელოვანია დილთაის (1833—1911) წვლილი. მომდევნო მოაზროვნეების მიერ ამ საკითხის გაგება ბევრითაა მისგან დავალებული.

ამიტომ ჩვენი მიზანია დროის პრობლემის ორი ასპექტით ანალიზი:

I. ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში მისი ადგილის დადგენა;

II. დილთაის ფილოსოფიაში დროის გაგების კრიტიკა მეცნიერული ფილოსოფიის პოზიციებიდან.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს დროის ცნების ორი ძირითადი: ობიექტური და სუბიექტური დრო. ობიექტური დროის ცნებაში დრო მოაზრებულია, როგორც უსასრულო თანმიმდევრობა, რომელშიაც განლაგებულია როგორც ყველა გარეგანი, ასევე შინაგანი სულიერი მოვლენა. ობიექტური დრო გაზომვადია და დროის ეს გაზომვა უდევს საფუძვლად ბუნების ზუსტ მეცნიერებას, მეცნიერებას დათვლადი და გაზომვადი ბუნების შესახებ [9, გვ. 136]. ობიექტური დროის სამი კომპონენტი — წარსული, აწმყო და მომავალი — ერთმანეთთან იმყოფება შეუბრუნებლად მიმართებაში; ობიექტური დრო შეუბრუნებადია: წარსული აღრეა აწმყოზე, ხოლო აწმყო

მომავალზე. აწმყო გაგებულია, როგორც რაღაც ხანიერების არმქონე გადასვლის წერტილი „ახლა“.

დროის ცნების მეორე ძირია სუბიექტური, განცდაში მოცემული დრო, დროის განცდა, რომელიც ფსიქოლოგიაში „პრეზენტული დროის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ამ ძირზე მითითებულია კანტთან, რომლის მიხედვითაც „ობიექტური“ დროს სინამდვილეში არავითარი ობიექტურობა არა აქვს; დრო არის ადამიანურ სუბიექტში მყოფი „ჭერეტის წმინდა ფორმა“, რომელიც „გრძნობის მასალას“ აღიქვამს როგორც ვრცეულობის, ისე დროის ფორმაში და ასე აძლევს ამ მასალას მის პირველ წესრიგს. „დროს სხვა არაფერია, თუ არა შინაგანი გრძნობის, ე. ი. თვით ჩვენივე თავისა და ჩვენი შინაგანი მდგომარეობის განჭერეტის ფორმა... დრო წარმოადგენს საერთოდ ყველა მოვლენის აბრიორულ ფორმალურ პირობას“ [6, გვ. 63—64].

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კანტმა დრო სუბიექტურში გადმოანაცვლა, იგი მაინც არანაკლებ ობიექტურია, ვიდრე კლასიკური გაგებით ობიექტური დრო, ობიექტურობის იმ გაგებით, რაც საყოველთაობისა და აუცილებლობის იდენტურია. კანტის მიხედვით დრო, როგორც ჭერეტის აბრიორული ფორმა ახასიათებს საზოგადოდ ადამიანურ გონს და იგი დამოუკიდებელია ყოველგვარი ინდივიდუალური, რეალური შინაარსისაგან.

საინტერესოა დროის შესახებ ავგუსტინეს თვალსაზრისი, რომელსაც იგი აღსარებაში გამოთქვამს. ავგუსტინე დროის სამივე ფორმას განიხილავს, როგორც აწმყო ცნობიერების სამ მიმართულებას: „არსებობს სამი დრო: აწმყო, რომელსაც მხედველობაში აქვს აწმყო; აწმყო, რომელსაც მხედველობაში აქვს წარსული, და აწმყო, რომელსაც მხედველობაში აქვს მომავალი. ჩვენს სულში ისინი სამი მომენტის სახით არიან და სხვაგან მე მათ ვერ ვხედავ. აწმყო წარსულის მიმართ მოგონება, აწმყო აწმყოს მიმართ ჭერეტა და აწმყო მომავლის მიმართ მოლოდინი“ [ციტირებულია 9, გვ. 137]. ეს აზრი ავგუსტინეს ნეოპლატონიკური ნააზრებიდან აქვს აღებული, რაც პროკლესთან ისეა გააზრებული, რომ დასაწყისი და ბოლო ხედებიან ერთმანეთთან დროულ ახლაში (αὐτὸ νῦν, αὐτὸ ἄρτι) [21, გვ. 140]; ამიტომ იყო „ახლა“ (νῦν) პროკლესთან დროის გარეშედ მიჩნეული [21, გვ. 232].

დროის ცნების სუბიექტურ ძირს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მას შემდეგ, რაც სიცოცხლის ფილოსოფიამ ამოსავალი განცდასა და განცდით მოცემულობაში დაინახა. დროის განცდა, დროსადმი მიმართება დანახული იქნა ადამიანის არსებით თავისებურებად. დროის ბუნებისა და „რიტმის“ შესახებ საკითხი არის ის პუნქტი, საიდანაც სიცოცხლის ფილოსოფია ამოდის ყოფიერების სტრუქტურის განხილვის დროს. სიცოცხლის ფილოსოფია (თაქის სამივე — ეთიკურ, ფსიქოლოგიურ და ისტორიულ ორენტაციებში) ყოფიერად მიიჩნევს არა ნივთიერ, ემპირიულად მოცემულ მატერიალურ სამყაროს, როგორც ეს თანამედროვე ბუნებათმეცნიერებას მიაჩნდა, და არც ლოგიკას, გონებას, როგორც ამას აბსოლუტური იდეალიზმი ანტიციებდა. უმთავრეს ყოფიერებად აღიარებული იქნა სიცოცხლის ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესი, ხოლო დრო იქცა ამ დაუსრულებელი ცვალებადობის რიტმის გამომსახველად.

ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის ობიექტური დრო ახასიათებდეს ფიზიკური მატერიის ბუნებას, ხოლო სუბიექტური დრო კი — ფსიქიკურს, სი-

ცოცხლეს. ეს იქნებოდა მარქსისტული დებულებების გაყალბება. დროის ობიექტივისტური გაგება ერთმანეთისაგან სწყვეტს დროსა და მოძრაე მატერიას, რაც უწინააღმდეგება თანამედროვე ფიზიკის დასკვნებს. დროის ამგვარ გაგებას უნდა დაუპირისპიროთ რეალური დრო, რომელიც ფიზიკური მატერიის ბუნებითაა განპირობებული. „დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით სივრცე და დრო, როგორც მოძრაე მატერიის არსებობის ფორმები, დამოკიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ მატერიაზე და მის მოძრაობაზე. მეცნიერების შემდგომი განვითარებით... როგორც ექსპერიმენტულად, ისე თეორიულად დამტკიცებულია, რომ დროის მიმდინარეობის სიჩქარე დამოკიდებულია სხეულის ირგვლივ არსებული გრავიტაციული ველის დაძაბულობაზე — დროის მიმდინარეობა დამოკიდებულია მატერიალურ სხეულებზე“ [4, გვ. 145 148]. ობიექტური დროის ცნება ნაკლებ გამოსადეგია ფსიქიკურის, სიცოცხლის განხილვის დროს, რომლის სპეციფიკა არა მხოლოდ შინაარსისაგან განუყრელობაში, არამედ დროულ მომენტთა ურთიერთგამსკვალვაში მდგომარეობს.

ანრი ბერგსონი (1859—1941), რომელმაც ახალ დროში განსაკუთრებით ბევრი გააკეთა დროის ბუნების ახლებური გააზრებისათვის, რეალურ დროს უწოდებს ხანიერობას. ბერგსონის აზრით, სამყაროს საფუძველში, როგორც მთელი მატერიალური და სულიერი სინამდვილის წარმმართველი იმპულსი, ძეგს სიცოცხლის სწრაფვა (élan vital). სამყაროში არსებული ყოველი ნივთი თუ პროცესი შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიცოცხლის ერთიანი შემოქმედებითი ევოლუციის ელემენტი, გარკვეულ ეტაპზე საერთო პროცესიდან განყენებული და განხილული, როგორც დასრულებული და თავისთავადი. ამ მოქმედებას ახორციელებს ინტელექტი, რომელიც პრაქტიკის, წარმოების მიზნებს ემსახურება და საგანთა და მოვლენათა განხილვისას უგულვებლყოფს მათ ნამდვილ ბუნებას, მათ განვითარებას. ინტელექტის მოღვაწეობა მეცნიერების სფეროს ქმნის.

სინამდვილის შემეცნება თავის ინდივიდუალობაში, თავის ცოცხლობაში, ბერგსონის აზრით, მხოლოდ ისეთ ორგანოს შეუძლია, რომელიც თავად არის სიცოცხლე. ბერგსონი ასახელებს ინტუიციას. ინტუიციის მიერ სიცოცხლის იმპულსის შემეცნება, არსებითად, ამ უკანასკნელის თვითშემეცნებაა. ეს უკვე ფილოსოფიის მოქმედების სფეროა. ფილოსოფიის ამოცანაა სიცოცხლის დაუსრულებელი მდინარების ჰერეტიკა ინტუიციის მეშვეობით [8]. აქ დგება ამოცანა იმგვარი კატეგორიების შექმნისა, რომლებიც ამ მიმდინარეობას, პროცესის განუწყვეტელ ხასიათს ასახვენ. თუმცა ბერგსონი ლაპარაკობს ინტელექტის კატეგორიების გაქვავებულობაზე და მათ გამოუსადეგობაზე სიცოცხლის შემეცნებისათვის, ახლებური კატეგორიების შექმნის საკითხი მას გარკვევით არ დაუსვამს.

ბერგსონის აზრით, ფილოსოფოსმა ჩვეულებრივი ემპირიული სინამდვილე უნდა გაწმინდოს ყველა იმ ელემენტისაგან, რომელიც მისთვის ინტელექტუალისტურ შემეცნებას მიუცია. ბერგსონი, უწინარეს ყოვლისა, იხილავს სულიერ სინამდვილეს, გატარებულს ინტელექტის შემეცნებით პრიზმაში. საზოგადოდ, ფსიქიკური ბერგსონისათვის არის სიცოცხლის სწრაფვის უმაღლესი გამოხატულება. იგი უარყოფს ფსიქიკური პროცესების ინტენსივობას, რომელსაც საფუძვლად უდევს მათი წარმოდგენა სიდიდეების სახით; უარყოფს სულიერი მოვლე-

ნების სიმრავლედ დასახვას, რადგანაც ეს იქნებოდა მათი რიცხობრივი აღნიშვნა; უარყოფს ნების თავისუფლებას, როგორც პრობლემას [13]. ბერგსონის აზრით, ინტენსივობა და სიმრავლე ნიშნავს სულიერი პროცესებისადმი სივრცის თვისებების მიწერას. ცნობიერების უშუალო დაკვირვება მოწმობს, რომ აქ ყოველთვის საქმე გვაქვს არა გრძნობის ინტენსივობასთან, არამედ მის რომელიაობით ცვალებასთან. ასევე შეუძლებელია, რომ ცნობიერების ველში ადვილი ჰქონდეს რიცხობრივ სიმრავლეს; ეს იქნებოდა ფსიქიკურ პროცესებზე ფიზიკური ნივთის შეუვალლობის თვისების გავრცელება. სინამდვილეში კი ფსიქიკურს ახასიათებს არა მოვლენათა გარემდებარეობა, არამედ მათი ურთიერთგამსჭვალვა. ფსიქიკური პროცესების ბუნების ამგვარი გაგება ეფუძნება ბერგსონის მიერ დროის ბუნების ტრადიციულისაგან განსხვავებულ გაგებას. ჩვეულებრივ, დროს დასრულებულ მომენტებად ჰყოფენ ხოლმე, სულიერი მოვლენების მიმართ კი ამგვარი დაყოფა გამოუსადეგარი. ფსიქიკურ ცხოვრებას განუწყვეტლობა ახასიათებს, ამიტომ დროითი პროცესის ყოველი წინა მომენტი ყოველ ახალ მომენტში არსებობს, ე. ი. დრო არ წარმოადგენს პომოგენურ არეს, მასში წარსული კი არ ძველდება და ქრება, არამედ ახალში გადადის და მას განუწყვეტლივ ამდიდრებს. ამ აზრით, დრო არის შემოქმედებითი ცვალებადობა და ბერგსონი მას უწოდებს ხანიერობას (durée). საზოგადოდ, ბერგსონი ერთმანეთისაგან სწყვეტს სივრცესა და დროს. სივრცე განსჯის, ინტელექტის სფეროს განეკუთვნება და იგი მხოლოდ თავისთავში დასრულებულ საგნებს მოიცავს, ხოლო დრო ინტუიციურად მიიწოდომება და წარმოგვიდგენს სინამდვილის განუწყვეტელ ცვალებადობას (ანალოგიურ თვალსაზრისს განავითარებს ო. შპენგლერი, რომლისთვისაც დრო არ არის სინამდვილის ისეთივე განზომილება, როგორც სივრცე. დრო არის სიცოცხლის, ისტორიულის განვითარების კანონი, მისი ბედისწერა. შპენგლერს უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში აქვს კულტურა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი).

„თუკი შევეცდებით ჩვენი ფსიქიკის სიღრმეებში იმ წერტილის პოვნას, — წერს ბერგსონი, — რომელიც ყველაზე მეტად გეგარანობინებს ჩვენს შინაგან მე-ს, ვნახავთ, რომ ეს არის წმინდა ხანიერობა, რომელშიც ხდება წარმავალი წარსულის განუწყვეტელი ავსება აწყობით“ [12, გვ. 176]. ხანიერობა არის განუმეორებადი და შეუქცევადი ნაკადი [12, გვ. 39]. წმინდა ხანიერობაში ყოველი ახალი სულიერი მოვლენა მთელი წარსულის რომელიაობით დასკვნას შეადგენს.

ბერგსონი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ხსოვნის (მეხსიერების) როლს ხანიერობის არსებობისათვის. ხსოვნა არის სპეციფიკური ნიშანი, რაც მხოლოდ ადამიანს გააჩნია და რაც ახდენს „ახალში“ წარსულის რეპრეზენტაციას. ბერგსონი ხსოვნით აკავშირებს წარსულს და ახლანდელს, მაგრამ მომავლის შესახებ იგი ვერ წყვეტს საკითხს; მომავალი ყოველთვის გულიანობს მიზანს, რაც პრაქტიკულ მოქმედებასთანაა დაკავშირებული, ხოლო ბერგსონი ნამდვილ რეალობას პრაქტიკული მიზნებისაგან თავისუფლად თვლის.

რეალური დრო არ გაიზარება, იგი მიიწოდომება მხოლოდ შინაგანი ინტუიციით. „რეალური დრო ჩვენს მიერ განიცდება“. ბერგსონის ადამიანი არის ფსიქოლოგიური არსება, რომელიც ინტროსპექციის საშუალებით აღმოაჩენს თავის თავს, როგორც ხანიერობას. შინაგანი ფსიქიკური პროცესები

შეაპირობებენ დროს. ადამიანის განსხვავება ყველა დანარჩენი არსებულისაგან მდგომარეობს ამ მდგომარეობის გაცნობიერებაში, ინტროსპექციის უნარში.

მამასადამე, ხსოვნა არ ახდენს დროის მომენტების გაზომვას, მისი ფუნქციაა მომენტთა ურთიერთგამსჭვალვის განხორციელება და ამით დროის ქცევა მთლიანობით სტრუქტურად. ამასთან დაკავშირებით, არსებობს მთელი რიგი წინააღმდეგობანი ბერგსონის ნააზრევში. დრო, მოცემული ცნობიერებაში, გულსჩნობს ხსოვნას, ხსოვნა მხოლოდ ფსიქოლოგიური რეალობაა. ბერგსონი ხშირად ამბობს, რომ «сознание помещается во времени», «во времени заключается сущность действительности» [12, გვ. 241], რომ მარადიული შემოქმედებითი ევოლუცია ხორციელდება დროის ფორმაში: ბერგსონი ლაპარაკობს სიცოცხლის პროცესის ანალოგიაზე ფსიქიკურ სინამდვილესთან. გაურკვეველია, ვის ცნობიერებაში მიმდინარეობს ეს მსოფლიო ევოლუციური პროცესი? რა ცვლის ამ ნაკადში ხსოვნას, რომელიც ფსიქოლოგიურ ნაკადში აკონსტიტუირებს ხანიერობას? გარდა ამისა, ბერგსონთან იკარგება დროის მესამე განზომილება — მომავალი, ადამიანი არის მხოლოდ წარსული და აწმყო, ამგვარი მდგომის დროს ადამიანი გვევლინება არა სუბიექტად, რომელიც ღირებულებებს ადგენს და მიზნებს ახორციელებს, არამედ გამოდის საკუთარ ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების პასიურ დამკვირვებლად [14, გვ. 50]. მისი ადამიანი მხოლოდ ფსიქოლოგიური სუბიექტია, რომელიც ისტორიულ პრაქტიკულ მოღვაწეობას არ იცნობს. ამ მომენტს ხაზს უსვამდა ვილჰელმ დილთაი, მისთვის ადამიანი არის ისტორიის, კულტურის შემოქმედი, რომელსაც მიზანდასახული საქმიანობა ახასიათებს.

ჩვენი ნაშრომის ძირითად მიზანს სწორედ დროის ბუნების ე. დილთაისეული გააზრების ანალიზი წარმოადგენს. ამდენად, შედარებით დაწვრილებით შეგვიჩვენებთ მისი ფილოსოფიური თვალსაზრისის ძირითად პრინციპებზე.

ვილჰელმ დილთაის (1833—1911) ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა, ერთის მხრივ, გერმანული იდეალიზმისა და რომანტიზმის გავლენით (შლაიერმახერი, ტრენდელენბურგი, შოპენჰაუერი, რანკე, ჰეგელი; ყურადღება სუბიექტის სამყაროსადმი, ინტერესი კულტურისა და ისტორიისადმი), მეორე მხრივ, ინგლისურ-ფრანგული პოზიტივიზმის გავლენით (ჯ. ს. მილი, ო. კონტი, ანტიმეტაფიზიკური განწყობა და ფსიქოლოგიზმის მეთოდი, როგორც ცნობიერების უშუალო მონაცემთა ანალიზი). დილთაის მსოფლმხედველობაზე გავლენა მოახდინა აგრეთვე ბადენის სკოლის ნეოკანტიანელობამ (ბუნების მეცნიერული და კულტურულ-ისტორიული შემეცნების დაპირისპირება) [18, გვ. 167].

საკითხი მეცნიერებათა ორგანიზაციის არსებობის შესახებ ახალი არ ყოფილა. იგი თავისებურად დაისვა ახალ დროში რ. დეკარტის მიერ, რომლის ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პრობლემა ერთმანეთისაგან თიშავს ფიზიკურსა და ფსიქიკურს; ფიზიკური უნდა აიხსნას მხოლოდ ფიზიკურით, ხოლო ფსიქიკურის მიზეზი მოვლენათა ფსიქიკურ მწკრივში უნდა მოიქცინოს. ფიზიკურს ფსიქიკურისა და პირიქით, ფსიქიკურს ფიზიკურის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლია. აქედან მათ შესახებ ორი განსხვავებული მეცნიერების არსებობის აუცილებლობა.

კიდევ უფრო მწვავედ დაისვა საკითხი ბუნებისმეტყველებრივი და ისტორიული შემეცნების დაპირისპირების შესახებ სორენ კირკეგორთან (1813—1855), რომელმაც ვაიკნობიერა, რომ კონკრეტული სინამდვილის, ე. ი. მუნყოფიერების (Dasein) ინტელექტუალური გაგება შეუძლებელია. სინამდვილე მისთვის ისაა, რაც უპირისპირდება აბსტრაქტულს, ცნებითს. კირკეგორს არ აინტერესებს სამყაროს განვითარების და მისი კანონზომიერების საკითხები, მისთვის მთავარია ერთეული, ექსისტირებადი ინდივიდუუმი, რომლის არსებითი თავისებურება არის თავისუფლება, თავისუფლების სფერო არის ის კონკრეტული სინამდვილე, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და რომელსაც იგი ყოველ წუთს ამორჩევით ახორციელებს. თავისუფლება განხილული უნდა იქნეს არა ლოგიკაში, არამედ ფსიქოლოგიაში, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ის ფსიქოლოგია, რომელიც მეცნიერულობაზე აცხადებს პრეტენზიას, ე. ი. ადგენს სულის კანონებს და ყველაფერს კაუზალობის მიხედვით განმარტავს. თავისუფლების ასახსნელად კირკეგორს საჭიროდ მიაჩნდა არამეცნიერული ფსიქოლოგია, რომელიც ე არ ამტკიცებს და ასაბუთებს, არამედ აღწერს და მიუთითებს [17, გვ. 501]. ამჟამად, რომ დილთაის მოძღვრება აღწერითი და ანალიზური ფსიქოლოგიის შესახებ, საერთოდ კი ბადენის სკოლის ნეოკანტიანელთა მოძღვრება ბუნებისმეტყველებრივი და კულტურის ისტორიული შემეცნების დაპირისპირების შესახებ, რომელსაც 1894 წელს ვინდელბანდმა დაუღო სათავე, დიდადაა დავალებული ს. კირკეგორისაგან, თუმცა ამ გავლენაზე თავად არ მიუთითებენ.

საზოგადოდ, ჰეგელისეული ისტორიის ფილოსოფიის კრახის შემდეგ ისტორიის შემეცნებისა და ამ შემეცნების მეცნიერულობის პრობლემა ისტორიის ფილოსოფიის ძირითად საკითხად იქცა. ბუნებისმეტყველებრივი შემეცნების შესაძლებლობა და მისი ბუნება კანტთან იქნა გარკვეული იმ კატეგორიების ჩვენებით, რომლებიც ბუნებისმეტყველების სამყაროს აკონსტიტუირებენ. ვ. დილთაის, იკვლევდა რა გონისმეცნიერებათა დაფუძნებისა და მეთოდოლოგიის საკითხებს, განზრახული ჰქონდა დაეწერა „ისტორიული გონების კრიტიკა“, რომელსაც უსახავდა იგივე ამოცანას, რაც ბუნებისმეტყველების მიმართ შეასრულა კანტის „წმინდა გონების კრიტიკაში“. „მე ვგონებ, — წერდა დილთაი, — ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ იქნა დადგენილი კანტის მიერ. ეს არის ადამიანური გამოკვლევების ყველაზე მაღალი და ზოგადი ამოცანა: რა სახით მოგვეცემა ჩვენი სამყარო, რომელიც ჩვენთვის სახეზეა მხოლოდ ჰერტასა და წარმოდგენებში“. ისტორიული გონების კრიტიკას ეს ამოცანა უნდა გადაეჭრა ისტორიის სამყაროს მიმართ, მას უნდა გაერკვია, რას ნიშნავს ისტორიული ყოფიერება (წინააღმდეგ წინანდელი თაობების გნოსეოლოგიზმისა და მეთოდოლოგიზმისა დილთაი, უწინარეს ყოვლისა, ყოფიერების სტრუქტურას იკვლევს), რამდენადაა შესაძლებელი ისტორიული შემეცნება და რას ეფუძნება ამ შემეცნების მეცნიერულობა, რომელი კატეგორიები უზრუნველყოფენ „გონისმეცნიერებებში ისტორიული სამყაროს აგებას“ და როგორია ამ კატეგორიათა ბუნება. დილთაისავე სიტყვებით, „ისტორიული გონების კრიტიკა“ ემყარება გონისმეცნიერების ფაქტს და ცდილობს გნოსეოლოგიურ დასაბუთებას [23, გვ. 45].

უწინარეს ყოვლისა, დილთაი უარყოფს კანტიანურ განსხვავებას „ემპირიული“ და „ტრანსცენდენტალური“ სუბიექტისა; დილთაისათვის შემეცნებელი სუბიექტი არის კონკრეტული ადამიანი, რომელიც თავის ისტო-

რიულობიდან ახდენს სამყაროს შემეცნებას: „ტრანსცენდენტალური მეთოდის შექმნა არის ისტორიის სიკვდილი, რამდენადაც იგი გამორიცხავს ისტორიულ რეალობებში შეღწევას ნაყოფიერი ისტორიული კატეგორიების მეშვეობით“ [22, გვ. 285]. ისტორიული შემეცნების შესაძლებლობა ემყარება არა შემეცნებელი სუბიექტის იზოლაციას ისტორიული პროცესისაგან, არამედ იმას, რომ „მე თავად ვარ ისტორიული არსება; ისტორიას იცვლევს იგივე სუბიექტი, რომელიც მას ქმნის“ [22, გვ. 278]. საინტერესოა, რომ ამ აზრის ავტორობაზე იდეალისტური ჰერმენევტიკა აცხადებს პრეტენზიას, მაგრამ იგი გაცილებით ადრე გამოთქმული აქვს მარქსს, რომელიც მრავალჯერ უსვამდა ხაზს, რომ „ადამიანები თვითონ ქმნიან საკუთარ ისტორიას“ [1, გვ. 267], რომ „ადამიანები თვით არიან ისტორიული პროცესის მსახიობები და მასურებლებიც“. ისტორიის შემოქმედ სუბიექტებად ადამიანის აღიარება სრულიად არ მოასწავებდა მარქსის მიერ ისტორიის, როგორც ქაოტურ, კანონზომიერებას მოკლებული პროცესის გაგებას. მარქსი საზოგადოების განვითარებას უწოდებს ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს. თითოეული ადამიანი თავის წინასწარ შეგნებულად დასახულ მიზანს ახორციელებს, მაგრამ ისინი თავიანთი ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად შედიან წარმოებით ურთიერთობებში, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებას, მის „ფიზიონომიას“. თუმცა წარმოებითი ურთიერთობანი არ არსებობს ადამიანთა გარეშე, მაგრამ შედარებით დამოუკიდებლობა ახასიათებს და ეს ქმნის ისტორიული კანონზომიერების არსებობის შესაძლებლობას.

მარქსისათვის მეცნიერებანი ბუნების შესახებ და მეცნიერებანი ისტორიის შესახებ პრინციპულად არ უპირისპირდება ერთმანეთს; საბოლოო ანგარიშში, ეს ერთი და იგივე მეცნიერებაა, რადგან ისტორია არის ადამიანის მიერ ბუნების თანდათანობითი დამორჩილების ისტორია. ბუნება, რომელიც შეისწავლება, განპირობებულია ადამიანთა „საზოგადოებრივი პრაქტიკით, წარმოებით“, ხოლო თვით ადამიანი გარდაიქმნება ბუნებასთან კონტაქტის შედეგად. ზემოთქმული არ ნიშნავს მარქსისათვის მეცნიერებათა თითოეული ჯგუფის სპეციფიკის დაკარგვას.

დილთაისთან მეცნიერებათა ეს ორი ჯგუფი გამიჯნულია ერთმანეთისაგან; ბუნებას შეისწავლის მათემატიკა და მათემატიკური მეცნიერებანი, ხოლო ადამიანს, ისტორიას — გონისმეცნიერებანი. დილთაი არ ამბობს, რომ ეს ორი განსხვავებული სინამდვილეა. მისთვის სინამდვილე ერთია, მაგრამ მეცნიერებათა ორი ჯგუფის არსებობა განპირობებულია მეთოდით, სინამდვილისადმი მიდგომით: ბუნებისმეცნიერებანი შეისწავლიან ადამიანისაგან დამოუკიდებელ რეალობას, ხოლო გონისმეცნიერებანი — ადამიანის მიერ თავისი თავის ობიექტივაციებს. არ არსებობს გამაერთიანებელი მეცნიერება.

დილთაის ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანურ რეალობას აქვს დათმობილი. მისი აზრით, სიცოცხლის მთელი ისტორია არის ადამიანთა მოღვაწეობის ობიექტივაცია, ყველაფერში გონია ობიექტივირებული. ამიტომ უპირველეს ამოცანას წარმოადგენს ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლა. ფსიქოლოგია გონისმეცნიერებათათვის ასრულებს იგივე როლს, რასაც მექანიკა ასრულებდა მათემატიკურ მეცნიერებათათვის. დილთაი გამოთქვამს საყვედურს იმდროინდელი ფსიქოლოგიის მიმართ, რომელიც იფარგლება სულიერ პროცესთა ფორმალური ანალიზით და არ ამჩნევს მათ დამოკიდებულებას სუბიექტის

განცდილი გამოცდილებისაგან [15, გვ. 22, 23]. შინაარსობრივი, რეალური ფსიქოლოგია არ ისაზღვრება შემეცნებითი პროცესის რაციონალური მხარის შესწავლით. მისი ძირითადი ერთეული უნდა იქნეს არა აბსტრაქტული სუბიექტი, არამედ ისტორიული სუბიექტი, რომლის ფსიქოლოგიური ბუნებაც სოციალურია. ვაიხსენოთ, რომ, დილთაის აზრით, ადამიანი არასოდეს არ არსებობს იზოლირებულად სხვა ადამიანებისაგან: იგი მათთან ამყარებს სასიცოცხლო მიმართებებს: «Жизненные отношения исходят из меня по всем направлениям, у меня есть известные отношения к вещам и людям, известная позиция по отношению к ним, я исполняю их требования по отношению ко мне и ожидаю чего-то от них» [16, გვ. 126]. ისტორიული შემეცნება სუბიექტის მიერ ხდება სასიცოცხლო გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამიტომ, დილთაის აზრით, ადამიანის, როგორც ფსიქოლოგიური და სოციალური არსების სრული წვდომა ძალუძს მხოლოდ აღწერით და ანალიზურ ფსიქოლოგიას [15, გვ. 22].

დილთაის აზრით, ისტორია სიცოცხლის ისტორიაა: „ისტორია — ეს არის სიცოცხლე, განხილული მთელი კაცობრიობის თვალსაზრისით: იგი ქმნის ურთიერთკავშირს“ [22, გვ. 261]. საჭიროა შევისწავლოთ სიცოცხლის გამოვლინებათა კონკრეტული ფორმები, რათა ვწერდეთ ისტორიული სამყაროს სტრუქტურას. სიცოცხლე კი გვეძლევა ადამიანის ისტორიული ყოფნა-განვითარების სახით, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს „განცდის“, როგორც სიცოცხლეს გონითი ფენომენის ერთიანობას. სიცოცხლე გვეძლევა განცდაში და ამიტომ უნდა ამოვიღეთ განცდიდან. ინდივიდუალურისაქენ, კონკრეტულისაქენ, ადამიანისაქენ დაბრუნების მოთხოვნა დილთაის გამოსავალი წერტილია.

დილთაი აღნიშნავს კლასიკური ფილოსოფიის მკვრეტელობით ხასიათს და ისტორიული თვალსაზრისის არქონას შემეცნების პროცესსა და შემეცნების კატეგორიებზე. ამას გაცილებით უფრო ადრე აღნიშნავდა მარქსი, რომელიც აღიარებდა ადამიანური მოღვაწეობის ყოველგვარი წარმოქმნის ისტორიულობას, მარქსი, ისევე როგორც შემდგომ დილთაი, ხაზს უსვამს, რომ შემეცნება არის მხოლოდ მომენტი, ასპექტი, მხარე პრაქტიკული მოღვაწეობისა და არ შეიძლება გაგებული იქნეს მის გარეშე. მაგრამ მარქსის „პრაქტიკა“ პრინციპულად განსხვავდება დილთაის „სიცოცხლისაგან“.

უწინარეს ყოვლისა, მარქსი პრაქტიკული მოღვაწეობის ძირითად მხარედ გამოყოფს შრომას. ამყარებენ რა ერთმანეთთან წარმოებით ურთიერთობებს, შრომის პროცესში, თავისი მოღვაწეობის პროდუქტების ჰერეტიკას, ადამიანი პირველად იღებს შესაძლებლობას განსხვავდეს თავისი თავი, როგორც მოღვაწე, თვით პროცესისა და მისი შედეგებისაგან. ამდენად ადამიანთა სამყაროს გაგებისათვის გასაღები უწინარეს ყოვლისა ძევს მატერიალური წარმოების კონკრეტული ფორმების გამოკვლევაში (დილთაისათვის კი — სიცოცხლის კონკრეტული ფორმების ანალიზში).

მარქსი დილთაიზე ადრე გამოთქვამდა უკმაყოფილებას არსებული ფსიქოლოგიით, რომელსაც „არ შეუძლია იქცეს შინაარსობრივ და რეალურ მეცნიერებად“ [10, გვ. 595]. დილთაისაგან განსხვავებით, მარქსი მისი თანამედროვე ფსიქოლოგიის (ასევე სხვა საზოგადოებრივი მეცნიერების) მთავარ ნაკლია იმაში ხედავდა, რომ იგი რეალურ მხარეს, მატერიალური წარმოების განვითარ-

რების პროცესს მხედველობის გარეშე ტოვებდა. «Что вообще думать о такой науке, которая высокомерно отвлекается от этой части человеческого труда и не чувствует своей собственной неполноты, когда все это богатство человеческой деятельности ей не говорит ничего, кроме того, что можно выразить одним термином — потребность» [10, გვ. 595].

 ნიჭიერებასთან არაფერი არა აქვს საერთო. პიროვნების განვითარების მარქ-
 სისტულ კონცეფციებს ეწინააღმდეგება მისი აზრი მუსიკალური მიდრეკილე-
 ბის შესახებ, რომლის მიხედვით მუსიკალური ნიჭიერება ისეთი სპეციფიკური
 ტალანტია, რომელიც განვითარებას არ ექვემდებარება. ამით სიშორის გენე-
 ტიკური ასპექტის არასწორი პოზიციებიც მუდამდება, რომლის ერთადერთ
 დადებით მხარეს წარმოადგენს ვარჯიშის შედეგად ზოგიერთი მუსიკალური
 მონაცემის გაუმჯობესების და გამოსწორების შესაძლებლობის ვარაუდი, რის-
 თვისაც მას სპეციალური ტესტებიც აქვს წარმოდგენილი.

აშშ-ში სიშორის ბევრი მიმდევარი ჰყავდა, რომლებსაც თავისი შესწორე-
 ბები შეჰქონდათ სიშორის ტესტებში. ზოგი მათგანი თვლიდა სიშორის ტეს-
 ტების გაადვილების აუცილებლობას, ზოგმა მკვლევარმა კი სიშორის ტეს-
 ტებს დაუმატა ინტელექტის გამოვლინების და ტონალური წარმოდგენის ტეს-
 ტები და მოსწავლეთა მუსიკალურ სასწავლო ორგანიზაციებში მისაღები მო-
 თხოვნების შესამოწმებელი კითხვარი შეადგინა, რომელსაც შემდგომ მისაღე-
 ბი გამოცდების დროს იყენებდნენ (კვალვასერ-დიკემა, პოლსი, სტორი და
 სხვა).

ყოველგვარი კრიტიკის მიღმა რჩება კვლევები, რომლებიც მუსიკის აღ-
 ქმის საკითხებს განიხილავენ ფსიქოანალიზის პოზიციებიდან. მკვლევარები
 (მონტანი, ტილი [5; 12] და სხვანი) ცდილობენ კომპოზიტორის ბიოგრაფი-
 ული ცნობების, მუსიკალური აღქმის საშუალებით გამოარკვიონ კომპოზიტო-
 რის შემოქმედების ხასიათი, გააშუქონ პიროვნების ფსიქოლოგიური თავისე-
 ბურებანი. ფსიქოანალიზური კონცეპცია, რომელიც ფროიდის მიერ არის და-
 ფუძნებული, ემყარება ე. წ. „ლიბიდოს“, სექსუალური ლტოლვის ცნებას,
 რის მიხედვითაც ადამიანის ყოველგვარ საქმიანობას საფუძვლად სექსუალური
 საწყისი უდევს. ზელოვნების ნიმუშის აღქმა, ამ პოზიციის მიმდევართა თანა-
 ხმად, ფარავს პიროვნებაში არსებულ მალულ ლტოლვებს, ხოლო პოეტების,
 მხატვრების ან კომპოზიტორების შემოქმედებით აღტაცება ადამიანის აკრ-
 ძალული სიამოვნებისაგან ქვეცნობიერ მისწრაფებას გამოხატავს. ზოგი მკვლე-
 ვარი ცდილობს მუსიკალური ნაწარმოების ხასიათში იპოვოს „ქალური და
 მამაკაცური საწყისის“ უპირატესობა, ამის მიხედვით დაადგინოს კომპოზიტო-
 რის პიროვნული თავისებურებები და კომპოზიტორის შემოქმედებითი პრო-
 ცესების წყაროდ სექსუალურ საფუძველზე აღმოცენებული ინსტინქტები
 მიიჩნოს. ფროიდიზმის მიმდევრები, რომლებიც ირაციონალიზმის, მისტიკის
 და პათოლოგიის ტუიკში მოექცნენ, სრულიად აკნინებენ პიროვნებას, რომ-
 ლის ხასიათები, თავისებურებები ფორმირდება გარემოს მთლიანი მოქმედე-
 ბით და ვლინდება სხვადასხვა საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

მუსიკის აღქმის პროცესებზე, ისევე როგორც საერთოდ შემოქმედებით
 პროცესებზე, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალური გამოციდი-
 ლება, მისი მოთხოვნილებები, მისწრაფებები და სხვა. სოციალური გამო-
 კვლევები აფართოვებენ, ამღიდრებენ და განსხვავებული კუთხით აშუქებენ
 მუსიკის აღქმის საკითხებს, ხაზს უსვამენ მის დამოკიდებულებას ნაციონა-

ლურ, ფსიქოლოგიურ, მორალურ, ეთიკურ, კულტურულ, ასაკობრივ და სხვა სოციალურ ფაქტორებზე.

აშშ-ში სოციალურ ფსიქოლოგიას თავისი სპეციფიკური ნიშნები გააჩნია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მთელი დასავლეთის სოციალური ფსიქოლოგიის აზრზე. პრაგმატული ორიენტაციით გამსჭვალული, იგი საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნილებებიდან გამომდინარე საკითხების გაშუქებას კი არ ემსახურება, არამედ მოქცეულია ვიწრო, ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის ჩარჩოებში და გვერდს უჯლის უფრო ფართო პრობლემებს, რომლებიც თვით საზოგადოების განვითარებას ეხება.

გამოკვლევები მუსიკის სოციალურ ფსიქოლოგიაში ძირითადად მოსმენილი მუსიკის შედეგად გამოწვეული განცდის აღწერის ანკეტურ მეთოდს ეყრდნობა და ამდენად მხოლოდ უშუალო შთაბეჭდილების შეფასებას ეხება და არა თვით აღქმის პროცესების კანონზომიერებას.

პ. ფარნსვორსის წიგნი „მუსიკის სოციალური ფსიქოლოგია“ [2] სწორედ მუსიკის ფსიქოლოგიის სოციალურ ასპექტში ფუნდამენტურ კვლევას წარმოადგენს. მასში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც არის მუსიკალური ინტერვალების და მელოდიის აღქმის თავისებურებანი, მუსიკა, როგორც კომუნიკაციის საშუალების ენობრივი არსი, მუსიკალური გემოვნების საკითხები: მუსიკალური გემოვნების ბუნება და საზომი, მსმენელთა ინდივიდუალური და ჯგუფური განსხვავება, გემოვნების კრიტერიუმები და ცალკეული პიროვნებები, მუსიკალური ნიჭიერების ბუნება, მუსიკალური ნიჭიერების დამოკიდებულება ხელოვნების სხვა დარგებისადმი გამოვლენილ ნიჭთან, ნიჭის შთამომავლობითი ხასიათი, მუსიკალური ნიჭი და ადამიანის ფიზიკური და გონებრივი სტრუქტურა, მუსიკალური ნიჭიერების საზომი, მუსიკის გამოყენება წარმოებასა და თერაპიაში, მუსიკის ზეგავლენის შედეგად მომხდარი ფიზიოლოგიური ცვლილებები და სხვა. წიგნის ღირსება მდგომარეობს ამა თუ იმ საკითხის გარშემო დიდი ინფორმაციის მიწოდებაში. ნაშრომში წარმოკრილ უამრავ პრობლემაზე ავტორი პასუხის გაცემას ცდილობს როგორც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასევე უკვე არსებული ლიტერატურის განხილვისა და დამუშავების ბაზაზე. მოცემულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ ფროიდის, იუნგის და სხვათა კონცეფციები, დახასიათებულია სხვადასხვა მკვლევართა ტენსიები და სხვა. წიგნში უამრავი საინტერესო ფაქტია მოყვანილი, რომელთაგან ზოგიერთის გაცნობა მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ავტორის აზრით, წინასწარი განწყობა, რომელიც უკვე არსებული საზოგადოებრივი აზრით არის გამოწვეული დიდ გავლენას ახდენს ადამიანის აღქმაზე, მუსიკალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. სხვადასხვა პრობლემებთან ერთად ფარნსვორსს აინტერესებს, თუ რა მიზეზით სარგებლობს ასეთი საოცარი პოპულარობით იტალიელი, კრემონელი ხელოსნის, სტრადივარიუსის მიერ შექმნილი ვიოლინო: თავისი ფიზიკური მონაცემებით, თუ მათდამი დამოკიდებულებით, პრესტიჟით, რომელსაც ძველი ვიოლინის მიერ წლების განმავლობაში მოხვეჭილი სახელის ასოციაცია იწვევს. ამ პრობლემის ამოსახსნელად, მას მოჰყავს საუნდერსის ცდა, რომლითაც მკვლევარს უნდაოდ დაემტკიცებინა იმ ჰიპოთეზის მართებულობა, რომლის მიხედვითაც წინასწარი ცოდნა იმ ფაქტისა, რომ შემსრულებელი სწორედ სტრადივარიუსის მიერ შექმნილ ვიოლინოზე უკრავს, მსმენელში აღძრავს არაჩვეულებრივი სიამოვნების და სიღიაღის გრძნობას, რაც არ ითქმის „საუკე-



თესო ახალ ქმნილებების უღრადობის განცდაზე“. მის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტში მონაწილეობას ლებულობდა სტრადივარიუსის ვიოლინო და მისი კარგად შესრულებული იმიტაციები ღია სცენაზე. ცდისპირებმა მოსმენილი ვიოლინოებიდან არ იცოდნენ რომელი იყო სტრადივარიუსის და რომელი თანამედროვე „კარგი“ მოდელი. ძველი და ახალი ტიპის ვიოლინოებით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სიმებიანი კვარტეტის წევრები, მსმენელს კი რომელიმე ვიოლინოსათვის უნდა მიეცა უპირატესობა. ხშირ შემთხვევაში მსმენელთა დიდი მოწონება „ასლმა“ დაიმსახურა და არა ორიგინალმა. მიუხედავად იმისა, რომ სტრადივარიუსის ვიოლინო ყოველთვის დიდ ქულებს იღებდა, მისი გამორჩევა წინასწარი ცოდნის გარეშე ძნელი აღმოჩნდა. ფარნსვორსის აზრით: „ვიოლინოს ძველმა ოსტატებმა იცოდნენ, თუ როგორ გაეყვებინათ ინსტრუმენტი, მაგრამ მათი გაჩევიის დროს მაინც ძალიან დიდ როლს თამაშობს უკვე არსებული რეპუტაცია“.

თავში: „მუსიკის ენობრივი მხარე“ ავტორი აღნიშნავს მუსიკის ენობრივ თვისებებს და პარალელს ავლებს ენის გრამატიკასა და მუსიკის გამომსახველ საშუალებებს შორის. იგი აღწერს მუსიკალური კილოების ხასიათს და განიხილავს სინესთეზიის და ქრომოსთეზიის პრობლემას. ამავე თავში, სხვა მრავალფეროვანი საკითხების წამოჭრასთან ერთად, იგი ეხება მუსიკისა და ემოციების კავშირის პრობლემას. მუსიკალური ემოციების გამოსავლენ ექსპერიმენტებში იგი სხვადასხვა სტილის მუსიკალური ნაწარმოებების მიერ გაღმოცემულ „ხასიათებზე“ მსმენლის რეაქციის ზომავს სპეციალური შკალის მიხედვით, რომელზეც მსმენელს ევალება განცდის აღმნიშვნელ წინასწარ მოცემულ სპეციალურ სიტყვებს: „სინაზე“, „შიში“, „შეძრწუნება“, „დაწყნარება“ და სხვა ხაზი გაუსვას მოსმენილი ნაწარმოების მიერ მასში აღძრული გრძობის შესაბამისად. მისი აზრით, ექსპერიმენტისათვის შერჩეული ნაწარმოებების 6 ცვლადი სიდიდე (კილო, ტემპი, სიმაღლე, რიტმი, მელოდია, პარმონია) განცდის სხვადასხვა ხარისხს შეესაბამება, რომელთა გასაზომად მ შკალიანი ბატარეა აქვს წარმოდგენილი. სადავოა, როგორც ფარნსვორსის მიერ წარმოდგენილი ემოციების კონცეფცია, ასევე მისი აზრი მელოდიური და რიტმული ფაქტორის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სრულიად დამოუკიდებელი ხასიათის შესახებ.

კვლევისადმი ყველაზე სწორი მიდგომა მას ბიჰევიორისტულ კონცეფციებზე დაყრდნობა მიაჩნია, რის გამოც იგი ყოველ ფაქტს ბიჰევიორისტული მიმდინარეობის თვალთახედვით აშუქებს. ეს ეხება როგორც ემოციების საკითხს, სადაც სტიმულ-რეაქციების მთელი სერია აქვს წარმოდგენილი, ასევე მუსიკალური გემოვნების გამოვლენის, ნიჭიერების გასაზომ და სხვა ტესტებს.

ფარნსვორსი თვლის, რომ „კარგი“ მუსიკალური გემოვნება გარკვეულ კანონებს და გამოცდილებას ემყარება. მისი შეხედულების თანახმად, ჯაზური მუსიკის მოტრფიალენი დაბალ მუსიკალურ გემოვნებას ავლენენ. მენდელსონის მუსიკის მოყვარულებს, მართალია, უფრო მაღალი გემოვნება აქვთ, მაინც სრულყოფილად ვერ ჩაითვლება. ყველაზე მაღალი მუსიკალური გემოვნება დამოკიდებულია მსმენლის საერთო კულტურაზე და მის პირად გამოცდილებაზე [2, გვ. 243].

გემოვნების სხვადასხვა მოვლენებზე დამოკიდებულების ფაქტი კარგად გამოავლინა ამერიკელი მკვლევარების მიერ სხვადასხვა პერიოდში (1938, 1944, 1951 და 1964 წლებში) ჩატარებულმა ანალოგიურმა ცდებმა, რომლებ-

შიც მონაწილეობას ლებულობდნენ როგორც მუსიკალური „ელიტის“ წარმომადგენლები, ასევე მუსიკის მოყვარულები და ჩვეულებრივი მსმენელები. მათ შრავალირიცხოვანი კომპოზიტორების არათანმიმდევრულად შედგენილი სიიდან უნდა აერჩიათ, მათი აზრით, 10 ყველაზე მნიშვნელოვანი თანამედროვე კომპოზიტორის გვარი. შედეგის დადგენა კომპოზიტორების მიერ მიღებული ქულების რაოდენობის მიხედვით ხდებოდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ცდისპირის მიერ ჩამოთვლილი სია თითქმის ერთნაირი აღმოჩნდა, როგორც თავისი შინაარსით, ასევე თანმიმდევრობის მხრივაც. ხშირად პირველი 28 გვარიც კი თითქმის უცვლელად ემთხვეოდა ერთმანეთს. 1970 წლებამდე დაბადებული კომპოზიტორების სიაც იდენტური აღმოჩნდა. მომყავს პირველი 10 გვარი.

სახელმძღვანელო კომპოზიტორების შერჩევა

რიკი	დაბადებული 1870 წლამდე	დაბადებული 1870 წლის შემდეგ
1.	ზახი	სტრაინსკი
2.	ბეი:პოვენი	ბარტოკი
3.	მოცარტი	ჰინდემიტი
4.	ჰაიდნი	შონბერგი
5.	ბრაშისი	ბერგი
6.	ჰენდელი	პროკოფიევი
7.	შუბერტი	რაველი
8.	დებიუსი	ბრიტენი
9.	ვაგნერი	კოპლენდი
10.	შოპენი და ა. შ.	ვებერი და ა. შ.

ასეთივე შედეგები იქნა მიღებული „პოპულარული კლასიკური“ მუსიკის კომპოზიტორების სიის შედგენის დროსაც.

ფარნსვორსის აზრით, გემოვნების შემუშავების საქმეში, მოსმენილი ნაწარმოების მიერ მიღებული სიამოვნების გარდა კომპოზიტორის ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კომპოზიტორის ნაწარმოებების შესრულების სიხშირე ხშირ შემთხვევაში მოწონების კატეგორიაში გადადის. კომპოზიტორის პოპულარიზაციას ახდენს აგრეთვე ცნობილი მუსიკალური კოლექტივების პროგრამებში მისი ნაწარმოებების ხშირი შეტანა.

მკვლევარი ცდილობს პარალელი გაავლოს და გარკვეული დამოკიდებულება გამოძებნოს ადამიანის ხასიათსა, მის პერსონალურ სტრუქტურასა და გარკვეული სტილის კომპოზიტორების ნაწარმოებების მოსმენის შედეგად მიღებულ სიამოვნების ხარისხს შორის. ასეთივე კავშირების დამყარებას ცდილობს მსმენლის ასაკის, განათლების, მისი წარსულის გამოცდილებისა და მოსმენილი მუსიკის მოწონება-არმოწონების საკითხში. მისი შეხედულების თანახმად, ვარჯიშის შედეგად მსმენელს გარკვეული სტერეოტიპები უჩნდება, რაც შემდგომში ცვლის მის რეაქციას მოსმენილი მუსიკის მიმართ. მოწონება-არმოწონება ზოგ შემთხვევაში ნაწარმოებების შესრულების თანმიმდევრობაზეც არის დამოკიდებული და სხვა.

მუსიკალური გემოვნების გასაზომად ფარნსვორსი სხვადასხვა სახის „ფორმალურ“ და „არასტანდარტულ“ ტესტებს სთავაზობს. მისი აზრით, გემოვნება ჩვენი კულტურის ისეთი სოციალური გამოვლენაა, რომელსაც საყოველთაო

საზომი არ გააჩნია. ნებისმიერ ცდას მხოლოდ ნაწილობრივი სურათის ჩვენება შეუძლია. ავტორის მიერ აღწერილი მთელი რიგი ტესტებიდან საინტერესოა გემოვნების ერთ-ერთი კომპონენტის „კონსონანსის გრძობის“ (სიშორი) ამსახველი ტესტები, ცდები: ორი ფრაზისაგან შემდგარ მელოდიაში ერთ-ერთი ფრაზის შეცვლის შემჩნევის შესაძლებლობაზე, მოსმენილი მუსიკალური მასალის შინაარსის წერილობით აღწერაზე და მუსიკალური ნაწარმოების მიერ გამოცემული ხასიათის გარკვევაზე.

ფარნსვორსის ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც ორიგინალური, ასევე სხვადასხვა მკვლევარების შეხედულებები, მუსიკალური ნიჭიერების „გასაზომი“ ტესტები. მისი აზრით, მუსიკალური ნიჭი, ისევე როგორც ყოველგვარი ნიჭი და მიღრეკილება, თანდაყოლილი ფენომენია, მაგრამ გარკვეული ვარჯიშის შედეგად ვითარდება და უმჯობესდება. მუსიკალური ნიჭის გაგება ჯერ-ჯერობით არ არის დიდფერენცირებული და საბოლოოდ დადგენილი. ხოლო მისი „გასაზომი“ ტესტები ნიჭიერების რომელიმე ცალკეულ მხარის გამოვლინების ცდებს წარმოადგენს. თავისი კონცეფციით ფარნსვორსი სიშორზე შორს ვერ მიდის და იმავე ჩარჩოებში რჩება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მუსიკალური ნიჭიერების საერთო ინტელექტთან კავშირში განხილვას. იგი მუსიკალური ნიჭიერების 3 დონეს ასხვავებს: ელემენტარულ დონეს (ბგერის სიმაღლის განსხვავება და მელოდიის დამახსოვრება), საშუალო დონეს (მუსიკის მიერ გამოცემული ხასიათების, ბგერის სიძლიერის და დროის განსხვავების შეგრძნება) და უმაღლეს დონეს (რიტმის განსხვავება და ტონალური მახსოვრობა). როგორც ვხედავთ ავტორის მიერ მოცემულ ჯგუფებში სრულიად სხვადასხვა ფაქტორია გაერთიანებული, ხოლო ელემენტარულ შეგრძნებების საშუალებით მუსიკის აღქმის კვლევა ატომისტური ფსიქოლოგიის პოზიციების გაზიარებაზე მეტყველებს.

წარმოებასა და თერაპიაში მუსიკის გამოყენების მის მიერ წარმოდგენილი ცდები დაზუსტებას და დახვეწას მოითხოვს. მუსიკის გამოყენება მრეწველობაში მწარმოებლობის გაზრდისა და თერაპიაში ნერვულ ავადმყოფთა მკურნალობის საქმეში სულ უფრო დიდ გამოხმაურებას პოულობს აშშ-ში. ადამიანის ემოციებზე დიდი ზეგავლენის გამო მუსიკა შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სხვადასხვა ემოციური მდგომარეობის აღსაძვრელად, ასევე ემოციური დაავადებების, ინტელექტუალურად ჩამორჩენილი პიროვნებების მკურნალობის დარგში, ადამიანის და მცენარეების ნორმალური ზრდის უზრუნველსაყოფად და სხვა.

ავტორი წიგნში განიხილავს ადამიანის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე მუსიკის გავლენის პრობლემას. მისი აზრით, ადამიანის სისხლის წნევაზე, სუნთქვის ინტენსივობაზე და სასიცოცხლო პროცესების სხვა გამოვლინებებზე ტონისა და რიტმის აღქმა გარკვეულ გავლენას ახდენს. სხვადასხვა მკვლევარები (დოზერენი, ფაინი და სხვა) ცდილობენ დაამტკიცონ მუსიკის გავლენის შედეგად ადამიანის ორგანიზმში, გამოწვეული ცვლილებების გაძლიერების ან შემცირების შესაძლებლობა. მათი აზრით, მუსიკის მოქმედებით შეიძლება მოღუდნდეს ადამიანის კუნთური ენერგია, აჩქარდეს და არარეგულარული გახდეს სუნთქვა, შეიცვალოს პულსი, სისხლის წნევა, ამოქმედდეს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები და სხვა.

ფარნსვორსის ცდებმა აჩვენეს, რომ ფიზიოლოგიურად მუსიკა მუსიკოსებზე უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე არამუსიკოსებზე. ამასთან მოქმედების ეფექტი ქალებზე უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებზე.

ავტორს მოჰყავს ფონური მუსიკის გავლენის ცდები სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულების სისწრაფეზე, ყურადღების კონცენტრაციაზე და ამა თუ იმ საგნის ათვისების ხარისხზე. მისი აზრით, მრეწველობაში ე. წ. „ფუნქციონალური მუსიკის“ გამოყენების დადებითი გავლენა ყველაზე უკეთ განმეორებადი პროცესების შემთხვევაში იყო დემონსტრირებული. იმ საამქროებში, სადაც განმეორებადი სამუშაო პროცესები სრულდება, მუსიკა სტიმულატორის როლში გამოდის. მუსიკის ფონის შემოღება სასარგებლო აღმოჩნდა მაშინაც, როდესაც სამუშაოს შესრულება მცირე ინტელექტუალურ დაძაბვას მოითხოვს. იქ კი, სადაც შესამჩნევი ინტელექტუალური მოქმედების შესრულებაა საჭირო, მუსიკა ნაკლებად სასარგებლოა და მწარმოებლობასა და მუშაობის შედეგებზე ზოგჯერ უარყოფით გავლენასაც კი ახდენს. ნაშრომში მკვლევარს წარმოდგენილი აქვს საამქროებში და სხვადასხვა ფირმებში მუსიკის აკომპანიმენტის ხანგრძლიობის და მისი ხასიათის დადგენის ცდები. იგი აღწერს მუსიკის როლს ფიზიკურ თერაპიაში, სხვადასხვა ვარჯიშების შესრულებაში და სხვა.

ნაშრომში აშკარად იგრძნობა ბურჟუაზიულ ფილოსოფოსების და ფსიქოლოგების გავლენა ხელოვნების „ელიტარულ“ ხასიათზე. ფარნსვორსის აზრით, მუსიკის მოყვარული იყოფა „ელიტასა“ და „მასობრივ“ მსმენელზე. აქედან „ელიტას“ მიეკუთვნება ისეთი კულტურის მქონე პიროვნებები, რომლებიც თავიანთი ორიენტაციით მიისწრაფიან უმაღლესი მუსიკალური ფაქულტეტისკენ. „ელიტარულ“ და „მასობრივი“ ტიპის პიროვნებათა არსებობა გამოხატავს კაპიტალიზმის დროის ობიექტურ აუცილებლობას, რაც განპირობებულია კლასებს შორის ანტაგონიზმის გამძაფრებისაკენ ლტოლვით. ხოლო ფუნქციონალური მუსიკის გამოყენება მუშის ექსპლოატაციის ამაღლების მიზნით, მათი კუნთური რეაქციის და ტემპის გაზრდის საშუალებით კაპიტალისტური სამყაროს პრაქტიციზმის და პრაგმატული არსის აშკარა მაგალითია.

მუსიკის თერაპიაში გამოყენების ცდები აშშ-ში სხვა მკვლევარებსაც აქვთ აღწერილი (იხ. ე. გუტჰეილი, ლ. ჯილმანი, რ. პაპერტი [4; 3] და სხვ.). გუტჰეილის „მუსიკა და თქვენი ემოციები“, მუსიკის ფსიქიატრიაში ხმარების საკითხებს ეხება. მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც გარკვეული სტილის და ეპოქის მუსიკის ხშირი მოსმენა ნაწილობრივ ან მთლიანად გამაჯანსაღებელ ეფექტს ახდენს ადამიანზე. წიგნში მოცემულია პაციენტთა ავადმყოფობის ისტორიები, მათი ფსიქიურად დაავადების მიზეზები, სიმპტომები, სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად მუსიკის თერაპიის კურსის ჩატარების შედეგად მათი გაჯანსაღების ეფექტები. ავტორს ზოგ შემთხვევაში აუცილებლად მიაჩნია ავადმყოფის მიერ მუსიკის არა მარტო პასიური მოსმენა, არამედ მუსიკის გაკვეთილებზე აქტიური მონაწილეობა, ამა თუ იმ ნაწარმოების საკუთარი შესრულება (რასაკვირველია, თუ ამის საშუალებას იძლევა პაციენტის მუსიკალური განათლება), ან მუსიკის ანბანის შესწავლა. წიგნში წარმოდგენილია იმ მუსიკალური ნაწარმოებების სია, რომლებიც დიდ ეფექტს ახდენენ ამა თუ იმ ფსიქიური დაავადების სხვადასხვა სტადიის მკურნალობაზე, სხვა რადიკალურ სამკურნალო საშუალებებთან კომპლექსში.

მაქს შოენის რედაქციით გამოსულ (პირველი გამოცემა 1927 წ. ხოლო მეორე — 1968 წ.) ნაშრომთა ციკლში „მუსიკის ზეგავლენა“ [10], დიდი როლდენობითაა თავმოყრილი ამერიკელ ავტორთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, რომლებიც მუსიკის აღქმის ფსიქოლოგიასთანაა დაკავშირებული. მათში გამოკვეთილია ამერიკელ მეცნიერთა ძირითადი კონცეფციები. კრებულში ერთი სათაურის ქვეშ ვაერთიანებულა 6 ძირითადი პრობლემა: მუსიკის მსმენელთა ტიპოლოგია, მუსიკალური სიამოვნების წყაროები, მუსიკის გავლენა მსმენელის გუნებ-ვანწყობილებაზე, მუსიკის ორგანული ეფექტი, განმეორების ან ნაცნობობის მნიშვნელობა და მუსიკის ზეგავლენა შეგარძნების რეცეპტორებზე (სმენის და ორგანულის გარდა). თითოეულ პრობლემას ორისამი ნაშრომი ეძღვნება, რომლებშიც მკვლევარები ძირითადად შეისწავლიან სხვადასხვა სტილისა და ეპოქის მუსიკის აღქმის შედეგად მსმენელში გამოწვეულ რეაქციას. ავტორების დასკვნები ემპირიულ მასალას, ცდისპირის მიერ გამოთქმულ აზრებს ეყრდნობა, რაც ძალიან აქვეითებს ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. ემოციური ვანცდა, რომელიც მუსიკალურ სტიმულებზე რეაქციას წარმოადგენს, ნაშრომებში განხილულია ხელოვნების ნიმუშების ემოციური ზემოქმედების ბუნების ამხსნელი სხვადასხვა ბურჟუაზიული თეორიების პოზიციიდან.

მეიერის გამოკვლევა „მუსიკის მსმენელთა ინდივიდუალური განსხვავება“ ჩამოყალიბებულ, ზრდადასრულებულ პიროვნებებზე დაკვირვებას წარმოადგენს და ამიტომ თავისი ხასიათით უფრო სტატიურია. მისი ტიპოლოგიის მიხედვით მსმენელები ინტრა-სუბიექტურ, ასოციაციურ და ობიექტურ ტიპებად შეიძლება დაიყოს.

ინტრა-სუბიექტური ცდისპირი დაბალი მუსიკალური მონაცემების მქონე და მუსიკალურად განუვითარებელი ტიპია, რომლისთვისაც მუსიკა აზრს არის მოკლებული და მასზე მხოლოდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს. ინტრა-სუბიექტური ტიპის მუსიკის აღქმა, ავტორის აზრით, უმდაბლეს ფორმას წარმოადგენს და მუსიკის ვანცდის ემოციურ, იმპულსურ მხარეს მიეკუთვნება. ასეთ ტიპს ასოციაციები არ წარმოექმნება და მისთვის ხელოვნების ნიმუშის ვანცდა სიმშვენიერის ობიექტურ ასახვას კი არ წარმოადგენს, არამედ მასში იწვევს სიხარულის ან წუხილის სუბიექტურ შეგარძნებას. ასოციაციურ ტიპად იგი თვლის ცოტათდენი მუსიკალური განათლების და საშუალო მუსიკალური გემოვნების მქონე ცდისპირებს, რომელთაც აღქმის დროს ხატოვანი ასოციაციები წარმოექმნებათ. ისინი მუსიკის აღქმის საშუალო ტიპს წარმოადგენენ.

ობიექტური ასპექტი გულისხმობს პროფესიონალების აღქმას. ასეთ მსმენელებს მოსმენილი ნაწარმოების ობიექტური შეფასება შეუძლიათ, მუსიკის მიმართ ანალიტიკური მიდგომა აქვთ, დიდ ყურადღებას აქცევენ ნაწარმოების შინაარსს, შესრულების საკითხებს და ასოციაციები ნაკლებად წარმოექმნებათ.

მუსიკალური ნაწარმოების აღქმის შედეგად გამოწვეული ვანცდის კვლევის საკითხებში აშკარად იგარძნობა ხელოვნების ნაწარმოების ემოციური ზემოქმედების ბუნების ახსნის გამსჭვალის თეორიების გავლენა. ამ თეორიის მიმდევართა მსგავსად, მეიერი არ ითვალისწინებს ესთეტიკური აღქმის დროს ობიექტ-სუბიექტის აქტიური ურთიერთზემოქმედების აუცილებლობას.

სტატიის მე-15 გვერდზე ვკითხულობთ: „ჩემის აზრით, ინტერესს არ იქნება მოკლებული იმ აზრის მტკიცება, რომ ჩვენს მიერ გამოკვლეული უაღვი-

ლესი მასალის აღქმა შემდგომში გავლენას ახდენს ხელოვნების ნიმუშების აღქმაზე. სიმშვენიერის განცდის საფუძველს წარმოადგენს ადამიანის შორეულ წარსულში ცალკეული ტონების და ფერების აღქმის შედეგად გამოწვეული გაჩეცვა. ე. ი. ხელოვნების ნიმუშების პრიმიტიული ფორმების ემოციური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული განცდა მოქმედებს კომპლექსური განცდის ბუნების ფორმირებაზე“. ავტორის ზემოაღნიშნული დებულება კომპლექსური განცდის ელემენტარულ განცდებზე დაყვანის კონცეფციებს ეყრდნობა. რაც ასოციანსტური მიმართულების ამოსავალი წერტილია. ავტორის მიერ სხვადასხვა სიტუაციაში აღძრული სტიმულებისადმი პიროვნების განსხვავებული რეაქციების მიხედვით კლასიფიკაციის ცდა მის ბიპეიორისტულ პოზიციებზე დგომას აღასტურებს, ხოლო სიმშვენიერის განცდის მისტიკურ და ექსტაზის გრძნობასთან დაკავშირება ყოველგვარი კრიტიკის მიღმა რჩება.

სტატიაში „მსმენელთა ტიპების გენეტიკური განხილვა“ ოტო ორტმანი ცდილობს მსმენელთა ტიპების კლასიფიკაცია მათი მუსიკალური განათლების დონის მიხედვით მოახდინოს და არა მათი ხასიათების სპეციფიურობის თვალსაზრისით. ავტორის აზრით, მუსიკის განცდა ზოგადი განცდის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და იგივე პრინციპებს ეყრდნობა, რასაც ძირითადი განცდა. ზოგადად ფსიქოლოგიაში განცდის ტიპების კლასიფიკაცია 3 ძირითადი პროცესის მიხედვით ხდება. ესენია: გრძნობა, აღქმა და წარმოსახვა. აქედან გამომდინარე, არსებობენ სენსორული, აღქმადი და წარმოსახვის ტიპები.

მსმენელთა ტიპების ორტმანისეული კლასიფიკაცია მოიცავს სხვადასხვა მუსიკალური ნიჭისა და განათლების მქონე პიროვნებებს. სენსორული, აღქმითი და წარმოსახვითი ტიპები ერთმანეთისაგან სწორედ მუსიკალური ნიჭისა და მუსიკალური განათლების დონით განსხვავდებიან.

ამ ნაშრომის ნაკი მდგომარეობს კვლევის მხოლოდ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობაში, მსმენელთა თვითდაკვირვების მეთოდის გამოყენებასა და მუსიკალურ მასალად ბეგრათა ნაერთების, ცალკეული მელოდიების და აკორდების მიმდევრობების გამოყენებაში, რისი განცდის შესწავლა შორს არის მუსიკალური ნაწარმოებების აღქმის თავისებურებების კვლევისაგან. ავტორი ბიპეიორისტის გარდა, რაც სტიმულ-რეაქციების კვლევაში გამოიხატება, გეშტალტთეორიის პრინციპებსაც იზიარებს. მისი აზრით, მუსიკის აღქმა დამოკიდებულია ნაწარმოების კონტექსტის სტრუქტურაზე. მსმენელის აღქმის მექანიზმში იგი უგულვებლყოფს პიროვნების როლს. მის განცდას და ინდივიდუალურ თავისებურებებს. მის მუსიკის აღქმა ესმის როგორც ზოგადად აღქმის ნაწილი და ხშირად მის სპეციფიკას არ თვალისწინებს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა—„მუსიკალური სიამოვნების წყარო“—კრებულში განხილულია რამოდენიმე ავტორის სტატიაში. გეითჰუდის ნაშრომი „მუსიკალური სიამოვნების ბუნების ექსპერიმენტული კვლევა“ ეხება სხვადასხვა ტიპის ნაწარმოების მოსმენის შედეგად გამოწვეული გონებრივი და ემოციური მდგომარეობის შესწავლას. ვინაიდან სიამოვნების და უსიამოვნების გრძნობა ბევრის მომცველი და მრავალგვარია, სხვადასხვა სტილის მუსიკის მოსმენას სიამოვნების სხვადასხვა ეფექტის გამოწვევა შეუძლია. მისი აზრით, სიამოვნების განცდა 4 ძირითად ფაქტორზეა დამოკიდებული. ესენია: 1. ფიზიკური, რაც მუსიკის გამომსახველი საშუალებების, რიტმის, მელოდიის, ჰარმონიის და ტემპრის წამყვან ფუნქციას შეესაბამება. 2. ასოციაციური ან წარმოდგენითი, რომლის დროსაც ნაწარმოების აწმყოში მოსმენა ადრე მოს-

მენილი მუსიკალური ნაწარმოებს, წარსულის გამოცდილების საფუძველზე ხდება. 3. აზრობრივი, რომლის საშუალებითაც მუსიკის აღქმის დროს მუსიკალური ნაწარმოების გაანალიზება და მისი სტრუქტურის გარკვევა ხდება. 4. ემოციური, რომელიც გრძნობად განცდას, ნაწარმოების აღქმის შედეგად გამოწვეულ რეაქციას წარმოადგენს.

ექსპერიმენტების შედეგები უჩვენებს, რომ, მართალია, ფიზიკური, წარმოსახვითი და აზრობრივი ფაქტორები მუსიკის განცდაში არსებობს და სიამოვნებას გრძნობაზე ახდენს გავლენას, სიამოვნების განცდის ხარისხი ძირითადად ემოციების ხარისხზე და მათ შინაარსზე დამოკიდებული. ავტორის ცალკე-ცალკე აქვს გამოუქმებული თითოეული ეფექტის დამოკიდებულება სიამოვნების ძირითად განცდასთან. რის შედეგადაც ემოციური მახასიათებლები გამოიყვანა.

ავტორს ძირითადი შეხედულებები ასოციანიზმის კონცეფციებიდან გამომდინარეობს. მისი აზრით, მუსიკის უფრო ადრეულ სიამოვნება ისეთ მთლიან წარმოადგენს, რომელიც მრავალი ემოციური ეფექტისაგან შედგება, ანუ განცდის მთლიან კომპლექსში მრავალი ემოციური ელემენტი შედის და თითოეული ელემენტი სიამოვნების განცდის ხარისხზე ახდენს გავლენას. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ნაწარმოების სტრუქტურას და მასში არსებული ემოციების მნიშვნელობას. იგი სრულიად გამორიცხავს მსმენელის როლს და დგას ხელოვნების ნიმუშის ემოციური ზემოქმედების ბუნების ამხსნელ ისეთი ბურჟუაზიული თეორიის პოზიციებზე. როგორც არის შთაგრძნობის თეორია. ამ კონცეფციის თანახმად, ესთეტიკური ობიექტის ან ხელოვნების ნიმუშის (რომლებიც შედგებიან ერთმანეთისაგან განსხვავებული მასალის, საგნის, ფორმის შთაბეჭდილებებისაგან), ყოველ ელემენტს შეესაბამება ემოციური ტონი. ამდენად, საგნის მასალა, ამ შემთხვევაში, მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურა და ფორმა ობიექტში უშუალოდ კი არ შედის, არამედ მათ მიერ შექმნილი ემოციური ელემენტების სახით. რომელთა ურთიერთშერწყმით იქმნება ესთეტიკური ობიექტი და „შეგრძნობის ემოციური ტონი“. ამ თეორიის მიმდევრები უგულვებელყოფენ იმ ემოციურ რეაქციას, რომელსაც ჩვენში ესთეტიკური ობიექტი იწვევს. მათთვის სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობა დაშლილია ემოციურ ელემენტებად, რომელთაგანაც თითოეულის შესწავლა შეიძლება როგორც დამოუკიდებლად, ასევე ძირითად გრძნობასთან კორელაციაში.

ამავე ავტორის მეორე ნაშრომი, რომელიც პირველის გაგრძელებას წარმოადგენს, ეხება გარკვეული მუსიკალური ნაწარმოებების 4 ძირითადი ელემენტის: რიტმის, მელოდის, ჰარმონიის და ტემბრის ზემოქმედებით გამოწვეული ემოციური ეფექტების შესწავლას და მუსიკის განცდის ზემოაღნიშნული 4 ძირითადი ფაქტორის შედარებას. აქაც ავტორი ამყავნებს ფუნდამენტური განცდის ცალკეულ ელემენტებად დაყოფის ტენდენციას, პიროვნების როლის სრულ უგულვებელყოფას და სხვა.

მარგარეტ უოშბორნის და ჯორჯ დიკინსონის ნაშრომი „ინსტრუმენტული მუსიკის განცდის წყარო და ბუნება“ ინსტრუმენტული მუსიკის აღქმაში მუსიკალურ ელემენტებს (რიტმი, მელოდია, ჰარმონია და ტემბრი) შორის დამოკიდებულებას გარკვევას, სიამოვნების განცდასა და მუსიკის მიერ ინტროსპექტულად მოცემული ადგილებისა და დაწყნარების გრძნობასთან კავშირის კვლევას და ინსტრუმენტული მუსიკის აღქმის შედეგად მიღებული ემოციების კლასიფიკაციას ეხება.

ესთერ გეითჰუდის და მაქს შოენის ნაშრომი „მუსიკის გავლენა გუნებ-განწყობილებაზე“ შეესწავლის 290 მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის შედეგად მსმენელის გუნებ-განწყობილების შეცვლის თავისებურებებს. მოცემულ კვლევაში ისევე, როგორც წინა ნაშრომებში აშკარად ჩანს ავტორის მცდარი პოზიცია, რაც მდგომარეობს ე. წ. ძირითადი ფუნდამენტური გრძნობის სიამოვნება-უსიამოვნების ცალკეულ ელემენტებად დაშლაში და ამ ელემენტარული გრძნობების საშუალებით სიამოვნება-უსიამოვნების ხარისხის დადგენაში. ძირითადი ემოციის ელემენტებად დაშლის ტენდენცია ვუნდტის ატომისტური ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებიდან მოდის. ვუნდტის აზრით, ემოციის კვლევა შესაძლებელია გრძნობადი პროცესების ძირითადი კომპონენტების რაოდენობის დადგენის თვალსაზრისით, ხოლო გრძნობებისა და ემოციების აღწერა-დახასიათება შეიძლება სამი ძირითადი განზომილების საშუალებით: სიამოვნება-უსიამოვნება, დაძაბულობა-შეება, აღელვება-შეება, [აღელვება-დამშვიდება]. ვუნდტის მოწაფის, ტიტჩენერის აზრით კი, მხოლოდ სიამოვნება-უსიამოვნების გაცდა გვევლინება ერთადერთ დამოუკიდებელ გრძნობად. ავტორი თვლის, რომ მუსიკის ზემოქმედება ადამიანში ნაწილობრივ ემოციების წარმოქმნას არ იწვევს, რაც თანამედროვე ამერიკულ ფსიქოლოგიაში არსებული ემოციების თეორიიდან გამომდინარეობს. ამ თეორიის თანახმად, ემოციის ცნება საერთოდ უგულვებელყოფილია, ხოლო ემოციური რეაქცია სხვა რეაქციების მოდელიდან გამოყოფილი არ არის (მ. არნოლდი, იუნგი, დაფი, ლიბერი და სხვა).

მარგარეტ ლაშბორნის და ჯორჯ დიკინსონის ნაშრომში „ინსტრუმენტული მუსიკის განცდის წყარო და ბუნება“ მოცემულია მუსიკის მიერ წმინდელში გამოწვეული განცდის ხარისხის და ინტენსივობის გამოკვლევის ცდა, რაც გამომდინარეობს გერმანელი მეცნიერის ტიბენს კონცეფციიდან. იგი გრძნობას არ მიიჩნევდა დამოუკიდებელ ფსიქიკურ მოვლენად. მისი აზრით, გრძნობა შეგრძნების თვისებას წარმოადგენს და სამი ძირითადი დამახასიათებელი თვისება გააჩნია: ხარისხი, ინტენსივობა, და საკუთრივ გრძნობითი ტონი.

იდა ჩილის ნაშრომის „მუსიკის გავლენა ელექტროკარდიოგრაფიასა და სისხლის მიმოქცევაზე“ მიზანი იყო სხვადასხვა ხასიათის მუსიკალური ნაწარმოების მსმენელის კარდიოვასკულარულ სისტემაზე გავლენის შესწავლა. ექსპერიმენტული კვლევის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ეფექტების ინტენსიობა მუსიკის ვარჯიშის ხარისხზე, მსმენელის მუსიკალურ განათლებასზე დამოკიდებული. ვოკალური და ინსტრუმენტული მუსიკა შეიძლება ისე შეირჩეს, რომ კარდიოვასკულარულ სისტემაზე სასურველი რეაქცია მოახდინოს. მუსიკალური ნაწარმოები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დასამშვიდებელი, ამგზნები, გამაქტიურებელი და სხვა მიზნით, რაც მუსიკის თერაპიაში გამოყენების საშუალებას იძლევა.

ზემომოყვანილი ნაშრომის ძირითადი კონცეფცია კარგად ეთანხმება ანრი ვალონის თეორიას, რომლის მიხედვით, ემოციური მდგომარეობა გაიგივებულია კუნთური ტონუსის გამოვლინებასთან. ამ დროს ემოციის აღძვრის გარეგანი სტიმულაცია ტრანსფორმირდება მთელი სხეულის ტონიკურ, ვისცელარულ და კუნთურ აქტიობაში. მკვლევარი აგრეთვე იზიარებს ფსიქოლოგების შერინგტონის და კენონის შეხედულებას, რომელთა თანახმად ემოციების შესწავლა მხოლოდ ფიზიოლოგიურ საფუძველზე შეიძლება.

ნაშრომში „მუსიკალური ნაწარმოების ნაცნობობისა და განმეორების ეფექტი“ ავტორებმა — ჟოშბურნმა, მარგარეტ ჩაილდმა და თეოდორა მიდ აბელმა — ექსპერიმენტების საშუალებით დაადგინეს, რომ მუსიკალური ნაწარმოების განმეორების სიხშირე მოქმედებს მუსიკით გამოწვეული სიამოვნების ხარისხზე კლასიკური მუსიკის შემთხვევაში, ხოლო პოპულარული მუსიკის ხშირი მოსმენის შემდეგ მობეზრების გრძნობა ჰარბობს. სტატიაში „შუშუალო მესხიერების გავლენა მოსმენილი მუსიკით გამოწვეულ სიამოვნება-უსიამოვნების განცდაზე“ ავტორები შეისწავლიან ჯაზური და კლასიკური მუსიკის მოსმენის ეფექტს პირველი და 23-ე მოსმენის შემდეგ. მათი აზრით, ჯაზური მუსიკის 25-ჯერ მოსმენის შემდეგ ჯაზის მოყვარულთა რაოდენობა მცირდება, მაშინ, როდესაც ბეთჰოვენის და ჩაიკოვსკის სიმფონიის ამდენივე მოსმენა კლასიკური მუსიკის თავყვანიმცემლებს რიცხვს ზრდის.

ჩვენს მიერ აღნიშნულ უკანასკნელ ორ ნაშრომში ავტორები ძირითადი დებულებების ასახსნელად იყენებენ როგორც ცდისპირების ჩანაწერებს, ასევე ცდის დროს ფოტოსურათებზე აღბეჭდილ მიმოიკებს, სახის გამომეტყველებების ყველა ნიუანსს. მიმოიკის მიხედვით განცდადი ემოციის შესწავლის ზერხი, რომელსაც ჩარლზ დარვინმა ჩაუყარა საფუძველი, წარსულში გავრცელებულ საშუალებას წარმოადგენდა და დღესაც იყენებენ. ბევრი ფსიქოლოგი ემოციურ რეაქციებს სწორედ მიმოიკის საშუალებით იკვლევს. ამ მიზნით ისინი, ძირითადად, სამი სახის ექსპერიმენტული მასალით სარგებლობენ: მიმოიკური გამომეტყველების აღმნიშვნელი ჩანახატებით; მსახიობთა მიერ განსხვავებულ ემოციურ მდგომარეობის გამომსახველი ფოტოსურათებით (ფრისი, რიდლერი). არსებობს ემოციური რეაქციების მიმოიკური გამოხატულების შკალები. (ეუდვორტი, შლისბერი და სხვ.). ზემოაღნიშნულ ნაშრომებში ამ თეორიების გავლენა მკვეთრად იგრძნობა.

ესთერ დოუნის და ჯორჯ კნაბის აზრით (ნაშრომი: „მუსიკალური პროგრამების ნაცნობობის და თანმიმდევრული მოსმენის მნიშვნელობა“), მუსიკის საშუალებით გადმოცემული კომპოზიტორის ჩანაფიქრის ვასაგებად აუცილებელია მსმენელის გამოცდილება და ვარჯიში ამ დარგში. მხოლოდ გავარჯიშებულ პიროვნებას შეუძლია გაერკვეს მოსმენილი მუსიკის ენაში, სტილში, მის გამომსახველ საშუალებებში და სხვა. გაუვარჯიშებელი თვალისათვის არქიტექტურულ ფორმებს მხოლოდ ემოციური რეაქციის გამოწვევა შეუძლია. ასეთი აღქმა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, დაუკავშირებელი სტრუქტურების ქაოსს წარმოადგენს. გაუვარჯიშებელი მსმენელისათვის მუსიკაც აზრს არის მოკლებული და ისეთ განცდას იწვევს, რომლის ახსნაც მისთვის შეუძლებელია. გეშტალტთეორიის პოზიციების გაზიარებას მოწმობს მათი შეხედულება მუსიკალური ნაწარმოების მოწონება-არმოწონების საკითხზე. მათი აზრით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსამენი მუსიკალური ნაწარმოების თანმიმდევრობისა და გარემოცვას.

ოტო ორტმანის ნაშრომი „მუსიკის არასმენითი ეფექტები“ კრებულის წინა თავებში წარმოდგენილ ამავე ავტორის კვლევათა ერთგვარ გავრცელებას წარმოადგენს. მოცემულ სტატიაში იგი განიხილავს არასმენით შეგრძნებებზე (ვიზუალური, კინესთეტიკური, სუნის და გემო) მუსიკის გავლენის თავისებურებებს.

ესთერ გეითჰუდის ნაშრომი „შედარების მეთოდის გამოყენება მუსიკის და მისი გავლენის აღწერაში“ მუსიკის განცდის აღწერის დროს სხვა-

დასხვა შედარებების გამოყენების პრობლემას ეხება. მუსიკის შინაარსის ან მის მიერ გამოწვეული გაცდის გამოსახატავად ხშირად ხმარობენ სხვადასხვა ეპითეტებს, გამოთქმებს, მათ წარმოდგენაში ხშირად ჩნდება სხვადასხვა ზომის ფიგურები, ლინეარული ფორმები, მოძრაობის, ტემპერატურის შეგრძნება და სხვა. ავტორს უნდა მოახდინოს მსმენელთა ტიპოლოგია ერთი და იგივე მუსიკალური ნაწარმოების აღწერის დროს მსმენელის მიერ სხვადასხვა შედარებების გამოყენების საშუალებით.

მაქს შოენის სხვა ნაშრომში „მუსიკის ფსიქოლოგი“ [11], რომელიც 1940 წელს გამოიცა, აღქმის ფსიქოლოგიის საკითხები განხილულია განვითარების პროცესში. იზიარებს რა საზღვარგარეთელ მეცნიერთა თვალთახედვას გენეტიკის დარგში, ავტორი მეტისმეტად ცალმხრივად განიხილავს მუსიკალური აღქმის მექანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს. პიროვნების აღქმის იგი იკვლევს მუსიკის განვითარების საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესის გარეშე. იმ სოციალური ფაქტორების ნიველირებით, რომლებიც პიროვნების ფორმირებაზე ახდენს გავლენას.

ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერთა მიერ მუსიკის აღქმის ფსიქოლოგიის კვლევის მოკლე მიმოხილვამ დაგვანახა, რომ მიუხედავად რამოდენიმე ძირითადი მიმართულებისა ამ დარგში, მაინც წყაყვანი ადგილი მუსიკის სოციალურ ფსიქოლოგიას და აქედან გამომდინარე საკითხების შესწავლას უკავია, რაც გასაკვირი არ არის, ვინაიდან სოციალური ფსიქოლოგია აშშ-ში წარმოადგენს კვლევათა განვითარებულ დარგს, რომელიც ჩართულია ბურჟუაზიული საზოგადოების განსაზღვრულ სოციალურ პრაქტიკაში. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იგი ემსახურება პრაქტიკული, პრაგმატული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. მხოლოდ ემპირიულ ცოდნაზე დაყრდნობილი და ჰიბევიორიზმის მყარ საფუძველზე დამდგარი მეცნიერება თავს არიდებს საზოგადოების განვითარების და პიროვნების არსის შესწავლას. მას არ გააჩნია საკუთარი მძლავრი თეორია და პიროვნება მისთვის არ წარმოადგენს საზოგადოების განვითარების სუბიექტსა და ობიექტს ერთდროულად, რომლის აქტიობის სპეციფიკა სწორედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვლინდება. ზემოგანხილულ ნაშრომებში ასოციანიზმის, ბიპევიორიზმის, გეშტალტფსიქოლოგიის და სხვა თეორიების კონცეფციების გაზიარება სწორედ პიროვნების როლის უგულვებლყოფაში, მისი საზოგადოების, სინამდვილის გარეშე შეფასებაში ვლინდება.

Н. Д. ТАВХЕЛИДЗЕ

К КРИТИКЕ СОВРЕМЕННЫХ КОНЦЕПЦИИ ВОСПРИЯТИЯ МУЗЫКИ В США

Резюме

Восприятие музыки стало объектом научных исследований в США после формирования психологии музыки как научной дисциплины в Европе. Несмотря на значительное количество трудов и широту охвата разных вопросов изучаемой проблемы, во всех исследованиях замечается узкий, односторонний подход к объяснению особенностей механизмов восприятия. В рассматриваемых работах восприятие музыки исследует-

ся с позиций идеалистических, реакционных течений, в которых процессы восприятия изучаются либо при полном игнорировании роли личности, либо роль личности оценивается в отрыве от общества, от действительности, как простая совокупность отдельных психических процессов.

ლიტერატურა

1. სკკპ XXVI ყრილობის მასალები. მ., 1981,
2. Farnsworth. Social Psychology of Music. New York, 1958.
3. Gilman H. and Paperte F. Music as a psychoterapeutic agent. The Journal of Chemical Psychology. v. 10. m. 1947.
4. Gutheil Emil. Music and Your Emotions. New York, 1952.
5. Montani Angeli. Psychoanalysis of Music. Psychoanalytic Rev. april 1945. vol. 33.
6. Seashore C. The Psychology of Music. 1919.
7. Seashore C. Measures of Musical Talent. Psychol. Rev. 1930.
8. Seashore C. The Psychology of Musical Talent. New York. 1919.
9. Seashore C. The Sence of rhythm as a Musical Talent. 1918.
10. Shoen M. The Effects of Music. 1968.
11. Shoen M. The psychology of Mysic. 1940.
12. Tilly Margret. The Psychaaalytical approach to the Masculine and Feminine Principles in Music. In J. Psychol. 103. 471. 83. 1947.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის
სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ქართული ფსიქოლოგიის ნაშრომი საფრანგეთის
სამეცნიერო ჟურნალის ფურცლებზე

საფრანგეთის ცენტრალური ფსიქოლოგიური ჟურნალის „Bulletin de Psychologie“ 1983 წლის ერთ-ერთი ნომერში დაიბეჭდა დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნოდარ სარჯველაძის სტატია „მშობელთა ხატის რეპრეზენტაციის თავისებურებები არასრულწლოვან დამნაშავეებში“¹. მკვლევარი ბოლო წლების მანძილზე ინტენსიურად მუშაობს ოჯახის სოციალური ფსიქოლოგიის რიგ თეორიულ და ფსიქოკონსულტაციურ პრობლემებზე. მისი მეცნიერული კვლევა-ძიების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია იმ ფუნქციონალური კავშირების დადგენა, რომლებიც არსებობენ პიროვნების ცნობიერებაში რეპრეზენტირებულ დედ-მამის იერსახესა და „მე“-ს ხატს შორის. საკითხი იმით არის აქტუალური, რომ იგი ეხება, ერთის მხრივ, პიროვნების თვითცნობიერების ფორმირების მექანიზმების დადგენას, ხოლო მეორეს მხრივ, საოჯახო განწყობებისა და ორიენტაციების ჩამოყალიბების თავისებურებათა შესწავლას მოზარდებსა და ახალგაზრდებში. კვლევის მეთოდსა და მიღებული შედეგების შესახებ დაიბეჭდა ნ. სარჯველაძის ნაშრომი თეზისების სახით ბიპევიორისტული განვითარების საერთაშორისო საზოგადოების მე-7 ყრილობის მასალებში (მიუნხენი, 1983)².

ფრანგულ ჟურნალში „Bulletin de Psychologie“ დაბეჭდილი შრომა ექსპერიმენტული ხასიათისაა და მასში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) რით ხასიათდებიან არასრულწლოვან დამნაშავეთა განწყობები ისეთ პერსონიფიკაციათა მიმართ, როგორცაა ა) დედა და მამა, ბ) იდეალური დედა და იდეალური მამა, გ) იდეალური ქალი და იდეალური მამაკაცი, დ) რეალური „მე“ და იდეალური „მე“? 2) როგორია რეპრეზენტირებული არასრულწლოვან დამნაშავეში მშობელთა შინაგანი სამყარო, ემპათიის რა თავისებურებები ახასიათებს მას ამ მხრივ? გამოთქმულია ჰიპოთეზი, რომლის მიხედვითაც უნდა არსებობდეს მნიშვნელოვანი განსხვავება კანონდამკერე მოსწავლეებსა და არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის როგორც დედ-მამისა და საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებების მხრივ, ისე მშობელთა მიმართ ემპათიის თავისებურებათა თვალსაზრისით.

ექსპერიმენტში გამოყენებული იყო სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი, რომელიც წინასწარი სპეციალური გამოკვლევით ქართულ ენაზე იყო ადაპტირებული ინტერპერსონალურ ურთიერთობათა შესასწავლად. ც. პ-თა ორი გვუფი ავსებდა სემანტიკური დიფერენციალის კითხვარს: არასრულწლოვანი დამ-

¹ Sardjveladzé N. — Caractéristiques des images parentales par les délinquants mineurs. „Bulletin de Psychologie“. Tome XXXVI, № 359, Paris, 1983, p. p. 417—423.

² Sardjveladzé N. — Representation of images of mother and/or father, of opposite sex and oneself by students of both sexes. „International Society for the study of Behavioural Development. VII biennial meetings“. Munich, 1983, p. 161.

ნაშედეგები და კანონდამჭერე მოსწავლეები. კითხვარი გულისხმობდა შეიღწეულ-ხურიანი სკალის მიხედვით ისეთ კატეგორიათა შეფასებას, როგორცაა დედა, იდეალური დედა, მამა, იდეალური მამა, იდეალური ქალი, იდეალური მამაკაცი, რეალური „მე“, იდეალური „მე“. ექსპერიმენტი ტარდებოდა ორ ეტაპად. 1) პირველ ეტაპზე ც. პ-ს ევალუბოდა კითხვარის შევსება და საკუთარ შეფასებით მსჯელობათა აღნიშვნა პერსონიფიკაციათა მისამართით; 2) მეორე ეტაპზე ც. პ-ი უნდა ჩამდგარიყო ჯერ დედის, შემდეგ მამის პოზიციაში და იმგვარად შეეცოდა კითხვარი, როგორც მისი აზრით შეფასებდნენ მას საკუთარი დედა და მამა. მასალების დამუშავება ხდებოდა სემანტიკური დისტანციების დიდგენის მიმართულებით და გამოყენებულ იქნა პროგრამა „FACTO“ ექსპერიმენტის შედეგების ელექტრონულ გამოთვლელ მანქანაზე დასამუშავებლად.

ექსპერიმენტის შედეგებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1) კანონდამჭერე მოსწავლეები უფრო მეტი სიხშირით, ვიდრე არასრულწლოვანი დამნაშავეები, მიაწერენ საკუთარ დედებს იდეალური დედის ნიშნებს.

2) არასრულწლოვანი დამნაშავეთათვის სემანტიკური დისტანცია „მამისა“ და „იდეალური მამაკაცის“ კატეგორიებს შორის შედარებით დიდია, მაშინ როცა კანონდამჭერე მოსწავლეებში შეიმჩნევა მამის იდეალიზაციის ტენდენცია.

3) კანონდამჭერე მოსწავლეებსა და არასრულწლოვანი დამნაშავეებს შორის არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავებები იმ შეფასებით მსჯელობებში, რომლებიც ეხებოდა რეალურ და იდეალურ „მე“-ს ან მათ შორის დისტანციას.

4) მკვეთრი განსხვავება აღინიშნება არასრულწლოვანი დამნაშავეებსა და კანონდამჭერე მოსწავლეებს შორის მშობელთა შინაგანი სამყაროს რეპრეზენტაციის, მათთან ემპათიურობის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, როცა არასრულწლოვანი დამნაშავე აფასებს თავის მხრივ და მშობელთა პოზიციიდან გამომდინარე („როგორ შეაფასებდა დედა და მამა...“) ისეთ კატეგორიებს, როგორცაა „მამა“, „იდეალური მამა“ და „იდეალური მამაკაცი“, მას აქვს ტენდენცია ისეთივე მსჯელობა განავითაროს ამ კატეგორიათა შესახებ, რაც, მისი აზრით, შეიძლება გამოთქვას საკუთარმა დედამ და არა მამამ. კანონდამჭერე მოსწავლე საპირისპიროდ იქცევა: „მამის“, „იდეალური მამის“ და „იდეალური მამაკაცის“ კატეგორიების შეფასებისას იგი თავის თავს გაიგივებს მამასთან და ნაკლებად ეყრდნობა დედის სავარაუდო პოზიციას. როცა არასრულწლოვანი დამნაშავე აყალიბებს თავის პოზიციას, „იდეალური დედის“ მიმართ, იგი ამ დროს ეყრდნობა მის მიერ ნავარაუდოდ საკუთარი მამის პოზიციას ამ საკითხში, ხოლო კანონდამჭერე მოსწავლეებში იდენტიფიკაციის პროცესი „იდეალური დედის“ თვისებების შეფასებისას მიიმართება საკუთარი დედის ნავარაუდო პოზიციისაკენ.

5) შრომაში დასმულია საკითხი იმის შესახებ თუ როგორ წვდება სუბიექტი მეორე ადამიანის თვითშეფასებით სისტემას. ამ შემთხვევაში შეისწავლებოდა ის, თუ როგორ წვდება არასრულწლოვანი დამნაშავე საკუთარი დედისა და მამის თვითშეფასებებს, რამდენად ავლებს ინდივიდი ზღვარს საკუთარი თვითშეფასებისა და მის მიერ ნავარაუდო სხვისი თვითშეფასების მახასიათებლებს შორის. აღმოჩნდა, რომ ამ მხრივ საგრძობლად განსხვავდებიან არასრულწლოვანი დამნაშავენი კანონდამჭერეთაგან. კერძოდ, არასრულწლოვანი დამნაშავეს არა აქვს მკვეთრად გამოდიფერენცირებული საკუთარი

თვითშეფასების მახასიათებლები იმ მახასიათებლებისაგან, რაც თვითშეფასების მხრივ მისი აზრით ახასიათებს საკუთარ დედასა და მამას. ამის საპირისპიროდ, კანონდამცერე მოსწავლე საკუთარი და მშობლების თვითშეფასებითი სისტემის სხვადასხვანაირ ატრიბუციას ახდენს. ეს მეტყველებს კანონდამცერე მოსწავლეთა თვითშეფასებითი სისტემის მეტ დიფერენცირებულობაზე, ავტონომიურობისა და „მე“-ს საზღვრების გამოკვეთილობაზე. პიროვნული ავტონომიურობისა და ნეგატივიზმის პარადოქსი არასრულწლოვან დამნაშავეებში თავს შემდეგში იჩენს: ერთის მხრივ, არასრულწლოვანი დამნაშავე თავის ქცევებში უპირისპირდება უფროსთა გარემოცვას და ელტვის დამოუკიდებლობას, ხოლო, მეორეს მხრივ, მისი „მე“-ს საზღვრები თვითშეფასების თვალსაზრისით არ არის გამოკვეთილი, არ არის ავტონომიური. ნაშრომში ნაჩვენებია არასრულწლოვან დამნაშავეთა ემპათიის უნარის თავისებურებათა შესწავლის აქტუალობა.

უნდა ითქვას, რომ ისეთი მაღალი პრესტიჟის მქონე სამეცნიერო ჟურნალში, როგორიცაა „Bulletin de Psychologie“, ნაშრომის გამოქვეყნება ჩვენი მეცნიერის დიდი წარმატებაა. მაგრამ ეს არის არა მარტო მისი პირადი წარმატება, არამედ დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მთელი სამეცნიერო კოლექტივის მორიგი მიღწევა, რომლის თანამშრომელთა შრომებმა უკვე რამდენიმე ათეული წელია მოიპოვეს საერთაშორისო რეზონანსი.

მლ. გრიგოლავა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტმა

ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალში გამოაქვეყნებელი მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად, ქართულ ან რუსულ ენაზე. ქართულ ტექსტს უნდა ახლდეს რუსული რეზიუმე არა უმეტეს მანქანაზე დაბეჭდილი ერთი გვერდისა. წერილის მოცულობა, რეზიუმეს ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს ერთ საავტორო თაბახს (40 ათასი ასო ნიშანი); დაბეჭდილი უნდა იყოს სტანდარტის დაცვით.

წერილში გამოყენებული ნაშრომების სია დაერთოს ბოლოს, ტექსტში კი მიეთითოს რიგითი ნომერი კუთხოვან ფრჩხილებში. ავტორისეული შენიშვნები მიეთითება გვერდების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია ნაშრომებს მიიღებს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებების ან ამ დარგის აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წარდგინებით.

ჩვენ მისამართია: 380008, თბილისი 8, რუსთაველის 29,

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის

ფილოსოფიის ინსტიტუტი

(ჟურნალ „მაცნესათვის“)

სარედაქციო კოლეგია

638/18

დასი 85 კაპ.

ინდექსი


ქართული
ენების
76195